

„ბაგრატოვანთა სახლი“

იოსებ ბიჭიკაშვილი

ბაგრატიონ-დავითიძევილები
(აზნაუროვლი ქაფო)



თბილისი
2018

„ბაგრატოვანთა სახლი“

იოსებ ბიჭიკაშვილი

**ბაგრატიონ-დავითიშვილები
(აზნაურული შტო)**

(ისტორიულ-გენეალოგიური ნარკვევი)

თბილისი
2018

ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს სამეფო დინასტიის განშტოების - აზნაურ ბაგრატიონ-დავითიშვილების ისტორიულ-გენეალოგიურ გამოკვლევას. ის ეფუძნება საარქივო, წერილობითი წყაროების ცნობებსა და სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემებს. წიგნი ერთნაირად საინტერესოა როგორც სპეციალისტებისათვის, ისე ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

სამეცნიერო რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, მამუკა გოგიტიძე

- © ბაგრატიონ-დავითიშვილები (აზნაურული შტო). ი. ბიჭიკაშვილი. 2018.
 - © საილუსტრაციო მასალა. ი. ბიჭიკაშვილი. 2018.
 - © დანართი № I. „ბაგრატოვანთა სახლის“ ოფიციალური პასუხი ქ-ნ მანანა ხომერიკს. 2018.
 - © დანართი № II. ბატონიშვილი ნინო ბაგრატიონ-იმერეტინსკის ოჯახის წევრების პასუხი ქ-ნ მანანა ხომერიკს. 2018.
 - © დანართი № III. მამუკა ბაგრატიონი. აურზაური „ქართულ გენეალოგიურ საზოგადოებაში“. 2018.
 - © № IV, V, VI და VIII დანართების ავტორი იოსებ ბიჭიკაშვილი. 2018.
 - © დანართი № VII. მამუკა გოგიტიძე. რუსეთის იმპერიაში მოღვაწე ცნობილი ბაგრატიონ-დავითიშვილები. 2018.
- წიგნის გარეკანზე - XVII-XVIII სს. საგუშაგო კოშკი (სოფელი შინდისი (კოშკი)).

ISBN 978-9941-8-0031-3

წიგნი დაიბეჭდა „ბაგრატოვანთა სახლის“ წევრების მხარდაჭერით.

ყველა უფლებას წიგნზე ინარჩუნებს ავტორი. აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით ავტორების წერილობითი ნებართვის გარეშე.


მკითხველს

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიული განყოფილების ხელმძღვანელის იოსებ ბიჭიკაშვილის მეცნიერულ ნამოღვაწარს, რომელიც ეხება ჩვენი საგვარეულოს კიდევ ერთი განშტოების, კერძოდ, ბაგრატიონ-დავითიშვილების აზნაურული შტოს კვლევის ანალიზს. გარდა სამეცნიერო კვლევისა, წიგნში მკითხველს ექნება საშუალება გაეცნოს ავტორის მიერ გაცემულ ამომწურავ პასუხებს იმ უსაფუძვლო ბრალდებებზე, რომლებსაც ზოგიერთი პიროვნება უყენებდა მას ბოლო წლების მანძილზე. მსურს ხაზი გავუსვა იმას, რომ ბატონი იოსებ ბიჭიკაშვილის პასუხები არ სცდება აკადემიურობას და ჰეშმარიტი მკვლევარისთვის დამახასიათებელ სტილს, რისი დეფიციტიც, სამწუხაროდ, შეინიშნება მბრალდებელთა მხრიდან, რამაც გამოიწვია კიდეც არა მხოლოდ ჩვენი დინასტიური კავშირის - „ბაგრატოვანთა სახლის“ აღშფოთება და მკაცრი პასუხით რეაგირება, არამედ ბატონიშვილი ნინო ბაგრატიონ-იმერეტინსკის ოჯახის წევრების ოფიციალური პასუხი ქნი მანანა ხომერიკის მიმართ. წიგნში ასევე წარმოდგენილია ბ-ნი იური ჩიქოვანისადმი ბ-ნი მამუკა ბაგრატიონის მხრიდან გაცემული საპასუხო საგაზეთო სტატიაც, რაც ნათელს ჰყენს ბევრ საინტერესო დეტალს. წიგნის ერთ-ერთი დანართი დათმობილი აქვს მკვლევარ მამუკა გოგიტიძის ძალზე საინტერესო სტატიას, რომელიც ეხება ბაგრატიონ-დავითიშვილების სამხედრო მოღვაწეობას.

ერთი სიტყვით, წინამდებარე წიგნი დაინტერესებულ მკითხველს მისცემს საშუალებას გაეცნოს ჩვენი საგვარეულოს გარშემო შექმნილ ვითარებას და ასევე გაეცნოს საინტერესო სამეცნიერო ნამოღვაწარს.

კვლავ გვსურს ხაზი გავუსვათ იმ დიდი პასუხისმგებლობის გრძნობას ერთს წინაშე, რომელიც ახასიათებდა და დღესაც ახასიათებს ჩვენი გვარის წარმომადგენლებს.

საქართველოს სამეფო სახლის მეთაური,
ბატონიშვილი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი



ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიული ნარკვევი

„ძირთაგან დავით წინასწარმეტყუელისა
აღმოცენებულ ვართ, და მის გამო ღმრთისა
მიერ ცხებით განეგების მეფობა ჩუენ ბაგრატონთა
და ტომნი ვართ დავით მეფისა და წინასწარმეტყუელისა“

„ქართლის ცხოვრება“

ბაგრატიონთა საგვარეულო ერთ-ერთი უძველესი ქართული დინასტიური გვარია, რომელიც საუკუნეების მანძილზე წინამდლოლობდა ქართველ ერს. ამ საგვარეულო-სთან დაკავშირებულია საქართველოს ისტორიის მრავალი ბრწყინვალე და მოწამებრივი ფურცელი.

ბაგრატიონთა გვარის ისტორია ორგანულად დაკავშირებულია ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან წარსულთან, რასაც ადასტურებენ ხალხური თქმულებები, ძველი ისტორიული წყაროები, ლიტერატურული ძეგლები, ფრესკული მხატვრობა და სხვ.

ბაგრატიონთა სამეფო დინასტიას, სამართლიანად უკავია ერთ-ერთი საპატიო ადგილი მსოფლიოს ცნობილ ქრისტიანულ დინასტიათა შორის.

VII-XV სს.-ის ქართულ და უცხოურ ისტორიულ წყაროებში ეს სამეფო საგვარეულო იხსენიება შემდეგი ფორმით - „ბაგრატუნიანი“, „ბაგრატონიანი“, „ბაგრატოვანი“, „პანკრატოვანი“, ხოლო XVI-XX სს.-ში - „ბაგრატიონი“.

ლეგენდის მიხედვით, „ქართველი მეფენი მარჯვენა მხარზე არწივის ნიშნით იბადებოდნენ“.¹ ამ გამორჩეულობის ერთ-ერთი გამოხატულებაა ბაგრატიონთა სამეფო გვარის ღვთიური წარმომავლობის თეორია. ყველა სახელმწიფოში მეფეთა საგვარეულოს ზრუნვის ერთ-ერთი მთავარი საგანი თავიანთი გვარის განსაკუთრებული წარმომავლობის ხაზგასმა და მისი საზოგადოებაში დამკვიდრება იყო. აზრს სამეფო გვარის ღვთაებრივი წარმომავლობის შესახებ უნდა შეექმნა მტკიცე საფუძველი მათი მფლობელობის კანონიერებისა და რაც მთავარია, თანასწორთა შორის უდავო უპირატესობის დადასტურებისათვის. ამიტომაც, ასეთი საგვარეულოები უმეტესად თავიანთ სახელს უკავშირებდნენ ბიბლიურ მეფეებს და ხაზს უსვამდნენ მათთან პირდაპირ ნათესაობას.

მსოფლიოს ყველა ხალხების მითოლოგიურ წარმოდგენაში მეფეები უზენაეს ღვთაებებთან არიან გათანაბრებულნი. ამ მოვლენას მსოფლიოს რელიგიის ისტორიაში იზოთეიზმი ეწოდება (ბერძ. „იზო-თეოს“ - ღვთისსწორი, ღმერთან გათანაბრებული).² ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იზოთეიზმის დამახასიათებელი ნიშნებია - სამეფო გვარის ღმერთებთან ნათესაობის დამტკიცება და მის მამათავრად გამოჩენილი ისტორიული პიროვნების გამოცხადება. სწორედ ეს ხერხი გამოიყენეს ბაგრატიონებმა.

ბიბლიის მიხედვით, ებრაელები თვით ღმერთის მიერ რჩეული ხალხია, სადაც მეფება მის მიერ არის დადგენილი: „...გცნო შენ უფალმან მეფედ ერისა თუსისა ისრაელსა შორის და შენ მეფედ პირველ იქმენ ერთა შორის უფლისათა“, ასე მიმართავენ საულს მეფედ დადგენის დროს.³

ბაგრატიონთა ისტორიკოსთან, სუმბატ დავითის ძესთან დაცული თეორიით, საქართველოს სამეფო გვარი - ბაგრატიონები ბიბლიური მეფეების იესე-დავით-სოლომონის შთამომავლებად თვლიდნენ თავიანთ თავს და ამიტომაც იწოდებოდნენ „იესიან-დავითიან-სოლომონიანებად“. ამდენად, ისინი მარიამ ღვთისმშობლის პირდაპირი შთამომავლები, ანუ იესო ქრისტეს ნათესავები გამოდიან.⁴

ქართლის მეფე ვახტანგ VI ბაგრატიონთა „ნათესაობის წიგნში“ ქართველ ერს განიხილავს როგორც ბიბლიური ნოეს შვილის იაფეტის შთამომავლებს, ხოლო ბაგრატიონებს - ნოეს უფროსი შვილის სემის; ნათესაობა აქ წარმოდგენილია „დაბადების“ ძირითადი გენეალოგიური ხაზის სახით: ნოე-სემი-აბრაამი-იაკობი-იესე-დავით მეფე-სოლომონი; ბაგრატიონები ამ მამამთავართა და მეფეთა პირდაპირ მემკვიდრეებად არიან გამოცხადებული.⁵ მაგალითად, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან დავით IV აღმაშენებელი ებრაელთა მეფის დავითის 78-ე შთამომავლად არის მიჩნეული: „...პელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელმოდგმამან, დავით, დმერთისა მამისამან, და თვით სამეოცდამეათვრამეტემან შვილმან ამის დავითისმან, დავით“.⁶

ლეგენდა ბაგრატიონების დავით წინასწარმეტყველის შთამომავლებად გამოცხადებისა და ქართლში მოსვლის შესახებ XI საუკუნის ქართველ ისტორიოს სუმბატ დავითის ძეს ასე აქვს გადმოცემული: „სოლომონ შვა შვიდი ძმანი, ომელნი - იგი მოსცნა დმერთმან ტყველბასა შინა. და ესენი შვიდნი ძმანი, ძენი ამის სოლომონისნი, წარმოვიდეს ქვეყანით ფილისტიმით, ტყუელბით წამოსულნი ჰურიანი, და მოიწივნეს ეკლეცის წინაშე რაქაელ დედოფლისა და მისგან ნათელ იდეს. და დაშთეს იგინი ქუეყანათა სომხითისათა და მუნ დღეინდელად დღემდე შვილნი მათნი მთავრობენ სომხეთს. და ოთხი ძმანი მოვიდეს ქართლს: ხოლო ერთი მათგანი, სახელით გუარამ განაჩინეს ერისთავად, და ესე არს ერისთავი ქართლისად და მამა ბაგრატიონთა, და ესე ქართლისა ბაგრატონიანი შვილის შვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამისა. ხოლო მმა მისი, სახელით საპაკ, წარვიდეს კახეთს და დაემზახა იგი ნერსეს და სხვანი ორნი იგი ძმანი ამათნი, სახელით ასამ და ვარაზვარდ, წარვიდეს კამბეჩანს, და მოკლეს მათ სპარსთა სპასალარი და დაიპყრეს კამბეჩანი, და დასხდეს იგინი მუნ ცხოვრებად და ხორნაბუჯს და ამა უამამდე შვილნი მათნი მთავრობენ მას შინა“.⁷

ახლად მიკვლეული მასალიდან გამომდინარე, რომელიც სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტრის ქართულ ხელნაწერში N/Sin-50-ში აღმოჩნდა, ბაგრატიონები ქართლში VII ს.-ის დასაწყისში ჩნდებიან და ენაოესავებიან ქართლის ერისმთავრებს - „ოდეს გარდაიცვალა კურთხეული და დიდებული მამფალი ადარნერსე, ძე სტეფანოზისა, ძმისწული დემეტრესი, ძისწული დიდისა გუარამისა. და მეოცე წელსა გარდაიცვალა კურთხეული მეუღლე მისი გუარამავრი, დეკემბერსა 2-ს. და ოთუესა იანვარსა 20-ს გარდაიცვალა კურთხეული დედუფალი ლატავრი, ასული სტეფანოზისა, და ადარნერსტისი, დედა ბაგრატუნიანისად და კუროპალატიაისად, და დაეფლა ჯუარს, მარიამ-წმიდას, ძით და ასულის წულითურთ“.⁸

ასევე არსებობს სხვა ვერსიაც, რომლის მიხედვით ბაგრატიონების გვარი მომდინარეობს ძირძველი ქართული მიწიდან - სპერიდან, რომელიც მოსახლეობითაც ქართული იყო (დღეს თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებშია), საიდანაც ისინი დამკვიდრდნენ ქართლში, ხოლო მათი განშტოება - ბაგრატუნები კი სომხეთში, სადაც ისინი XI საუკუნემდე მეფობდნენ, ხოლო XIII საუკუნის 50-იან წლებამდე შეინარჩუნეს ნომინალურად მეფის ტიტული.⁹

ბაგრატიონთა გვარი ადრევე გამომდინდა ამიერკავკასიის პოლიტიკურ ასპარეზზე, რომლის შესახებ ქართულ-სომხურ გარემოში სხვადასხვა ლეგენდები შეიქმნა.

სომხეთის საისტორიო ტრადიცია ბაგრატიონთა გვარის სომხური შტოს წარმომავლობას ძვ. წ. აღ. I ს. აკაგშირებდა.¹⁰

V საუკუნის სომები ისტორიკოსი მოვსეს ხორენაცი ბაგრატიონებს თვლის ებრაელი შამბატის შთამომავლებად. მისი ცნობით ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღების და ებრაელთა ბაბილონში გადასახლების შემდგომ სომხეთის მეფემ პრაჩიამ გამოსთხოვა მას ერთი დატყვევებული წარჩინებული დიდებული - შამბატი, რომელიც თავის ქვეყანაში წაიყვანა და დიდი პატივი მიაგო.¹¹

ლეგენდა ქართველი ბაგრატიონების ბიბლიურ დავით წინასწარმეტყველთან

ნათესაობის შესახებ მჭიდრო კავშირშია სომხეთის სამეფო გვარის ბაგრატუნების იზოთეიზმთან.

ცნობა ბაგრატიონთა გვარის ბიბლიური მეფის დავითისგან წარმოშობის შესახებ დადასტურებულია X ს. სომხეთი ისტორიკოსის იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიაში“ (ანისის ბაგრატუნების მატიანეში), რომელიც გამაერთიანებელი რგოლია შამბატისა და ბიბლიური მეფე დავითისგან წარმომავლობის ორი ტრადიციისა. იოანე დრასხანაკერტელი წერდა: „ვალარშაქმა, სომხეთი მეფემ ბაგრატი (მოვსეს ხორენაცისეული ბივრატი), რომელიც შამბატ ურიასგან იყო და რომელზეც ამბობდნენ დავითის ტომისა იყო, თავის გვირგვინისძებლად დაამტკიცა“.¹²

ბაგრატიონთა გვარის წარმომავლობა ბიბლიური მეფე-წინასწარმეტყველ დავითისაგან მოყვანილია ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე VII პორფიროგენეტის თხულებაში „იმპერიის მართვის შესახებ“ (*De administrando imperio*).¹³

კონსტანტინე პორფიროგენეტიდან, ქართულ და უცხოურ ისტორიულ წყაროებში აღნიშნულია ბაგრატიონთა განსაკუთრებული დამოკიდებულება ამ წმინდა ქალაქთან. საუკუნეების მანძილზე ქართველი მეფეები ბაგრატიონთა დინასტიიდან, იერუსალიმში დიდ შემოწირულობას აგზავნიდნენ. საქართველოში არსებობდა სკეციალური გადასახადი - „საერუსალიმ“.

ქართულ მწერლობაში პირველი ცნობა ბაგრატიონთა დავით წინასწარმეტყველიდან ანუ მათი ლვთიური წარმომავლობის შესახებ დაცულია გიორგი მერჩულესთან „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“; გრიგოლ ხანძთელი ასე მიმართავს აშოგ კურაპალატს: „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო, მეფობად და სათონებანიცა მისნი დაგიმკეიდრენ ქრისტემან ღმერთმან“ და ამით აკანონებს აშოგ I კურაპალატის უფლებას ტაო-კლარჯეთზე.¹⁴

ქართულ ისტორიულ წყაროებში ბაგრატიონების წარმომავლობა ბიბლიური მეფე დავითისაგან აღნიშნულია: ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“-ში, „მატიანე ქართლისა“-ში, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა“-ში, ვახუშტის „ცხოვრება საქართველოსა“-ში და დავით ბაგრატიონის „საქართველოს ისტორიაში“.

ქართულ წყაროებთან ერთად ბაგრატიონების წარმომავლობა დავით წინასწარმეტყველისაგან აღინიშნება სხვადასხვა უცხოურ ლიტერატურაში:

- 1) ბიზანტიურში (კონსტანტინე პორფიროგენეტი),
- 2) სომხურში (1335 წლის ხელნაწერის მინაწერში),
- 3) იტალიურში (ქრისტენორე კასტელი),
- 4) რუსულში (ტოლოჩანოვი და იევლევი),
- 5) თურქულში (ალი ჩელები, იბრაჟიმ ფეჩევი, ივლია ჩელები) და
- 6) ფრანგულში (ეან შარდენი).

ქართულ ისტორიოგრაფიაში ძირითადად გაზიარებულია, რომ ბაგრატიონთა ლვთიური წარმომავლობის თეორია ჩამოყალიბდა აშოგ I დიდი კურაპალატის ხელისუფლების პერიოდში.¹⁵

ამას ადასტურებს აშოგ I კურაპალატის ბარელიეფური გამოსახულება, რომელიც თავდაპირველად ოპიზის მონასტრის მთავარი ეკლესიის სამხრეთ ფასადზე იყო მოთავსებული. ამ ბარელიეფზე გამოსახულია აშოგ I ბაგრატიონი ოპიზის ეკლესიის მოდელით ხელში, რომელსაც ლოცავს იქსო ქრისტე, ხოლო მის გერდით ვედრების პოზაში დგას მეფე-მეფისალმუნე დავით წინასწარმეტყველი, ბაგრატიონთა ბიბლიური წინაპარი.¹⁶

თქმულება ქართველ მეფეთა დავით წინასწარმეტყველისაგან წარმომავლობის შესახებ ქართველთა სამეფოს დამოუკიდებლობისა და თვითმყოფობის იდეის განმტკიცებასაც ისახავდა მიზნად.

VIII-IX სს. მიჯნაზე მიმდინარეობს ტაო-კლარჯეთის სამთავროს ჩამოყალიბების პროცესი ბაგრატიონთა დინასტიის მეთაურობით. ეს ახალწარმოქმნილი პოლიტიკური ერთეული იმ პერიოდის საქართველოს ტერიტორიაზე ერთ-ერთი უძლიერესი გაერთანებაა, რომელიც საბოლოოდ ფაქტიურად ქართული მიწების

გაერთიანებისათვის ბრძოლის მოთავედაც გამოდის.

პირველობას კი მაშინ რამდენიმე ქართული პოლიტიკური წარმონაქმნი ეცილებოდა. ბაგრატიონთა გვარს პოლიტიკურ აღზევებასთან ერთად თავისი ლეგიტიმური უფლებების თეორიული დასაბუთება სჭირდებოდა.

ბაგრატიონები, მკვლევართა უმეტესობის აზრით, წარმოშობით ძველი ქართული პროვინციის სპერის მკვიდრნი არიან, ზოგიერთი ისტორიული წყარო მათ ქართველ მეფეთა პირველ დინასტიასთან ფარნავაზიანებთანაც ანათესავებს.¹⁷

ვახტანგ VI-ის კომისიის მიერ შესრულებული „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული ჩანართის მიხედვით, გუარამ ქართლის ერისმთავარი „დედით იყო ხოსროიანი (ე.ი. ფარნავაზიანი) და მამით ბაგრატიონი“.¹⁸ დაახლოებით ასეთივე ცნობა აქვს ვახტანგი ბატონიშვილსაც;¹⁹ ამდენად, ლაპარაკია ამ საგვარეულოთა ნათესაობაზე.

სომები ისტორიოსის სებეოსის ანონიმი ბაგრატიონებს ქართლის მეფეთა დინასტიასთან აკავშირებს და მათ ფარნავაზიანთა განშტოებად მიიჩნევს.²⁰ „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ისტორიული ტრადიცია კი ქართლის ერისმთავრებს ფარნავაზიანთა დინასტიასთან ანათესავებს. ქართლის ერისმთავრები ქართლის მეფეთა შთამომავლებად და მათ მემკვიდრეებად თვლიან თავს.

„მოქცევად ქართლისაა“-ში²¹ და სუმბატ დავითის ძის მიერ ადარნასე კურაპალატს ქართლის ერისმთავართა სახლის წარმომადგენლად, მის წევრად არის დასახელებული.²² ქართულ ისტორიულ წყაროთა ერთ ნაწილში დაცული ისტორიული ტრადიციით, ბაგრატიონთა გვარის დაწინაურება VI ს-ით თარიღდება, ხოლო ქართველი ბაგრატიონების დინასტიის ფუძემდებლად გუარამ (გურგენ) ერისმთავარია მიჩნეული (აქედან გამომდინარე, მას გუარამიანთა სახლს უწოდებენ). სუმბატ დავითის ძის ამ ცნობას ეხმიანება X ს. ბიზანტიელი იმპერატორის კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულების ინფორმაცია იბერიაში ბაგრატიონთა 400-500 წლის წინ დამკვიდრების შესახებ. ამ ცნობების მიხედვით, ქართლის ერისმთავრები ბაგრატიონები არიან.²³ გვიანი შეასაუკუნეების ქართული ისტორიული თხზულებები და მათ შორის თავად ბაგრატიონთა სამეფო სახლის წარმომადგენლები, ბატონიშვილები თავიანთი საგვარეულოს აღზევებას ასევე VI საუკუნით ათარიღებენ და მას ქართლის ერისმთავრებთან აკავშირებენ.²⁴

ქართულ ისტორიულ წყაროთა მეორე ნაწილი ბაგრატიონთა ხელისუფლებაში მოხვდას VIII ს. ათარიღებს.²⁵ უდავოა, რომ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა დინასტიის აღზევება VIII ს. ბოლოს მოხდა ამ დინასტიის ფუძემდებლის აშოგ I კურაპალატის დროს. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გადასული აშოგ I ბაგრატიონისათვის ეს მხარე არსებული როული ვითარებიდან გამომდინარე, არაბებთან ბრძოლის გარდა დიდი შინაგანი წინააღმდეგობების გადალახვა უხდებოდა. არსებულ ვითარებაში აშოგ I ბაგრატიონს უნდა დაესაბუთებინა როგორც თავისი უპირატესობა სხვა ქართველ მეფე-მთავართა წინაშე, ასევე ადგილობრივ მოსახლეობაზე თავისი ბატონობის უფლება. ყოველივე ამას ის პირველ რიგში ძალით ახორციელებდა, მაგრამ ამასთანავე მისი მდგომარეობისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ბაგრატიონთა სახლის უზენაესობის იდეოლოგიურ დასაბუთებასაც. ბაგრატიონთა ლვოვიური წარმომავლობის თეორია ამტკიცებდა გვარის პრეტენზიებს პირველობაზე, მიზნად ისახავდა მმართველი დინასტიის მდგომარეობის განმტკიცებას, იდეოლოგიურად ასაბუთებდა ამ საგვარეულოს კლასობრივ ბატონობას და სხვა დიდებულ გვართა შორის უპირატესობას ანიჭებდა.

ამ ლეგენდით აშოგ I ბაგრატიონის მხარდამჭერ დასს მიაჩნდა, რომ მან საკუთარ ძალაზე დაყრდნობით, ლვთისა და თავისი გვარის ლვთიური წარმომავლობის წყალობით მოიპოვა ხელისუფლება. თქმულება ქართველ მეფეთა დავით წინასწარმეტყველისაგან წარმომავლობის შესახებ ქართველთა სამეფოს დამოუკიდებლობისა და თვითმყოფობის იდეის განმტკიცებასაც ისახავდა მიზნად. ამანაც განაპირობა, რომ „ჩვეულება იყო საქართველოს ნათესავთაგან მაშინ, რამთუ არა ვისმე ვიპატრონებდიან, უკეთუ ჰყავთ მემკვდრე მეფეთა ნათესავი“ და თუ

„მეფობის“ მდომი „მეფეთა მონათესავეთაგანი“ არ იყო, მაშინ იგი „გერ იკადრებდა მეფედ წოდებად და სწორყოფად და ვერცა გუარობასა მეფეთასა“.²⁶

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოდგენილი ბიბლიური გენეალოგიით ბაგრატიონები მარიამ ლვოისმშობლის ნათესავები გამოდიან. ვახტანგ VI-ს მიერ შედგენილ გენეალოგიაში სოლომონის შემდგომი შტოები ოვალურად არის გამოხაზული, რომელშიც ლვოისმშობელია ჩახატული. ამით ხაზგასმულია პირდაპირი ნათესაობა და ქართველთა განსაკუთრებული დამოკიდებულება მისდამი, რაც საქართველოს „ლვოისმშობლის წილხედრობაში“ გამოიხატა.²⁷

იესო ქრისტეს ამაღლების შემდეგ, „რაჟამს წილ იგდეს მოციქულთა, მაშინ ყოვლადწმიდასა დმრთისმშობელსა წილად ხვდა მოქცევად ქუეყანა საქართველოსა“; როცა მაცხოვარი მას გამოეცხადა თქვა: „შ, დედაო ჩემ, არა უგულებელ ვარ ერი იგი საზეპურო უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათოუს. ხოლო შენ წარავლინე პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხუედრებულსა, და თანაწარატანე ხატი შენი ვითარიცა პირსა შენსა დადებითა გამოისახოს. და შენ წილ ხატი იგი შენი მეკდრობდეს მცუელლად მათდა უკუნისამდე უამთა“.²⁸ მართლაც მარიამ ლვოისმშობლისადმი „წილად ხუედრებულ“ საქართველოში „ადერკის მეფობასა შინა მოვიდეს ათორმეტთა წმიდათა მოციქულთაგანნი ანდრია და სკმონ კანანელი“.

საქართველოს კათალიკოსი ნიკოლოზ გულაბერისძე ხაზგასმით აღნიშნავს საქართველოს ლვოისმშობლისადმი წილხედომილობას - „ნაწილიცა იყო დედისა დმრთისა“.²⁹

ლვოისმშობელმავე წარგხავნა მოციქულთა სწორი წმ. ნინო თავის წილხედომილ ქეყანაში. წმინდა ნინოს აღმზრდელი მოხუცი ქალი უყვება მაცხოვრის მიწიერი წამების შესახებ, „ხარებასა და ნათლის დებასა, ჯუარცუმასა და ადდგომასა, და სუდრისათუს და ტილოთა, და ჯუარისათუს და კუართისა“. წმინდა ნინო კითხულობს „სადაობასა კუართისასა“. რაზეც პასუხად მიიღო: „ჰელდა იგი წილად ჰერიათა მცხეთელთა“. მოციქულთა სწორი წმ. ნინო „ყოველსა უამსა ევედრებოდეს სენაკსა შინა თვესსა ხატსა მას წმინდასა დმრთისმშობელისა წინაშე მდგომარე“, რათა ენახა საქართველოში მყოფი ერთ-ერთი უპირველესი ქრისტიანული სიწმინდე - მაცხოვრის კვართი (პერანგი). „წმიდამან დმრთისმშობელმან შეისმინა ვედრებისა მისისად და მოიგეხნა წილხუდომად მისი ქართველთა ნათესავისად, ოდეს იგი წილ იგდეს მოციქულთა ქუეყანად, და ამისათვეცა განპშადა დირსი და წმიდად ნინო მოციქულად. და ნეტარ ვართ ჩუენ და სამგზის სანატრელნი, რამეთუ ნაწილი ვართ ყოვლად წმიდისა ლვოისმშობელისანი“; „ხოლო დამესა მას გამოუჩნდა ლირსსა ნინოს ძილსა შინა წმინდად ლვოისმშობელო და პრქუა: წარვედ ქუეყანად ჩრდილოეთისადა უქადაგე სახარებად ძისა ჩემისად, და პპოო შენ მაღლე წინაშე ლმრთისა, და მე ვიყო მფარველი ჭელის ამპყრობელი შენი“.³⁰

ქართული ისტორიული წეაროებით, „წარავლინა ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი, და მუნ დახუდეს ჯუარცუმასა უფლისა“; მას შემდეგ, რაც იესო ქრისტე „დამსჭუალეს“ „ძუართი იგი უფლისა წილით ხუდა მცხეთელთა: წამოიდო ელიოზ და მოიდო მცხეთას“ „მეორე იერუსალიმად“ წოდებულ ქალაქში. კვართის ფლობას ბაგრატიონები განსაკუთრებით უსვამდნენ ხაზს. საქართველო და სამეფო სახლი პატრონია ქრისტიანობის ერთ-ერთ უპირველესი სიწმინდისა და უველა ქრისტიანი ერისა თუ ქეყნისთვის საოცხებო რელიქვისა ქრისტეს კვართისა, ამიტომ მისი ფლობა და ბაგრატიონთა ლვოიური წარმომავლობის თეორია ბაგრატიონთა სამეფო გერბზეც აისახა (ასევე სახელმწიფო დროშებზე, ბეჭდებზე...). თვალშისაცემია, რომ კვართს ყოველთვის გამორჩეულ ადგილზე ათავსებენ. მაცხოვრის კვართის ფლობა და ლვოიური წარმომავლობა გამჟღავნებულია სამეფო გერბის წარწერაში: „სამეფო კვართიან დავითიანი საქართველო“. სამეფო გერბზე კვართის გარდა გამოსახული იყო სფერო, კვერთხი და ხმალი, ქნარი, შურდული. გერბზე ქნარი და შურდული (რომლითაც ბაგრატიონთა ბიბლიურმა წინაპარმა დავითმა მოკლა გოლიათი) ბაგრა-

ტიონების დავით წინასწარმეტყველთან ნათესაობაზე მეტყველებდა ანუ სამეფო გვარის ღვთიური წარმომავლობის გამომხატველ ელემენტებს წარმოადგენდა.³¹

როგორც კვართის შემთხვევაში, საქართველოს გერბებზე, სახელმწიფო დროშებსა და ბაგრატიონთა დინასტიის განმტკიცებების გერბებზე (მაგ., თავად ბაგრატიონ-მუხრანბატონების და თავად ბაგრატიონ-დავითიშვილების გერბებზე) ცენტრალური ან ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია წმ. გიორგის გამოსახულებას. საქართველო გამოირჩეოდა წმინდა გიორგის ნაწილების ფლობის სიმრავლითაც. საქართველო წმინდა გიორგის ქვეყანაა, იგი ქართველთა მთავარი წმინდანია და ამიტომ, წმ. გიორგი ბაგრატიონთა სამეფო გვარის მფარველია. თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობის თანახმად, „**მეფენი მარადის დროშათა ზედა და ღერბთა მათთა დასწერდეს სახესა წმინდასა... გიორგისა“³².**

შევჩერდეთ საქართველოს მეფეთა ტიტულატურაზე: საქართველოს გაერთიანებისა და „**ყოველი საქართველოს**“ წარმოქმნის პარალელურად ჩამოყალიბდა ფორმულა: „**მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შარვანშა და შაჰანშა**“ („**აფხაზთა**“ ნიშნავს დასავლეთ საქართველოს, „**ქართველთა**“ - ტაო-კლარჯეთს და ქართლს, „**რანთა**“ - ჰერეთს, „**კახთა**“ - კახეთს, „**სომეხთა**“ - ლორე-ტაშირს, „**შირვანშა**“ - შირვანს, „**შაჰანშა**“ - ანისის სამეფოს).³³ იგი შესანიშნავად ასახავდა ქვეყნის თანდათანობითი გაერთიანების პროცესს და საქართველოს სახელმწიფოს საზღვრების ზრდას.

საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში ჩნდება ზედწოდება „**მესიის მახვილი**“. დავით აღმაშენებლის სპილენძის მონეტაზე არაბულად ამოკვეთილია: „**მეფეთა მეფე დავით მე გიორგისა, მესიის მახვილი**“.³⁴ იმის აღნიშვნით, რომ მეფე ბაგრატიონი „**მესიის მახვილია**“, ხაზი ესმევა ერთ გარემოებას - ჩემი სახით ოვით ღმერთი მოქმედებს და მეფის წინააღმდეგ მოქმედება ღმერთის წინააღმდეგ მოქმედებას ნიშნავს. ამიერიდან, ღვთის მიერ ნაკურთხი მეფის პოლიტიკის საპირისპირო მოქმედება ერის ღალატი და ღვთის გმობაა. ოვით გრიგოლ ხანძთელის სიტყვები ხაზს უსვამენ, რომ ზეციერმა მამამ გახადა ხელმწიფენი ქვეყნის გამგებად, ამიტომ მეფები იყვნენ ხელისუფალნი „**ნებითა ღვთისათა**“. ეს ბაგრატიონთა ღვთიური წარმომავლობის თეორიითაც დასტურდება, ასევე მეფეთა ტიტულატურაში: „**ნებითა ღვთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა**“.

იმ დროს, როდესაც ბიზანტიის იმპერია თანდათან უკან იხევს თურქ-სელჩუკთა შემოსევების გამო, საქართველოს სამეფო საპირისპიროდ, მწვავე ბრძოლების შედეგად ამიერკავკასიას ათავისუფლებს მტრისაგან. აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამყაროში საქართველოს სამეფო პირველობას იჭერს და ეს ვითარებაც აძლევს მის მეფეებს საშუალებას თავიანთ თავს „**მესიის მახვილი**“ უწოდონ.

ქართველი ერისა და ქრისტიანობის წინაშე დამსახურებისათვის ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის რამდენიმე წარმომადგენელი წმინდანად შერაცხა. ესენი არიან:

1) აშოგ I დიდი გურაპალატი (813-826; †826) - ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა დინასტიის ფუძემდებელი, ქართული მიწების გაერთიანების მოთავე და მცხეთის საკათალიკოსო ტახტის ძლიერებისათვის მებრძოლი, არტანუჯის ტაძარში წამებული (ხევნების დღე 29 იანვარი);

2) დინარა ღედოფალი ჰერეთისა (X ს.) - ადარნასე II არტანუჯელის ასული და გურგენ IV ერისთავთ-ერისთავის და, ჰერეთის მეფეების ადარნასე II პატრიკის მეუღლე და იშხანიკის დედა; მან ჰერეთი კვლავ „**მოაქცივნა მართლმადიდებელად**“ (ხევნების დღე 30 ივნისი);

3) საქართველოს მეფე ბაგრატ III (975-1014; †1014) - წმინდა კეთილმსახურე მეფე, საქართველოს გამაერთიანებელი (ხევნების დღე 7 (20) მაისი);

4) საქართველოს მეფე დავით IV აღმაშენებელი (1089-1125; †1125) - საქართველოს სრული გაერთიანებისათვის და ქვეყნის გაძლიერებისათვის, მთქმელი „**გალობანი სინანულისანი**“ (ხევნების დღე 26 იანვარი);

5) საქართველოს მეფე დემეტრე I (1125-1156; †1156), ბერობაში დამიანე, დავით აღმაშენებლის ძე, გარეჯელი, მთქმელი ლექსისა „შენ ხარ ვენახი“ (ხსენების დღე 23 მაისი);

6) საქართველოს მეფე თამარ (1184-1213; †1213) - საქართველოს გაძლიერებისა და ეკლესიათა აღმშენებლობაში უდიდესი ღვაწლისათვის (ხსენების დღე 1 მაისი);

7) საქართველოს მეფე დემეტრე II (1270-1289; †1289) - მონდოლთა მიერ მოწამებრივად სიკვდილით დასჯილი და ქვეყნისათვის თავდადებულად წოდებული (ხსენების დღე 12 მარტი);

8) საქართველოს მეფე ვახტანგ III (1298-1308; †1308), დემეტრე II თავდადებულის ძე, მოწამე (ხსენების დღე 10 დეკემბერი);

9) კახეთის დედოფალი ქეთევან (1601-1602; †1624) - სპარსეთში ქრისტიანობისათვის წამებული, საქართველოს მნათობი, დიდმოწამე (ხსენების დღე 13 სექტემბერი);

10) ქართლის მეფე ლუარსაბ II (1606-1615; †1622) - სპარსეთში ქრისტიანობისათვის წამებული (ხსენების დღე 21 ივნისი);

11) იმერეთის მეფე სოლომონ I (1752-1784; †1784) - წმინდა კეთილმსახურე მეფე, (ხსენების დღე 6 მაისი);

12) იმერეთის მეფე სოლომონ II (1798-1810; †1815) - სამშობლოსათვის თავდადებული (ხსენების დღე 7 თებერვალი);

13) საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ნიკოლოზ V (1584-1594; †1594), კახეთის მეფე ლევან I-ის ძე (ხსენების დღე 18 თებერვალი);

14) საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ანტონ II (1788-1811; †1827), მეფე ერეკლე II-ის ძე (ხსენების დღე 21 დეკემბერი).³⁵

XV-XIX ს.ს.-ში საქართველოს ავტოკეფალური სამოციქულო ეპლესიის საჭეთაყრობელები, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის წარმომადგენლები იყვნენ:

1) საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი დავით II (1426-1430), საქართველოს მეფე ალექსანდრე I დიდის ძე; 2) საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მელქისედეგ II (1538-1541), ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის ძე; 3) საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი წმ. ნიკოლოზ V (1584-1594), კახეთის მეფე ლევან I-ის ძე; 4) საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი დომენტი III (1660-1676), ქაიხოსრო მუხრან-ბატონის (ბაგრატიონის) ძე; 5) საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი დომენტი IV (1705-1741), ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის ძმა; 6) საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ანტონ I (1744-1755, 1764-1788), ქართლის მეფე იესე I-ის ძე; 7) საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ანტონ II (1788-1811), ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის ძე; 8) აფხაზთა (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი იოსებ (1769-1776), იმერეთის მეფეების ალექსანდრე V-ის ძე და სოლომონ I-ის ძმა.³⁶

VIII საუკუნე საქართველოს ისტორიაში ხასიათდება მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ძვრებით.

ამ პერიოდისთვის საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა პერეთის, კახეთის, ტაო-კლარჯეთის სამთავროები, თბილისის სამირო და დასავლეთ საქართველოში - აფხაზთა სამეფო. სამეფო-სამთავროების შორის პირველობისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ IX ს.ს.-ში დაიწყო. თავიდან აფხაზთა სამეფო დაწინაურდა, მაგრამ შემდგომ გაძლიერდა ტაო-კლარჯეთის - ქართველთა საკურაპალატო, შემდეგ სამეფო.

ტაო-კლარჯეთის სამთავროს დამაარსებლად აშოგ I ბაგრატიონი გვევლინება, თუმცა საფუძვლის ჩაყრა მისი მამის, ადარნასეს დროს დაიწყო. საგარეო საკითხთა გადაწყვეტისას აშოგ I ბაგრატიონი ორიენტაციას ბიზანტიის იმპერიაზე იღებდა, რასაც მოწმობს მისთვის კურაპალატის ტიტულის ბოძება. ტიტული ნიშნავდა სასახლის დამცველს და ბიზანტიის იმპერატორები კურაპალატის წოდებას სხვადასხვა ქვეყნების მმართველებს უბოძებდნენ ხოლმე.

აშოგ I-ის მემკვიდრენი, რომლებიც კურაპალატის ტიტულს ღებულობდნენ, ბაგრატიონთა გვარში უფროსებად ითვლებოდნენ. ამ ტიტულს შემდგომ გაერთიანებული საქართველოს მეფეებიც ატარებდნენ დავით IV აღმაშენებლამდე, რომელმაც უარი

თქვა ამ და სხვა ბიზანტიურ ტიტულებზე და ამით ხაზი გაუსვა საქართველოს დამოუკიდებლობას.³⁷

IX ს.-ის ბოლოს ტაო-კლარჯეთის სამთავრო იმდენად გაძლიერდა, რომ მისი მმართველები 898 წლიდან - ქართველთა მეფის ტიტულს ატარებდნენ. IX-X სს.-ში ტაო-კლარჯეთში უმაღლეს ხელისუფლებას ფლობდნენ აშოგ I კურაპალატის შუათანა ვაჟის ბაგრატ I კურაპალატის მემკვიდრენი.³⁸ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა გვარში ორი შტო გამოიყო: ტაოს, რომელსაც რეზიდენცია ბანაში (ან ოლთისში) ჰქონდა და კლარჯეთის შტო, რომლის რეზიდენცია არტანუჯში მდებარეობდა.

კლარჯეთის ბაგრატიონთა შტო ტაოს შტოს ექვემდებარებოდა, თუმცა ფაქტიურად დამოუკიდებლად წყვეტდა საშინაო ოუ საგარეო საქმეებს. ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა მმართველობა ფეოდალური კოლეგიალობის პრინციპს ემყარებოდა, რომლის მიხედვით, ორივე შტოს წარმომადგენლები მეფე-კურაპალატონ ერთად მონაწილეობდნენ სამეფოს მართვაში, თუმცა ძირითადად ტაოს შტოს წარმომადგენლებს შეიძლება რგებოდათ „ქართველთა მეფის“ ან „ქართველთა კურაპალატის“ ტიტული, რომელიც ბიზანტიის იმპერიასთან ურთიერთობის გარკვეულ ფორმას გულისხმობდა. სწორედ ტაოს შტოს წარმომადგენელი იყო ბაგრატ III - გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე. ქართველთა მეფისა და ქართველთა კურაპალატის გარდა ბაგრატიონები ატარებდნენ ქართულ წოდებებს: მამფალი, ერისთავთ-ერისთავი, ერისთავი, ასევე ბიზანტიურ ტიტულებს: პატრიკიოსი, მაგისტროსი, სებასტი, ნოველისიმოსი და კესაროსი.

X ს.-ის II ნახ.-ში ტაო-კლარჯეთის სამეფო მნიშვნელოვანი და ძლიერი სახელმწიფო იყო. 975 წელს გამოჩენილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ და საქართველოს გაერთიანების ფუძემდებელმა დავით III კურაპალატმა თავისი შვილობილი ბაგრატ III ჯერ ქართლის მმართველად, ხოლო შემდეგ 978 წელს აფხაზეთის მეფედ გამოაცხადა. 1001 წელს ბაგრატ III (975-1014) კურაპალატი გახდა, ხოლო 1008 წელს ქართველთა მეფე. ამ აქტით საფუძველი დაედო ერთიან სახელმწიფო მმართველობას, ამგვარად ჩამოყალიბდა ერთიანი საქართველოს სამეფო.³⁹

X-XI საუკუნეები ერთიანი საქართველოს ფორმირებისა და განმტკიცების ხანაა. გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის სახელთან დაკავშირებულია კახეთ-ჰერეთის და თბილისის სამიროს გარკვეული ნაწილის შემოერთება. საგრძნობლად გაიზარდა საქართველოს ავტორიტეტი მსოფლიო ასპარეზზე.

საქართველოს ერთიანი მონარქია გარკვეული პერიოდით დაასუსტა თურქ-სელჩუკების შემოსევებმა. თურქ-სელჩუკთა ბატონობისგან გათავისუფლება და მონარქიის განმტკიცება დაკავშირებულია დავით IV აღმაშენებლის სახელთან.

XII საუკუნის I მეოთხედიდან საგრძნობლად გაფართოვდა საქართველოს პოლიტიკური საზღვრები, თურქ-სელჩუკები კი გაძევებულ იქნენ ამიერკავკასიიდან. XII-XIII სს.-ში საქართველო წინა აზიაში ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო იყო. მისი საზღვრები ნიკოფილიდან (სოჭის მახლობლად) დარუბანდამდე და ოსეთიდან არაგაწამდე (სომხეთში) იყო გადაჭიმული.⁴⁰ ამ პერიოდში საქართველოს მეფეები ატარებდნენ შემდეგ ტიტულატურას: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შარვანშა და შაპანშა“. საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში ჩნდება ზედწოდება „მესიის მახვილი“. ბოლო, ვინც ამ ტიტულატურას იყენებდა იყო მეფე ერეკლე I (1688-1709).⁴¹

ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას თან ახლდა კულტურული აღმავლობაც, რომელიც საქართველოს ისტორიაში ცნობილია „ქართული რენესანსის“ სახელწოდებით. ამ პერიოდში შეიქმნა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“. თამარ მეფის (1184-1213) ბრწყინვალე მეფობის შემდეგ ქვეყნის აღმავლობა შეაჩერა მონდოლთა და სხვა დამპყრობთა განუწყვეტელმა შემოსევებმა.

თამარ მეფის ასულმა, რუსუდან დედოფალმა (1223-1245) 1230 წელს თავისი მცირეწლოვანი შვილი დავით VI ნარინი (1247-1293) თანამეფედ გამოაცხადა. 1247 წელს მონდოლებმა დავით VI ნარინი და დავით VII ულუ ლაშას ძე (1245-1270)

საქართველოს თანამეფებად გამოაცხადეს. 1259 წ. დავით VI ნარინმა მოაწყო აჯანყება მონღოლების წინააღმდეგ, დამარცხდა და გადავიდა ქუთაისში, სადაც გახდა დასავლეთ საქართველოს მეფე.⁴² 1330 წელს მეფე გიორგი V ბრწყინვალემ (1318-1346) დაიკავა ქუთაისი და კვლავ გააერთიანა საქართველო.⁴³ გიორგი V ბრწყინვალის დროს მოხერხდა საქართველოს ძლიერების აღდგენა, მაგრამ ისიც მცირე ხნით.

გახშირებულმა შინაომებმა და გარეშე მტრის შემოსევებმა დაასუსტა ერთიანი საქართველოს სამეფო. XV ს.-ის ბოლოს ერთიანი საქართველოს სამეფო ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებად - ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხე-საათაბაგოს სამთავროდ დაიშალა.

1490 წელს „თათრების“ შემოსევის გამო მეფე კონსტანტინე II-მ (1478-1505) მოინდომა, „რათა ჰყონ შეერთება თათართა ზედა“, მაგრამ ახლად წარმოქმნილმა კახეთის და იმერეთის სამეფოებმა და სამცხის ათაბაგმა „არა ინებეს, რამეთუ ენებათ დამდაბლობა მეფისა“.⁴⁴ სამეფო დარბაზზე მეფე კონსტანტინე II-მ „შემოიკრიბნა კათალიკოსი, ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი თვისნი და განიზრახვიდა, თუ რა ჰყონ განდგომილებისათვს ქუეყანათა“⁴⁵ რეალურად შეაფასეს რა შექმნილი შინაპოლიტიკური და დინასტიური ვითარება დარბაზის წევრებმა კონსტანტინე II-ს არ ურჩიეს მეფე-მთავრებთან ბრძოლა, „ვინაითგან მტკიცედ დგანან ერთგულებასა ზედა თვისთა რჩეულთა მეფეთათა იმერნი და კახნი და კუალად ათაბაგისა სამცხე-ელინი“⁴⁶ სამეფო დარბაზმა გადაწყვიტა, რომ „ვაცალოთ უამი“; იძულებულმა კონსტანტინე II-მ „აღირჩია მშვიდობა“,⁴⁷ რაც ნიშნავდა ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის იურიდიულ დაკანონებას.

წარმოიშვა ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოები, სადაც ბაგრატიონები აგრძელებდნენ მმართველობას. კახეთის ბაგრატიონების სამეფო შტოს ფუძემდებელი იყო ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი VIII (I) (1446-1466), მან 1466 წელს საფუძველი ჩაუყარა დამოუკიდებელ კახეთის სამეფოს, რომლის შთამომავლებმა გარკვეულ პერიოდებში შეძლეს ქართლ-კახეთის სამეფოს გაერთიანება.

იმერეთის ბაგრატიონების სამეფო შტოს ფუძემდებელი იყო ერთიანი საქართველოს მეფის - ალექსანდრე I დიდის (1412-1442) უმცროსი მმის - გიორგი ბატონიშვილის შვილი და, ამდენად მეფე გიორგი VIII-ის ბიძაშვილი - ბაგრატ VI (II),⁴⁸ რომელიც 1463 წელს იმერეთის, ხოლო 1466 წელს ქართლ-იმერეთის მეფე გახდა.

ქართლის ბაგრატიონების სამეფო შტოს ფუძემდებელი ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი VIII-ის გარე ბიძაშვილი - კონსტანტინე II გახდა.⁴⁹

ხუთი საუკუნის მანძილზე (1466 წლამდე) გაერთიანებული საქართველოს სამეფოში, ბაგრატიონთა გვარის ძირითადი შტო მეფობდა. XVI ს.-დან შინაპოლიტიკურ-დინასტიური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ურთიერთგადაჯაჭვა ხელს უწყობს და განაპირობებს საგვარეულო განშტოებების წარმოშობას. ბაგრატიონთა ზოგიერთი გვერდითი შტოს გათავადების შედეგად წარმოშვნენ სამეფო სახლის განშტოებანი: მუხრანბატონები, დავითი შვილები, რამაზი შვილები, გოჩაშვილები, ბაბადიშვები - ისინი უკვე როგორც ფეოდალები სხვადასხვა მაღალ თანამდებობებს სახლთუხუცესობას, ბოქაულთუხუცესობას და სხვ. ღებულობენ. ამ პროცესის დასახასიათებლად შესანიშნავი ფორმულა აქვს იოანე ბატონიშვილს მუხრანბატონებთან დაკავშირებით, რომ ისინი იყვნენ „მეორისა ხარისხით ბაგრატოანად წოდებული და პირველი თავადნი“.⁵⁰

XVI ს.-ის დასაწყისში ქართლის სამეფო სახლს გამოეყო მუხრანბატონთა შტო. ამ დროს ქართლში დავით X-ის (1505-1525) მეფობისას ქვეყნის დაპყრობას „არა დასცხოა“ მეფე გიორგი II (1511-1513), რომელმაც კახეთში მტკიცედ ფეხი მოიკიდა და „ნებავდა ქართლიცა“⁵¹ ბაგრატიონ მუხრანბატონთა თავადურ შტოს საფუძველი ჩაუყარა 1512 წელს.⁵² მისი ფუძემდებელი იყო ქართლის მეფე დავით X-ის უმცროსი მმა ბაგრატ მუხრანბატონი,⁵³ რომელსაც საბატონიშვილოდ სამუხრანო გადაეცა.

1512 წელს ქართლის მეფეს დავით X-ს მისმა მმამ - ბაგრატ ბატონიშვილმა „გამოსთხოვა მუხრანი საუფლისწულოდ და არაგუსა და კსნის გევნი მთიულ-

მოქევითურთ თვისა მორჩილებასა ქუეშე, რათა აღუდგეს აფ-გიორგის“⁵⁴ მან 1513 წელს „შეიპყრა აფ-გიორგი და პატიმარ-ჟყო მტკურის ციხესა შინა“ სადაც კახეთის მეფე „მოაშოვეს“⁵⁵ კახეთის მეფის აფ-გიორგი II-ის დამარცხებისა და სიკვდილის შემდეგ, ბაგრატ ბატონიშვილი მუხრანში დამკვიდრდა, რასაც ქართლის სამეფოს შუაგულში ახალი სათავადოს - სამუხრანბატონოს წარმოშობა მოჰყვა.

XVI ს.-ის დასაწყისში ბაგრატიონთა კახეთის სამეფო დინასტიას თავადური შტო გამოეყო. ასეთ თავადურ შტოს მიეკუთვნებოდნენ ბაგრატიონ-დავითიშვილები (იხილეთ ქვემოთ).

XVI ს.-ის II ნახ.-ში ბაგრატიონთა ქართლის სამეფო დინასტიას თავადური შტო გამოეყო. ასეთ თავადურ შტოს მიეკუთვნებოდნენ ბაგრატიონ-გორგიშვილები.

ახალი თავადური გვარის წარმოშობის შესახებ, ვახუშტი ბატონიშვილს განხილული აქვს თავისი თხზულების იმ ნაწილში, რომელსაც ჰქვია „აწინდელთა მთავართა გუართათვეს“⁵⁶ ვახუშტი ბატონიშვილის თხზულების იმ ნაწილში შენიშნულია ტენდენცია, რომ საგვარეულოთა განშტოებების სახელწოდებანი ძირითადად მათი რომელიმე სახელოვანი წინაპრისაგან მომდინარეობენ, უმეტესად, ამ პიროვნების სახელიდან. ვახუშტი ბატონიშვილის ზემოაღნიშნულ „აწინდელ მთავართა გუართათვეს“ აღნიშნული არიან გორჩაშვილი, რომელიც გვარით „მეფეთა ბაგრატიონთა არიან“⁵⁷.

თავად გორჩაშვილთა საგვარეულოს ფუძემდებელი იყო გორჩა ბატონიშვილი, ქართლის მეფის კონსტანტინე II-ის შვილიშვილი.⁵⁸

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „მაშინ მოკლეს პაპის ძმისწული მეფისა, საასპეტი მეწინავისა გორჩა რამეთუ იყო ესე გორჩა ძე გიორგისა, გიორგი ძე კონსტანტინესი, კონსტანტინე ძე ალექსანდრესი, ალექსანდრე ძე კონსტანტინე მეფისა და ამ გორჩათი ეწოდათ ამათ ძეთა გორჩაშვილად“⁵⁹.

ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილი გენეალოგიური ტაბულის მიხედვითაც, გორჩა ბატონიშვილის წარმომავლობა ქართლის მეფე კონსტანტინე II-გან იღებს სათავეს.⁶⁰ ისტორიკოს ბერი ეგნატაშვილის ცნობის თანახმად, გორჩა ბატონიშვილი ქართლის მეფე სიმონ I დიდის „პაპის ძმისწულის შვილია“,⁶¹ ხოლო ფარსადან გორგიჯანიძე მას ამავე მეფის „ბიძას შვილად“ მოიხენიებს.⁶² ამდენად, გორჩა ბატონიშვილი თავისი წარმომავლობით ბაგრატიონთა გვერდითი შტოს ჩამომავლია, რომელმაც სათავე დაუდო ამ თავადური შტოს გათავადებას და ახალი განშტოების გორჩაშვილთა წარმოშობას. რადგან გორჩა ბატონიშვილი სომხით-საბარათოანოს სარდალი იყო, ამიტომ საგარაუდოა, მისი სამფლობელო მამულიც ქვემო ქართლში უნდა ყოფილიყო.

XVII ს.-ის II ნახ.-ში ბაგრატიონთა კახეთის სამეფო დინასტიას ახალი თავადური შტო - ბაგრატიონ-ბაბადიშები გამოეყო.⁶³ მათი გვარის ფუძემდებელი იყო კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის უმცროსი ვაჟი იოსებ (როსებ) ბაგრატიონი. 1820 წელს თავად ბაბადიშების მიერ თბილისის თავად-აზნაურთა საკრებულოში წარდგენილ საბუთში, სწორედ იოსებია დასახელებული, როგორც მათი გვარის და სათავადოს ფუძემდებელი.⁶⁴

ისტორიული წყაროების ცნობების თანახმად, თავად ბაგრატიონ-ბაბადიშების კახეთის სამეფოში მამულები ჰქონიათ ფშაველში და იულთაში, სადაც მათ რეზიდენციები ჰქონდათ.

თავადი ბაგრატიონ-დავითიშვილები

XVI ს.-ის დასაწყისში ბაგრატიონთა კახეთის სამეფო დინასტიას გამოეყო ბაგრატიონ-დავითიშვილთა თავადური შტო. ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის ვაჟის, იოანე ბატონიშვილის მიერ 1799 წელს შედგენილ თხზულებაში „შემოქლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“ აღნიშნულია, რომ „ქრცხინვალის, კერძოდ ნულის ხეობასა შინა“ ცხოვრობენ თავადი დავითიშვილები „და არიან ორ სახლად: 1) ზაალის შვილებად, ხოლო 2) ელიზბარის შვილებად, ხოლო სხვანი მდაბალნი ამათისა გვარისანავე არიან უცას მოსახლენი: შანშე შვილებით და სხვანი კვალად ლეონის შვილები“ და „არიან გვარით ბაგრატოანნი“.⁶⁶ ვახუშტი ბატონიშვილის ცხობით „რამაზიშვილი და დავითიშვილი არიან ავ-გიორგის მმის დიმიტრისაგან, რომელი არჩინა მეფემან [ქართლის მეფე დავით X-მ (1505-1525)] და არიან მიერთაგან აქ“⁶⁷ ანუ ქართლში.

კახეთის მეფე ალექსანდრე I-ს (1476-1511) პყავდა ორი ვაჟი - ტახტის მემკვიდრე გიორგი უფლისწული და დემეტრე ბატონიშვილი.

მეფე ალექსანდრე I-ს და მის თანამოაზრე უმცროს ვაჟს დემეტრე ბატონიშვილს კახეთის თავადების ძლიერი ოპოზიცია უპირისპირდება ტახტის მემკვიდრე გიორგი უფლისწულის მეთაურობით. ეს გართულება სამეფო ოჯახში, ქართლის სამეფოსადმი დამოკიდებულების საკითხში უთანხმოებას მოჰყვა.

კახეთის მეფე ალექსანდრე I და მისი უმცროსი ვაჟი დემეტრე ბატონიშვილი ქართლის სამეფოს მიმართ მშვიდობიანი სამეზობლო პოლიტიკის მომხრენი იყვნენ, ხოლო გიორგი უფლისწული ცდილობდა ქართლის შეერთებას. გიორგი უფლისწულმა კახეთის სამეფო კარზე ვერ მიაღწია მისთვის სასურველი პოლიტიკის წარმართვას და თვითონ „დაიწყო ბრძოლა ქართლსა ზედა, რამეთუ დაპყრობა უნდოლა ქართლისა“.⁶⁸ გიორგი უფლისწულის ეს ბრძოლა მიმართული იყო, კვლავ ქვეყნის გაერთიანებისაკენ, ვინაიდან ის იყო ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი VIII-ის (1446-1466) შვილიშვილი.

მეფე ალექსანდრე I და დემეტრე ბატონიშვილი ქართლის მეფის დავით X-ის წინააღმდეგ მიმართულ საომარ გეგმას წინ აღუდგნენ. ვახუშტი ბატონიშვილის ცხობით, გიორგი უფლისწულმა „არა მსმენელი ეშურვა მეფობასა მამისასა, რათა ჰყოს წადიერება თვის“⁶⁹ და „ჭალასა შინა საფურცლესასა მოქლა მამა თვის, და ძმასა თუალები დასწვა, და ამიერიდან უწოდეს ავ-გიორგი, და იქმნა პატრონი კახეთისა“.⁷⁰ ეს ამბავი მოხდა 1511 წელს.

გამეფებულმა გიორგი II-მ (1511-1513) თავისი უსინათლო ძმა კახეთში არ დააყენა და „ცოლითა და შვილითა გამოაგდო დემეტრე და მოვიდა მცხეთას და სვეტიცხოველს შემოეხურა. და იყო რაოდენიმე ხანი“.⁷¹

ქართლში იმულებით გადმოსახლებულმა დემეტრე ბატონიშვილმა სათავე დაუდო ბაგრატიონთა გვერდით შტოს. დემეტრე ბატონიშვილი გახდა თავადი ბაგრატიონ-დავითიშვილების მამამთავარი. თავადი ბაგრატიონ-დავითიშვილები ისტორიულ წყაროებში „თვალდამწვრიანებად“⁷² იწოდებიან. ბაგრატიონთა საგვარეულოს ამ შტოს ქართლში გადმოსახლებას მათი გათავადება მოჰყვა. დემეტრე ბატონიშვილის ვაჟს დავითი ერქვა და მის შემდეგ, მათ დავითიშვილები ეწოდათ.⁷³

ისტორიკოს ფარსადან გორგიჯანიძეს თავის თხზულებაში თავად ბაგრატიონ-დავითიშვილების წარმომავლობასთან დაკავშირებით მოყავს განსხვევებული; ივერია. მან თავის თხზულებაში საეციალური თავი დაურთო, რომლის სათაურია - „აქა ამბავნი თვალ-დამწვრიანთა“ . მის თხზულებაში აღნიშნულია: „პაპა კახის ბატონებისა თეიმურაზ ყოფილა და მის უფროს შვილს დავით რქმევია და უმცროს გიორგი, უფროსი ძმა ათაბაგის ქალის შვილი ყოფილა დავით, ჩერქეზის ქალთან ჰქოლებია უმცროსი ძმა, გაუხდია და კარგი ცოლი შეურთავს და ბატონად დაუს-

ვამს, ასრე მიუხსენებია უმცროსის ძმისა-თვის: „რომ ერთს ქნეუანაში ორი ხელმწიფე არ იქნებისო, რაც გემეტებოდეს მამული მამეცო“. კახეთის მეხუთეთამდისან მამული მიუცია, საყვარელი ძმანი, დავით მამაცობაში ნაქები ყოფილა, უხვი და უშურველი და მსმეველ-მჭმეველი და კაც-მოყვარული და ყველას გამწყო კაცი ყოფილა და კახნი ბატონის შვილობისათვის ემსახურებოდეს. ეს ჩოლაყაშვილებმა ბატონს გიორგის მოახსენეს: „კახნი შენს ძმას ემსახურებიანო, არ ვიცითო, თუ რა სწადიანო, სჯობსო რომ თვალები დასწვათო“. ბატონს უბრძანებია: „ამაში დმერთი რას კარგს მიზავსო, გამზარდა და დამაქორწილაო და უფროსი ძმა იყო და თავისი ხელმწიფობა მე დამანება, რის გზით გამოვიმეტებო“. მაგრა არ დაესხნეს სიდამდისან თვალები არ დააწვევინეს და ამდენი სინათლე შერჩომდა, რომ ხის ძირში მწოდეს ხიდამ ისრით ტრედი ჩამოუგდია. რა ეს შეუტყვია ჯაპრაისათვის უთქვამთ: „ასეთი წამალა დააპდევო, რომ სინათლე წაუხდინო, რომ ვეღარას ხედევდესო, ჰაქამსაც მათ თქმული უქმნია და შენარჩომი თვალის სანათლე მეორედ წაუხდენიათ“ და ბატონი დავით შაჟფურ ყაენთან მოსრულა როის შვილითა, შაჟთამაზ ყაენს კარგის თვალით უნახავს და უბრძანებია: „კარგი შვილები გყვანანო“. ერთს შვილს გვერდი ფიქალი ჰქონებია. ერთი ძრიელი კაცი მამაცი, ცხენოსანი ჰყოლებია და ასრე უბრძანებია: „შენს შვილს იმას შევაბამო, თუ ჩამოაგდებსო კახეთს მივცემო“. თვალდამწვარს მოუხსენებია: „აგრე იყოსო. მაგრა ჩემი შვილი მისანდოს ცხენს შემისვითო“. თავილიდან ცხენები მოუსხამთ, არც ერთი მოსწონებია და ერთი კიდევ სხვა ცხენი მოჰყვარეს, ის მოიწონა და თქვა: „ეს ჩემის შვილისათვის კარგი არისო“ და შვილი გასეავლა და ასრე უბძანა: „შეჯექ ამ ცხენსა და შუბი აიღე და ფარი მზათ დაახვედრეო, რომ შუბის შემოცემა არ დაგასწროსო და შეუსვამთ ორნივე ცხენებსა და მაედანში გასრულან და ქვეუანა სათამაშოდ იქ მოგროვებულ-იყვნენ, და ყაენმან იმ ცხენოსანს უბძანა: „თუ გარდმოგაგდებსო, თავს მოგავეთო და თუ შენ ჩამოაგდებო ნუ მოჰკლავო“. კახმან ბატონის შვილმან გარდმოაგდო, თავი მოჰკევთა და ყაენთან მოიტანა, ყაენმან კახეთი საჯილდოდ უბოძა და ფარი ფლურებით აუვსო და ქართლს წაიღო და იმით სოფლები იყიდა. „სიდამდისინ კახეთი დაიჭიროო ქართლ იყავვო“. უწინ დირბი, ბრეთი და ბებინისი იყიდა და ერთ შვილს ციციშვილის ქალი და მეორეს შვილს ფალავანდიშვილის ქალი შერთო და თავადები მოხმარებიან და დირბს მაგარი ციხე აუგია. მერმე კახს ბატონს უთქვამს: „თუ ის ქართლს არისო, არ მოგვასვენებსო, კახეთს წამართვამსო“. ადგა და მეფეს ლუარსაბს მოციქულები და მრავალი ფეშქაში და აბრეშუმი გაუგზავნა და ასრე შესთვალა: „ყოველ-ახალს წელიწადს ამდენს საპალნეს აბრეშუმს მოგართმევო, დავითს ჩემს ძმას დირბის ციხე დაუქციეთო და თქვენს მამულში ნუ დააყენებთო და მისი მამული მის ძმას რამაზს მიეცითო“. ამათაც დაუჯერეს, დირბის ციხე დაუქცივეს და მისი მამული მის ძმას რამაზს მისცეს და თავით იმერეთს მეფესთან მივიდა და იმან ზემო ქართლში ნული, თორმანეული, დვერთეთი, ფლევი, ქანბადი, ცხეთას-ჯვარა, მოხის რუისის გლეხები და საყდარ სასაფლავოთ, აზნაურნი ხერხაულიძენი და ტატიშვილები მიუციათ. რამაზ მეფეს მოსწონებია და ეს სოფლები შაჟთამაზ ყაენის ნაბოძების ოქრო-ვერცხლით უყიდიათ და შაჟთამაზ ყაენი მამკვდარა და ესენი ქართლს დარჩომილან და კახი ბატონი შვიდის ათასის კაცით ნასყიდს მამულში მიუხდა და იმათ მუხრანის ბატონი მოსდგომიან და იმათ შვიდასი კაცი შეეყარათ და შვიდს ათას კაცს შემობმოდენ და გაემარჯვებინა და იმერელ მან მეფემ რამაზს ქალი მოსცა და ქართლსა და იმერეთში იმას უკეთესი კაცი არ იყო და სახელმწიფო კარგი მზითევი მოჰყვა, სამცხესაც მამული მიუცია და შვიდი ვაჟი უშობია მეფის დასთან კოსტანტინება, (ელიზბარ), სიაოშ, გიორგი, დავით ბოქაულთუხუცესი ყოფილა და სიაოშისათვის სვიმონ მეფეს ყლიჯყორჩობა მიეცა და გიორგი იმათი უმცროსი ძმა გაეგდოთ და ერთი მსახურის არ მისცეს. მაგრა საცა მეფე წავიდის თან-გაპყევის, ვინც ნახევდა იკითხევდა, თუ ვინ არისო, მეფე ბრძანებდა „რამაზის უმცროსი შვილიალ“. ყველანი მრავალს მისცემდენ.

მაგრა ნამეტნავად უყმობას შეწყენილ იყო. დედა მისი შავშეთის ბატონის ქალი ყოფილა, მეფის ქალის შვილი იყო, სამცხეს სამშობლოსას იყო და გეორგიც დედასთან წავიდა ვითაც ბერათ შეეყენებინათ, დედას გაუტყდა ასრე მოახსენა: „დედავო, ბერობა არ შემიძლიაო“. ამის თქმისა თვის დედა გაუწყრა და შვილი შემოსწერა და მამიდასთან წავიდა, მამიდას ბიძაშვილი ავადმყოფი პქოლია და ამას ერთი კარგი ცოლი ჰყოლებია, გიორგი უნახავს და შეჰყვარებია და ასრე უთქვამს: „შენისთანა კარგი და ლამაზი ვაჟი კაცი რასთვის უნდა ბერად იყოს, ლმერთმან შენი თავი მე ქმრად მამცესო, თორადა მამის ჩემისა ამდენი მამული და სოფლები და საქონელი დამრჩმიაო, რომ შენ გეყოფისო და ასი ყმაც შეინახო მაინს კმარაო“. დედაკაცს ნატრა აუხდა, იმ ავადმყოფობასაგან ქმარი მოუკვდა და ბერი გაიპარსა და ცოლად შეირთო და სამცხეს დარჩა. სიმამრის მამულზედ მორჭმული და მოვლენილი მმათა-თანა გადარიბებული უყმოთ გაგდებული, ლმერთმან ხელი მოუმართა და აღარავის ამარას არ გახდა“.⁷⁴

პირველი დოკუმენტური ცნობები თავად დავითიშვილების შესახებ, ქართულ ისტორიულ წყაროებში გვხვდება XVI საუკუნიდან.⁷⁵

XV საუკუნის II ნახევარში, ერთიანი საქართველოს მონარქიის დაშლის შემდეგ, წარმოიშვა ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოები და სამცხე-საათაბაგოს სამთავრო. პოლიტიკურად დაშლილ საქართველოში დიდი და მცირე სათავადოების ჩამოყალიბება მიმდინარეობდა. ერთ-ერთი ასეთი სათავადო იყო სადავითიშვილოც, რომელიც XVI ს-ის I ნახევარში შეიქმნა.⁷⁶

ისტორიული წყაროების ცნობების თანახმად, თავად ბაგრატიონ-დავითიშვილებს ქართლის სამეფოში მამულები პქონიათ ჯერ დირბში, ბრეთაში და ბებნისში, ხოლო შემდეგ ნულში, აბანოში, ფცაში, თორმანეულში, ბროწლეთში, სტკოცაში და სხვ. მათი რეზიდენცია იყო ნულში, აბანოსა და ფცაში. ხოლო საგვარეულო საძვალე კი რუისის ეკლესიაში.⁷⁷

თავად დავითიშვილთა აზნაურები იყვნენ: ტატიშვილები, რიკაძეები და რამინიშვილები.⁷⁸

თავად დავითიშვილების სათავადო, ისევე როგორც შიდა ქართლის სხვა სათავადოები, კერძოდ, ამილახვრების, მაჩაბლების, ფავლენიშვილების, ამირეჯიბების, ხიდირბეგიშვილების, დიასამიძეების, თაქთაქიშვილების და სხვ., ქართლის სამეფოს მემარჯვენე სადროშოს შეადგენდა. მემარჯვენე სადროშოს საპასალარებად, ანუ სარდარებად, ტრადიციულად, თავად ამილახვართა გვარის წარმომადგენლები იყვნენ.⁷⁹

ახალი თავადური გვარის წარმოშობის შემდეგ, მათ „გაუგვარდათ სახელი“. XVI-XVIII ს.-ში თავადი დავითიშვილები ამ ახალი გვარით მოღვაწეობდნენ.⁸⁰

XVI საუკუნიდან მოყოლებული თავად დავითიშვილთა გვარის წარმომადგენლები, ქართულ ისტორიულ საბუთებში არაერთხელ იხსენიებიან.

XVI-XVIII საუკუნეებში თავად დავითიშვილთა გვარის წარმომადგენლები აქტიურად მოღვაწეობდნენ ქართლის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც მეფის კარისკაცი, კერძოდ, ბაგრატ დავითიშვილი სუფრაჯი იყო,⁸¹ დავით დავითიშვილი - ბოქაულთუხუცესი იყო,⁸² ელიზბარ დავითიშვილი - ბოქაულთუხუცესი,⁸³ დავით დავითიშვილი - ბოქაულთუხუცესი იყო,⁸⁴ ელიზბარ დავითიშვილი - ბოქაულთუხუცესი და დარბაზის ბატონი იყო,⁸⁴ დავით დავითიშვილი - ეშიკადასბაში იყო,⁸⁵ შიოშ (სიათშ) დავითიშვილი - ყლიჭეორჯი იყო,⁸⁶ დავით დავითიშვილი - ზემო ახალდაბის და დირბის მოურავი იყო,⁸⁷ შანშე რამაზიშვილი (დავითიშვილი) - მილახვარი,⁸⁸ როსტომ რამაზიშვილი (დავითიშვილი) - მილახვარი.⁸⁹

1666 წელს, ერეკლე ბატონიშვილმა (მომავალმა მეფე ერეკლე I-მა) საქართველო დატოვა და რუსეთში გადასახლდა. რუსეთში მიმავალ ერეკლეს თან კახეთის მეფე ალექსანდრე I-ის ძის, დაბრმავებული დემეტრე ბატონიშვილის შთამომავლები - ძმები, თავადები ხოხონა და ელიზბარ დავითიშვილები გაჰყვნენ. ისინი რუსეთში დავიდოვების თავადური გვარის მამამთავრები გახდნენ.⁸⁹

მე-XVII ს-ის მანძილზე ბოქაულთუხუცესის სახელო თავად დავითიშვილთა საგვარეულოში, მემკვიდრეობითი თანამდებობა იყო.⁹⁰

თავადმა დავითიშვილებმა თავისი მდგომარეობის განსამტკიცებლად ნათესაური კავშირი დაამყარეს ქართლის სამეფო დინასტიასთან - ბაგრატიონებთან. თავადი დავით დავითიშვილის ასული, რომლის სახელი უცნობია, ქართლის მეფე სიმონ I-ის (1556-1600) ძმის, ვახტანგ ბატონიშვილის შვილის თეიმურაზ-მირზას მეუღლე გახდა.⁹¹ მოგვიანოდ კი თავადი დავით დავითიშვილის ასული თამარი, ქართლის მეფე გიორგი XI-ის (1676-1688, 1703-1709) მეუღლე გახდა.⁹²

1783 წლის 24 ივნისს ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის, გეორგიევსკში, ხელი მოეწერა მფარველობით ტრაქტატს. ქართლსა და კახეთში მცხოვრებ თავადთა და აზნაურთა ოფიციალური ნუსხა შედგენილ იქნა მეფე ერეკლე II-ს ბრძანების თანახმად და წარმოადგენდა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის ოფიციალურ დანართს. ამ ნუსხაში მოხსენიებულია 62 თავადური და 317 აზნაურული გვარი, რომელიც ტრაქტატის საფუძველზე გაუთანბრდნენ რუსეთის თავად-აზნაურულ გვარებს.⁹³

1783 წლის ქართლ-კახეთის თავადებისა და აზნაურების ნუსხაში ისინი დასახელებულები არიან, როგორც თავადი „დავითიშვილი-ბაგრატოვანი“.⁹⁴

1795 წლის 10-11 სექტემბერს ირანის შაჰის, აღა-მაჰმად-ხანის (1794-1797) შემოსევის დროს, თავადმა დავითიშვილებმა მონაწილეობა მიიღეს კრწანისის ბრძოლაში.

1796 წელს, მეფე ერეკლე II-მ განჯის ხანის ჯავათ-ხანის დასასჯელად, რომელმაც მონაწილეობა მიიღო სპარსეთის შაჰის აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის დაბეგაში, თავისი შვილიშვილი, დავით ბატონიშვილი და შვილი, ალექსანდრე ბატონიშვილი ჯარით გაგზავნა. ამ ლაშქრობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო, დავით ბატონიშვილის მილახვარმა - თავადმა როსტომ რამაზიშვილმა (დავითიშვილმა). ამ ლაშქრობის შესახებ, ცნობები მოყვანილი ჰყავს თეიმურაზ ბატონიშვილს თავის თხზულებაში, სადაც აღნიშნულია: „ოდეს მოიწია გაზაფხული, მეფემან ირაკლი უბრძანა და წარავლინა ძის ძევ თვის დავით მეწუნავითა მხედრობითა განჯასა ზედა და შეუდგინა მას კვალად სხვითა მხედრობითა ძე თვის ალექსანდრე. და მივიდნენ ესე მეფის ძენი განჯას და აღიღეს ქალაქი განჯა წელსა 1796-სა, ქორონიკონს 484, აპრილსა 3-სა, დღესა ხუთშავათსა. ხოლო ამას შინა ვიდრე თიბათვს (ესე იგი ივნისის) ნახევრამდე ათექვსმეტ-გზის მოუნდათ ბრძოლად მეფის ძეთა მხედრობასა და განჯელთა; და მარადის იძლივნეს განჯელნი და მოიქლა მელიქ მაჯნუმ, რომელიცა იყო სომეხი მელიქთაგან ჩალაბირთისათა. იყო ესე ადრინგანვე ჯავად-ხანისა თანა და უყვარდა იგი მას და პატივსა ფრიანსა უყოფდა, და ცნობილიცა იყო იგი აღა-მაჰმად-ხანისა და პატივცემულ მის მიერ, და თანაგანმზრახ იყო ჯავათ-ხანისა და მხედართმდღვანი მისი, ჩინებული და გულოვანი, ქებული. ესე დაიკოდა ბრძოლასა შინა თოვით. ახლობელ ადგილსა მას, სადა იგი ბრძოდა მეფის ძე დავით. და ეგრე ჰერნებდეს მახლობელ მისსა მყოფნი, რომელ მოხუდა მას თოვიმეფის ძის დავითის მილახვრის როსტომისა, რომელიცა იყო ერთი თავადთ შთამომავლობითაგანი“.⁹⁵

1801 წელს, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსული მმართველობის სისტემის დამყარების გამო, დავითიშვილთა სათავადო ადმინისტრაციულად გაუქმდა, მაგრამ მათ გვარს არც მაშინ დაუკარგავს თავისი ბრწყინვალება: თავადი დავითიშვილები, როგორც უწარჩინებულები გვარის წარმომადგენელნი, აღიარებულნი და შეყვანილ იყვნენ რუსეთის იმპერიის თავადების სიაში.⁹⁶

დღეს, თავადი ბაგრატიონ-დავითიშვილების შთამომავლები ცხოვრობენ, როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ.

ბაგრატიონ-დავითიშვილების აზნაურული განშტოება

XVIII ს-ის. I ნახევარში, ბაგრატიონ-დავითიშვილების თავადური სახლიდან წარმოიშვა აზნაურული განშტოება, რომლის ფუძემდებელი იყო ბოქაულთუხუცესის ელიზბარის ძე დავით ბაგრატიონ-დავითიშვილის ვაჟი - იქე. აზნაური დავითიშვილების წარმომავლობის შესახებ ითანე ბატონიშვილი, თავის თხზულებაში „შემოქლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“ აღნიშნავს: „აზნაური დავითიშვილი. ამათნი შთამამავლობანი არიან თავადის დავითიშვილის მონათესავენი და მისვე დროსანი აზნაურად მიღებულნი მეფეთაგან, რომელიც დავსწერეთ დავითის შვილისთვის და არიან მეფეთაგანცა მიღებულ და ტრაქტატსა შინაცა მოხსენებულ“.⁹⁷

XVIII ს-ის. 20-იან წლებში, ბაგრატიონთა საგვარეულოში არსებობს მხოლოდ ერთი თავადი დავით ელიზბარის ძე დავითიშვილი, რომლის შესახებ ჩვენამდე მოღწეულია მრავალი ისტორიული დოკუმენტი.⁹⁸

მეფე ერეკლე II-ის მიერ, აზნაური დავითიშვილები დასახელებულნი არიან 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატში, როგორც სახასო (სამეფო) აზნაურები.⁹⁹

- 33) ქართული სამართლის ძეგლები. ტ.4. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი.დოლიძემ. თბ., 1972.
- 34) ქართული სამართლის ძეგლები. ტ.5. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი.დოლიძემ. თბ., 1974.
- 35) ქართული სამართლის ძეგლები. ტ.6. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი.დოლიძემ. თბ., 1977.
- 36) ქართული სამართლის ძეგლები. ტ.7. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი.დოლიძემ. თბ., 1981.
- 37) ქართული სამართლის ძეგლები. ტ.8. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი.დოლიძემ. თბ., 1985.
- 38) ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა. ტ.I₂. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ.ბრეგაძემ, ც.კახაბრიშვილმა, ტ.მალობლიშვილმა, მ.ქავთარიამ, ლ.ქუთათელაძემ და ც.ჯლამაიამ. ელ.მეტრეველის რედაქციით. თბ., 1976.
- 39) ქართული ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექცია, ტ.I₃. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ.ბრეგაძემ, მ.ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ. ელ. მეტრეველის რედაქციით. თბ., 1980.
- 40) ქართული ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექცია, ტ.I₄. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ.ბრეგაძემ, მ.ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ. ელ. მეტრეველის რედაქციით. თბ., 1985.
- 41) ქართული ხელნაწერების აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექცია. ტ.II. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს თ.ბრეგაძემ, მ.ქავთარიამ და ლ.ქუთათელაძემ. ელ.მეტრეველის რედაქციით. თბ., 1973.
- 42) ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა. ტ.II₂. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ.ბრეგაძემ, ც.კახაბრიშვილმა, მ.ქავთარიამ, ლ.ქუთათელაძემ, ც.ჭანკიევმა, ლ.ხევსურიანმა. ელ.მეტრეველის რედაქციით. თბ., 1986.
- 43) ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა. ტ.IV. შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა ქ.შარაშიძემ. პ.კეკელიძის საერთო რედაქციით. თბ., 1954.
- 44) ქართული ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექცია. ტ.VI. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ.ენუქიძემ, მ.ქავთარიამ, ლ.ქუთათელაძემ, ელ. მეტრეველმა, მზ.შანიძემ და ქრ.შარაშიძემ. ელ.მეტრეველის რედაქციით. თბ., 1976.
- 45) ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საქართველოს ისტორის და ეთნოგრაფიის საზოგადოების ბიბლიოთეკის H-კოლექცია. ტ.I. პ.კეკელიძის რედაქციით. თბ., 1948.
- 46) ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საქართველოს ისტორის და ეთნოგრაფიის საზოგადოების ბიბლიოთეკის H-კოლექცია. ტ.II. შედგენილია ლ.ქუთათელაძის მიერ, ი.აბულაძის რედაქციით. თბ., 1946.
- 47) ქართული ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საქართველოს ისტორის და ეთნოგრაფიის საზოგადოების ბიბლიოთეკის H-კოლექცია. ტ.III. შედგენილია ქრ.შარაშენიძის მიერ. პ.კეკელიძის რედაქციით. თბ., 1948.
- 48) ქართული ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საქართველოს ისტორის და ეთნოგრაფიის საზოგადოების ბიბლიოთეკის H-კოლექცია. ტ.IV. შედგენილია ე.მეტრეველის მიერ. პ.კეკელიძის რედაქციით. თბ., 1950.
- 49) ქართული ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საქართველოს ისტორის და ეთნოგრაფიის საზოგადოების ბიბლიოთეკის H-კოლექცია. ტ.V. შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ლ.მეფარიშვილი. ალ.ბარამიძის რედაქციით. თბ., 1949.

- 50) ქართული ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია. ტ.I. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ.ბრეგაძემ, თ.ენუქიძემ, ნ.კასრაძემ, ლ.ქუთათელაძემ და ქ.შარაშიძემ. ელ. მეტრეველის რედაქციით. თბ., 1959.
- 51) ქართული ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია. ტ.III. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ.ენუქიძემ, მ.ქავთარიამ, ლ.ქუთათელაძემ, ელ. მეტრეველმა, მზ. შანიძემ და ქ.რ. შარაშიძემ. ელ. მეტრეველის რედაქციით. თბ., 1963.
- 52) ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, ტ.V. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ.ბრეგაძემ, მ.ქავთარიამ, ლ.ქაჯაიამ, ლ.ქუთათელაძემ და ც.ჭანკიევმა. ელ. მეტრეველის რედაქციით. თბ., 1967.
- 53) ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, ტ.VI. შეადგინეს და გამოსაცემად მოადზადეს: თ.ბრეგაძე, ლ.ქაჯაიამ, ლ.ქუთათელაძემ, მ.შანიძემ და ც.ჭანკიევმა. თბ., 1969.
- 54) ქართული ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, ტ.VII. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ.ბრეგაძემ, მ.ქავთარიამ, ლ.ქაჯაიამ, ლ.ქუთათელაძემ და ც.ჭანკიევმა. ელ. მეტრეველის რედაქციით. თბ., 1973.
- 55) ომან ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა. ტექსტი გამოცემისათვის მოამზადა, გამოკვლვა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ლ. მიქაშვილმა. თბ., 1989.
- 56) ცხოვრება საქართველოსი (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ. თბ., 1980.
- 57) სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება. წიგნში: ქართლის ცხოვრება, ტ.II. დ.ჩუბინაშვილის გამოცემა. სპб., 1854.
- 58) სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება. ზ.ჭიჭინაძის გამოცემა. თბ., 1913.
- 59) Вахушти Багратиони. История Царства Грузинского. Перевел, снабдил предисловием, словарями и указателем Н.Т.Накашидзе. Тб., 1976.
- 60) Второй дополнительный список к Высочайше утвержденному 6 декабря 1850 г. именному посемейному списку лицам, принадлежащим к княжеским и дворянским родам Грузии. Спб., 1857.
- 61) Георгиевский трактат. Договор 1783 года о вступлении Восточной Грузии под покровительство России. Текст подготовил к изданию, введением и примечаниями снабдил Г.Г.Пайчадзе. Тб., 1983.
- 62) Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. т.I. Под ред. А.А.Цагарели. Спб., 1891.
- 63) Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. т.II. Под ред. А.А.Цагарели. Спб., 1891.
- 64) Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. т.II, вып. 2. Под редакцией А.А.Цагарели. СПб., 1898.
- 65) Парсадан Горгиджанидзе. История Грузии. Перевод Р.К.Кикнадзе и В.С.Путуридзе. Исследование и указатели Р.К.Кикнадзе. Тб., 1990.
- 66) Давид Багратиони, царевич грузинский. Краткая история Грузии со времени первого во оной поселения. (С предисловием К.Бегичева). 2-е изд. СПб., 1893.
- 67) Давид Царевич. Новая история. Издание А.А.Рогава. Тб., 1971.
- 68) Дополнительный список к князьям и дворянам Грузии 1856 г. Спб., 1856.
- 69) Законы Вахтанга VI. Перевод, введение и примечания Д.Л.Пурцеладзе. Тб., 1980.
- 70) Именной посемейный список лицам, принадлежащим к княжеским и дворянским родам Грузии. Спб., 1851.
- 71) С.С.Какабадзе. Грузинские документы института народов Азии. М., 1967.

- 72) Парижская хроника. Перевод, исследование, примечания и указатели Г.Г.Аласания. Тб., 1991.
- 73) Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1639 по 1770 г. Под ред. М.Броссе. Спб., 1861.
- 74) Список князей и дворян Грузии. Спб., 1850.
- 75) Списки титулованным родам и лицам Российской империи. Издание Департамента Герольдии Правительствующего Сената. Спб., 1892.
- 76) Тбилисская коллекция персидских фирманс, т.І. Составители: М.А.Тодуа и И.К.Шамс. Подготовка к печати, перевод, комментарии и словарь М.А.Тодуа. Тб., 1989.
- 77) Царевич Иоанн. Калмасоба или Хождение по сбору. Перевод с грузинского, введение и комментарии В.Дондуа. Тб., 1945.
- 78) Сехниа Чхеидзе. История Грузии. Перевод выполнил, предисловием, указателями и словарями снабдил Н.Т.Накашидзе. Тб., 1976.

III. სამეცნიერო ლიტერატურა

- 1) ნ.ასათიანი. მე-XVII ს. მასალები საქართველოს ისტორიისათვის. თბ., 1973.
- 2) დ.ბაქრაძე. საქართველოს ისტორია. თბ., 1885.
- 3) დ.ბაქრაძე. მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. ნაწილი I. თბ., 1978.
- 4) თ.ბერაძე, მ.სანაძე. საქართველოს ისტორია, წ.I (ანტიკური ხანა და შუა საუკუნეები). საქართველოს სამეფო დინასტიები (დანართი). თბ., 2003.
- 5) ნ.ბერძენიშვილი. ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში. “მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის”, ნაკვ. I, თბ., 1937.
- 6) ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი 2. თბ., 1965.
- 7) ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი 4. თბ., 1967.
- 8) ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი 7, თბ., 1974.
- 9) ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი 8, თბ., 1975.
- 10) მ.ბერძნიშვილი. მასალები XIX საუკუნის I ნახევრის ქართული საზოგადოების ისტორიისათვის. ტ.I. თბ., 1980.
- 11) მ.ბერძნიშვილი. მასალები XIX საუკუნის I ნახევრის ქართული საზოგადოების ისტორიისათვის. ტ.II. თბ., 1983.
- 12) ი.ბიჭიკაშვილი, დ.ნინიძე, ი.ჩიქოვანი. საქართველოს სამეფო დინასტიის - ბაგრატიონების გენეალოგია, ტაბულა №4. წიგნში: ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა. თბ., 2003.
- 13) ი.ბიჭიკაშვილი, დ.ნინიძე, ი.ჩიქოვანი. საქართველოს სამეფო დინასტიის - ბაგრატიონების გენეალოგია, ტაბულა №5. წიგნში: ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა. თბ., 2003.
- 14) ი.ბიჭიკაშვილი, დ.ნინიძე, ი.ჩიქოვანი. საქართველოს სამეფო დინასტიის - ბაგრატიონების გენეალოგია, ტაბულა №6. წიგნში: ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა. თბ., 2003.
- 15) ი.ბიჭიკაშვილი, დ.ნინიძე, ი.ჩიქოვანი. საქართველოს სამეფო დინასტიის - ბაგრატიონების გენეალოგია, ტაბულა №7. წიგნში: ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა. თბ., 2003.
- 16) ი.ბიჭიკაშვილი, დ.ნინიძე, ი.ჩიქოვანი. საქართველოს სამეფო დინასტიის - ბაგრატიონების გენეალოგია, ტაბულა №8. წიგნში: ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა. თბ., 2003.
- 17) ი.ბიჭიკაშვილი, დ.ნინიძე, ი.ჩიქოვანი. საქართველოს სამეფო დინასტიის - ბაგრატიონების გენეალოგია, ტაბულა №9. წიგნში: ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა. თბ., 2003.
- 18) ი.ბიჭიკაშვილი, დ.ნინიძე, ი.ჩიქოვანი. საქართველოს სამეფო დინასტიის - ბაგრა-

- ტოონების გენეალოგია, ტაბულა №10. წიგნში: ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა. თბ., 2003.
- 19) ი.ბიჭიკაშვილი, ლ.მიზანდარი. თავადი ბაგრატიონ-ბაბადიშვები. თბ., 2015.
- 20) ი.ბიჭიკაშვილი. ბაგრატიონები - საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებები, თბ., 2016.
- 21) ი.ბიჭიკაშვილი. ბაგრატიონები - საქართველოს სამეფო დინასტიის და მისი განშტოებების გენეალოგია, თბ., 2016.
- 22) ვ.გაბაძეშვილი. ქართული ფეოდალური წეობილება XVI-XVII სს.-ში. თბ., 1958.
- 23) დ.გვრიგიშვილი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ისტორიიდან (ქართლის სათავადოები). თბ., 1955.
- 24) ლ.დოლიძე. გენერალისიმუსი, მარშლები, გენერლები, ადმირალები - ჩვენი თანამემამულები. თბ., 2000.
- 25) მ.იაშვილი. მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის (ზნითვის წიგნები). თბ., 1974.
- 26) მ.რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო (1462-1810 წწ.). თბ., 1989.
- 27) საქართველოს ისტორია. ნაწილი 1. უძველესი დროიდან მე-XIX ს. დასაწყისამდე. ნ.ბერძენიშვილი, ივ.ჯავახიშვილი, ს.ჯანაშია. ს.ჯანაშიას რედაქტორობით. თბ., 1946.
- 28) საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ.4. რედაქტორი მ.დუმბაძე. თბ., 1973.
- 29) მ.სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები (XIV-XVIII სს.). თბ., 1990.
- 30) ვ.ტატიშვილი. ქართველები მოსკოვში. თბ., 1959.
- 31) ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.II. მთ. რედაქტორი ირ.აბაშიძე. თბ., 1977.
- 32) ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.III. მთ. რედაქტორი ირ.აბაშიძე. თბ., 1978.
- 33) ივ.ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ.4. თბ., 1967.
- 34) ივ.ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ.4. თბ., 1948.
- 35) გ.ჯამბურია. საქართველოს ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1955.
- 36) Авалов З. Присоединение Грузии к России. СПб., 1906.
- 37) Адрес-календарь Российской империи на 1765-1916 гг. Спб., 1765-1916.
- 38) Д.Бантыш-Каменский. Историческое собрание списков кавалеров российских императорских орденов. Москва, 1814.
- 39) Бутков П. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год. ч.1-3. Спб., 1869.
- 40) Вадбольский М. Геральдическая символика Грузии. Тб., 1980.
- 41) Владимирский-Буданов. “История университета Св.Владимира”, т.1, 1884, стр.175-197.
- 42) Васильевич С. Титулованные роды Российской империи. Опыт подробного перечисления всех титулованных российских дворянских фамилий с указанием происхождения каждой фамилии, а также времени получения титула и утверждения в нем. Спб., 1910.
- 43) Гогитидзе, М. Грузины-генералы русской императорской армии. – Тбилиси : Опизა, 1999. – На груз. яз.
- 44) Гогитидзе, М. Грузинский генералитет (1699-1921) : библиограф. справочник / отв. ред. И. Дивный. – Киев : Ин-т укр. археографии и источниковедения им. М. Грушевского Нац. АН Украины, 2001.
- 45) Гогитидзе, М. Грузинские офицеры в армии Российской империи в XVIII – начале XIX века : автореф. дис. ... канд. ист. наук / Тбил. гос. ун-т им. Ив. Джавахишвили. – Тбилиси, 2006. – На груз. и русск. яз.
- 46) Гогитидзе, М. Военная элита Кавказа : в 2 т. – Т. I : Генералы и адмиралы из Грузии / ред. Н. Джавахишвили. – Тбилиси : НИЦ ист. груз.-кавказ. отношений, 2007.)
- 47) Горгидзе М. Грузины в Петербурге: Страницы летописи культурных связей. Тб., 1976.
- 48) Грузинские дворянские акты и родословные росписи. Изд. А.Хаханова. Москва, 1893.
- 49) Дворянские Роды Российской империи. т.ІІІ, Князья. Под редакцией С.В.Думина.

- Авторы-составители: Петр Гребельский, Станислав Думин, Князь Гудза Апакидзе, Иосиф Бичикашвили, Михаил Катин-Ярцев, Сергей Ковылов-Алексеевский, Княжна Флюра Кудашева, Томаш Ленчевский, Глеб Михайлов, Вадим Первушкин, Юрий Унковский, Князь Юрий Чиковани, Сергей Шишлов, Андрей Шумков. Москва, 1996.
- 50) Н.Джавахишвили. Грузины под российским флагом (Грузинские военные и государственные деятели на службе России в 1703-1917 гг.). Тб., 2003.
- 51) Н.Джавахишвили. Санкт-Петербург центр русско-грузинских взаимоотношений (1703-2003 гг.).Тб., 2003.
- 52) Долгоруков П.В. Российская родословная книга. Ч.1-4. Спб., 1854-1857.
- 53) Кавказский календарь на 1846-1917 гг. Тифлис, 1845-1916.
- 54) Каландадзе Ц. Участие грузин в культурной и общественной жизни России. Тб., 1979.
- 55) Крылов-Толстикович. Придворный календарь на 1915 год (Комментарии), Москва, 2015, стр.42.
- 56) Лакиер. Русская геральдика. Спб., 1855.
- 57) Формуляр по Сенатскому архиву № 1460.
- 58) Allen W.E.D. A History of the Georgian People. London, 1971.
- 59) Histoire de la Georgie. Depuis L' Antiquite jusqu'au XIX siecle. Traduite du Georgien par M.Brossel. 1-re Parte.Histoire ancienne jusqu'en 1469 de J.-C.S.-Petersbourg, 1849.
Histoire de la Georgie. Depuis l'Antiquite jusqu'au XIX siecle. vol.V, 2-re partie, 4. Addition, t.IX, Traduction et additions par M.Brossel. S.-Petersbourg, 1856.
- 60) Jacques Ferrand. Familles Princieres de Geogrie. Vontreu. 1983.
- 61) Ferrand J. Les familles princieres de Geogrie. Paris, 1983.
- 62) C.Toumanoff. Manuel de genealogie et de chronologie pour l'histoire de la Caucaside Chretienne (Armenie-Georgie-Albanie). Roma, 1976.
- 63) Toumanoff C. Les dinasties de la Caucaside chretienne de l'Antiquite jusqu au XIX siecle. Tables genealogiques et chronologiques. Rome, 1990.
- 64) Toumanoff C. Les maisons princieres et de chronologie pour l'histoire de la Caucaside chretienne. Rome, 1976.
- 65) Chaffanjon A. Le petit Gotha ilustre. Paris, 1968.



ბაგრატოვანთა სახლი

THE BAGRATIONI'S HOUSE

თბილისი, დავით აღმაშენებელის გამზირი №65, 380002;
ტ.: (99532) 952703; ფაქსი: (99532) 956829; ელ.ფოსტა: Bagrationi@hotmail.com

65 David Amashenebeli ave, 390002, Tbilisi, Georgia; Phone (99532)
952703; FAX: (99532) 953829; E-mail: Bagrationi@hotmail.com

№ 43

28.03.2018 წ.

„ბაგრატოვანთა სახლის“ ოფიციალური პასუხი ქ-ნ მანანა ხომერიკს

„ბაგრატოვანთა სახლის“ წევრები გულდასმით გავეცანით ქ-ნი მანანა ხომერიკის წერილს, რომელიც გამოქვეყნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უკრნალში „მაცნე“ (2017 წ. №2), სადაც ქ-ნი მანანა ჩვენი საზოგადოების ისტორიკოს იოსებ ბიჭიკაშვილს ბრალს სდებს იმერეთის ბაგრატიონთა შტოსთან მიმართებაში დაშვებული უზუსტობების გამო. ქ-ნი ხომერიკი წერს: „ისტორიული ფაქტებისადმი ასეთმა, რბილად რომ ვთქვათ, თავისუფალმა მიღომამ, ბაგრატიონთა სხვადასხვა შტოების აღრევა და ისტორიის დამახინჯება გამოიწვია“. აღნიშნულ ბრალდებებზე ბ-ნი იოსები აპირებს პასუხის გაცემას, ჩვენ კი გვსურს, დავაფიქსიროთ და გამოვხატოთ ჩვენი შეშფოთება ქ-ნი მანანას აღნიშნული წერილის წაკითხვის შემდეგ. ნამდვილად სამწუხაროა, რომ თურმე, კერძო ინტერესების გამო, პიროვნებამ შესაძლებელია, საკუთარი ქვეყნის ინტერესები დაივიწყოს. როგორ ვერ უნდა მიხვდეს ადამიანი, რომ ამგვარი ქმედებით იგი საკუთარი ქვეყნის ერთიანობის იდეას ვნებს?! არ გვინდა დავიჯეროთ, მაგრამ, სამწუხაროდ, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს დღემდე აქვს სურვილი საქართველოს დაქუცმაცებისა.

2016 წელს ქ-ნი მანანა ხომერიკის თაოსნობით თვითნებურად დაარსდა „იმერეთის მეფეთა შთამომავალთა საზოგადოება“, რადგან ამის თაობაზე მიზანმიმდართულად არ იყვნენ საქმის კურსში ჩაყენებელნი იმერეთის ბაგრატიონთა შტოს უპირატესი ოჯახები, კერძოდ იმერეთის სამეფო სახლის ყოფილი წევრების - დავით ბატონიშვილისა (1781-1820) და კონსტანტინე ბატონიშვილის (1789-1844) პირდაპირი მემკვიდრე ოჯახები. შესაბამისად, ამ საზოგადოების ლეგიტიმურობის საკითხი ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია, ისევე როგორც მათ მიერ საზოგადოების თავმჯდომარედ და იმერეთის ტახტის მემკვიდრედ ირაკლი ბაგრატიონის (დვანკითელის) დასახელება. ბაგრატოვანთა დინასტიურ კავშირთან შეუთანხმებელი ასეთი ქმედება ჩვენს მიერ შეფასებულია თვითნებურ ქმედებად და მოკლებულია ყოველგვარ კანონიერებას. ამ თვითნებურ საქციელს აღტაცებით შეხვდენ „სამეფო კლუბის“ და „საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოს“ ხელმძღვანელები. საზოგადოების პრეზენტაციის მსვლელობისას, ზემოთაღნიშნულ თვითნებობას დაემატა ქ-ნი მანანა ხომერიკის მიერ დამსწრე საზოგადოების

მიზანშიმართულად შეცდომაში შეუვანა. მან საზოგადოებას წარუდგინა ბოროდინოს გმირის, პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონის ახალგაზრდობის პორტრეტი, რომელიც დვანკითელი ირაკლი ბაგრატიონის წინაპრად, კერძოდ უკანონოდ შობილი სიმონ ბაგრატიონის პორტრეტად გაასაღა. შემდგომ, ქმა ხომერიკმა ეს პორტრეტი ლიტერატურის მუზეუმს ჩააბარა, რომელსაც დაურთო საკუთარი ხელით დაწერილი განმარტებითი ტექსტი (იხ. სურ.1-3). გვსურს განვაცხადოთ, რომ ეს ტექსტი სავსეა ყალბი ინფორმაციით, როგორც ისტორიული კუთხით, ასევე სვიმონ ბაგრატიონის ბიოგრაფიული ცნობების თვალსაზრისით. კერძოდ, ქნავ მანანას, როგორც ისტორიკოს, ჯერ ერთი უნდა სცოდნოდა, რომ 1799 წელს პეტრე ბაგრატიონის მიერ მიღებული ორდენები ვერ იქნებოდა ევროპაში ნაპოლეონ ბონაპარტესთან ბრძოლით დამსახურებული ორდენები, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ, პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონმა პორტრეტზე გამოსახული ორდენები მიიღო ალექსანდრე სუვოროვთან ერთად ჩრდილოეთ იტალიისა და შვეიცარიის განთავისუფლებისათვის, მაშინ როცა საფრანგეთი ჯერ კიდევ რესპუბლიკა და ნაპოლეონ ბონაპარტე, როგორც ფრანგული არმიის ერთერთი მხედართმთავარი, 1798-1799 წლებში იბრძვის ეგვიპტეში. 1799 წლამდე ფრანგულ არმიას რუსუბის წინააღმდეგ ევროპის ტერიტორიაზე არ უბრძოლია. არადა მაშ რაცომ შეუავს შეცდომაში საზოგადოება ქნავ მანანა ხომერიკს, როცა წერს: „სვიმონი პეტრე ბაგრატიონთან ერთად იბრძოდა ევროპაში ნაპოლეონის წინააღმდეგ“. ასევე, პორტრეტის ასლის უკანა მხარის მინაწერში ქნავ მანანა ხომერიკი წერს: „სვიმონი, პეტრე ბაგრატიონის მსგავსად, 1799 წელს მიღებული აქვს მარიატერეზიას ორდენი, რომლითაც ავსტრიის იმპერატორი აჯილდოებდა და აგრეთვე წმ. მავრიკისა და ლაზარეს იტალიური ორდენი, რომელიც სავოის სამეფო სახლს ეკუთვნოდა“. ჩვენთვის გაუგებარია, თუ რომელ ისტორიულ წეროზე დაყრდნობით ამტკიცებს ქნავ მანანა ზემოთმოყვანილ ინფორმაციას, იმასთან დაკავშირებით, რომ სიმონ ბაგრატიონს აღნიშნული ორდენები თდესმე მიუღია. არსებობს ოფიციალური ნუსხები, სადაც ჩამოთვლილია ამ ორდენების კავალერთა სიები. მათ შორის არიან ისეთი ცნობილი ისტორიული პიროვნებები, როგორებიც იყვნენ: ა.ვ. სუვოროვი, მ.ი. კუტუზოვი, ა.უ. ველლინგტონი, მ.ბ. ბარკლაი-დე-ტოლლი, პ.ი. ბაგრატიონი, ი.ა. პოტიომკინი და სხვანი, ამ ცნობილ პიროვნებათა შორის არსად დვანკითელი სიმონ ბაგრატიონი არ აღინიშნება.

ფსევდომონარქისტულმა ძალებმა, რომლებმაც ვერ მოახერხეს მეცნიერულ დონეზე ერთიანი საქართველოს სამეფოს ტახტის მემკვიდრის, ბაგრატიონი-გრუზინსკების სამეფო ოჯახის უგულებელყოფა, ახლა უკვე მიადგნენ ჩვენი დინასტიის მიერ 2006 წელს ხელმოწერილ მემორანდუმს და ითხოვენ მის გაუქმებას. ამ მოწოდების ინიციატორი, როგორც ჩანს, ითავა ქმა მანანა ხომერიკმა.

მოგეხსენებათ, რომ ქნავ მანანა ხომერიკი თავად ისტორიკოსი ბრძანდება და, წესით, კარგად უნდა იცოდეს საქართველოს ისტორიის ის მტკიცნეული პერიოდი, როდესაც ქვეყანა პოლიტიკურ ერთეულებად დაიშალა, რაშიც დიდი წვლილი სწორედ შიდა სეპარატიზმის მიუძღვის. დასაწყისშივე გვსურს დავსვათ ასეთი შეკითხვა - ქნავ მანანა, თქვენთვის ფასეულია საქართველოს ერთიანობა? ვიმედოვნებთ, რომ თქვენი პასუხი იქნება დადებითი, რადგან როგორც ისტორიკოსს კარგად გეცოდინებათ, თუ რა ჯაფა და ძალისხმევა მოანდომეს ჩვენმა დიდმა წინაპრებმა ერთიანობის იდეის განხორციელებას, რომლის ერთ-ერთ სამაგალითო ნიმუშს (თუმცა, უშედეგოდ დასრულებულს) წარმოადგენს იმერთა მეფის, ალექსანდრე III-ის ეროვნული გეგმა, რომელიც, შესაძლოა, ერთ რანგში დავაყენოთ დიდი ქუჯი ეგრისელის მაგალითთან. მოგეხსენებათ, რომ მეფე ალექსანდრე III-მ პიროვნული ამბიციები დათმო, მიუხედავად იმისა, რომ მას ჰყავდა საკუთარი მემკვიდრე ბაგრატ ბატონიშვილის სახით, მან ერთიანი საქართველოს სამეფო ტახტზე აყვანის მიზნით იშვილა მეფე თეიმურაზ I-ის შვილიშვილი ლუარსაბ



სურ. 1. თავადი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი (1765-1812), რუსეთის არმიის პოლკოვნიკის ფორმაში (ასლი; ორიგინალი დაცულია რუსეთის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში).



სურ. 2. „იმერეთის მეფეთა შთამომავალთა საზოგადოების“ დაარსების პრეზენტაციაზე, ქ-ნი მანანა ხომერიკი დამსწრე საზოგადოებას წარუდგენს თავადი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონის პორტრეტის ასლს, როგორც სიმონ ბაგრატის ძე ბაგრატიონის პორტრეტს.

Նույն ճաշութել է Հայոցիներ (1770-1807) պատմական ժամանակաշրջանի վահանակության մասին պատմությունը:

Տոմազ անվագութեան աշխատակից բարեկարգ լուս
1771 թ.

1778 հց լոյնեմ 1-ի առ լոյն ըստու պէտքած
ուղար թէր, ոչից ճշուածով ու առ զի, լոյնու.
կի օրու գիտ, սիրեա օդիպան 53հներ հուսուհու,
ըստ միջազգային: Կառու ճշուածով առ, հուբուառ Հայու
հուպան.

Վաղարշապատի հայոց վանական պահանջման պահանջման մասին
(1765-1830).

1806 621 გნიფა ზოვგია, Georges Antoine
Kerzman-ა, გურელი სახ. სახელი, ბრძებული 362030
მხედრულ: ბ. ა. ბ. ბ. კუპრაშვილი, ბ. კოჭალა, ბ. ეგონი.
ლევან და თემი, ბ. მარტინ უგულაძე. ეს ყველა
615620 მონაცემი სახელი და გვარი და ფართი და გვარი
ფართი, გვარი.

38. Տպան Աղքամ Շահով, 1799 կմ Հայոց-
Տի Տես-Ուղարտ անգիս, Խազար օվկիանոսի
տեսաբայ և 1793 թ. Հայուս և Հայու շրջան
անգիս, Խաչը Խաչու Աղքամ Շահով Հայոցու.

26.6. Bn 248
11-06-9016

6804-p

სურ. 3. ქ-ნ მანანა ხომერიკის ხელით დაწერილი განმარტებითი ტექსტი თავადი პეტრე
ივანეს ძე ბაგრატიონის პორტრეტის ასლის უკანა მხარეზე (დაცულია ქართული
ლიტერატურის მუზეუმის იკონოგრაფიის განყოფილებაში, №6804-დ).

ბატონიშვილი. ლუარსაბის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ, ალექსანდრე III თხოვნით მიმართავს რუსეთის მეფეს, რათა მან საქართველოში გამოგზავნოს თეიმურაზ I-ის მეორე, უმცროსი შვილიშვილი, ერეკლე ბატონიშვილი, რათა უპვე ის გახდეს მისი შვილობილი და დაიკავოს ერთიანი საქართველოს ტახტი. აქვე აღსანიშნავია, რომ ამას აკეთებს ის მეფე, რომელიც თავისი სიძლიერით გამოირჩევა სხვა იმერეთის მეფეთაგან, კერძოდ, ალექსანდრეს დროს იმერეთის სამეფო იბრუნებს თავის სიძლიერეს და ხდება მთელი დასავლეთ საქართველოს პეგამონი. ეს ისტორიული მაგალითი მიგვითოთებს არა მხოლოდ ალექსანდრე III-ის დიდსულოვნებაზე, არამედ, ასევე ხაზს უსვამს ლეგიტიმიზმის საკითხსაც, კერძოდ, თუ რომელი სამეფო შტოდან უნდა ყოფილიყო ერთიანი საქართველოს მეფე.

საქართველოს ერთიანობაზე ზრუნავდა იმერეთის სასულიერო თუ საერო ელიტაც, როცა 1790 წელს მეფე ერეკლე II-თან ჩავიდა და სთხოვა როგორც იმერეთის სამეფოს, ასევე სამთავროების მიერთება, თანაც, ეს მოხდა მაშინ, როცა იმ პერიოდისათვის იმერეთში ცხოვრობდა როგორც სოლომონ I-ის შთამომავლობა, ასევე იმერეთის ბატონიშვილთა სხვა შტოების წარმომადგენლებიც. მიუხედავად იმისა, რომ ერეკლე II-მ, იმდროინდელი საგარეო პოლიტიკიდან გამომდინარე, თავი შეიკავა ამ ნაბიჯისგან, ეს ფაქტი მაინც მიანიშნებს იმაზე, რომ ქართველთათვის მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის გაერთიანება, თანაც გიორგი VIII-ის შთამომავალთა გვირგვინის ქვეშ. ასევე, არ შეიძლება, აქვე არ ვახსენოთ 1790 წლის „ივერიულთა ტრაქტატი“, რომლის მთავარი შედეგიც იყო ქართულ სამეფო-სამთავროთა „საუკუნოდ ერთგვამად შეერთებასა ამას ზემოისა და ქვემოისა ივერიისათანა“, რაც ნომინალურად მომდევნო 11 წლის მანძილზე განხორციელდა კიდეც. ხაზგასასმელია, რომ ივერიულთა ხელშეკრულების შესახებ ეცნობა რუსეთის საიმპერატორო კარს, რომელიც ამ ამბავს დუმილით შეხვდა, რადგან მის ინტერესებში არ შედიოდა ერთიან, ძლიერ საქართველოსთან ურთიერთობა. როგორც ჩანს, მას დაგეგმილი პქრნდა დაქუცმაცებული საქართველოს ცალ-ცალკე ანექსია, რაც განახორციელა „ჩინ-მედლებსა“ და გამორჩენას დახარბებული მოღალატე ადამიანების ხელშეწყობით.

უფლის წევალობით, მიუხედავად მრავალი ისტორიული ქარტებილისა, საქართველომ ჩვენ დრომდე მოადწია როგორც ერთიანმა სახელმწიფომ. როგორც ჩანს, ქვეყნის ერთიანობაზე ასევე ზრუნავდა ბატონიშვილი ნინო დავითის ასული ბაგრატიონი-იმერეტინსკი, რომელმაც 2006 წელს, „მემორანდუმზე“ ხელმოწერით დაადასტურა ერთიანი საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრის ვინაობა და ამ ქმედებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბატონიშვილი ნინო შეუერთდა იმ დიდ წინაპრებს, რომელთა მიზანს საქართველოს ერთიანობა წარმოადგენდა.

სამწუხაოდ, რამდენადაც საოცარი არ უნდა იყოს, ზოგიერთ თანამედროვე ქართველს ქვეყნის ერთიანობის მნიშვნელობა ბოლომდე გააზრებული არა აქვს, რადგან დაპირისპირებისა და ქაოსის ხელოვნურად შექმნის მიზნით, ლეგიტიმურ ტახტის მემკვიდრეს ხან ერთ არალეგიტიმურ „მემკვიდრეს“ უპირისპირებენ, ხან მეორეს. ასეთი ხერხი, სწორედ რომ დამპყრობელი იმპერიებისათვის იყო დამახასიათებელი, რისი მაგალითობითაც სავსეა ჩვენი ისტორია.

2006 წელს, ჩვენ მიერ ხელმოწერილი მემორანდუმით დაგანახვეთ მტერსაც და მოყვარესაც, რომ ჩვენ, ბაგრატიონები ერთმანეთს კი არ ვეკინკლავებით ან ვებრძვით პირველობისათვის, არამედ პირიქით, გვაქვს მკაცრად ჩამოყალიბებული სტრუქტურა, რომელიც ძირითადად ისტორიულ-გენეალოგიურ სიმართლეზეა დაფუძნებული და გამჭარებული ლეგიტიმიზმის პრინციპით, ამიტომ კვლავ განვაცხადებთ და მოვუწოდებთ იმ პირვენებებს, რომელნიც მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში ჩვენს საგვარეულოში დაპირისპირებას (სასელექციო პროცესით) ხელოვნურად ქმნიან, ნუ ეცდებიან ჩვენი საგვარეულოს ერთობის მოშლას! ასეთი ქმედება არ პასუხობს ქართველი ერის ერთობის ამოცანებს!

უფალი გვფარავდეს!

„ბაგრატოვანთა სახლის“ სახელით

წინამდობლი, ბატონიშვილი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი

წინამდობლის მოადგილე გიორგი ბაგრატიონი-ჯაფარიძე

წინამდობლის მოადგილე ჯანსუდ (ჯანო) ბაგრატიონი-დავითიშვილი

წინამდობლის მოადგილე ნოდარ ბაგრატიონი-დავითიშვილი

მიხეილ ბაგრატიონი-ბაბადიში

გიორგი ბაგრატიონი-ბაბადიში

მარიამ ბაგრატიონი-მუხრანელი

ნინო ბაგრატიონი-დავითიშვილი

ნათია ბაგრატიონი-დავითიშვილი

გიორგი ბაგრატიონი-რამაზიშვილი

მამუკა ბაგრატიონი-დავითიშვილი

გიორგი ბაგრატიონი-დავითიშვილი

ნოდარ ბაგრატიონი-დავითიშვილი

გ. გ. გ.



დანართი II



ბაგრატოვანია სახლი

THE BAGRATIONI'S HOUSE

თბილისი, დავით აღმაშენებელის გამზირი №65, 380002;
ტ.: (99532) 952703; ფაქსი: (99532) 956829; ელ.ფოსტა: Bagrationi@hotmail.com

65 David Amashenebeli ave, 390002, Tbilisi, Georgia; Phone (99532)
952703; FAX: (99532) 953829; E-mail: Bagrationi@hotmail.com

№ 47

15.07.2018 წ.

ბატონიშვილი ნინო დავითის ასული ბაგრატიონი-იმერეტინსკის ოჯახის წევრების პასუხი ქნ მანანა ხომერიკს

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნე“-ში (2017 წ. №2) მანანა ხომერიკის მიერ გამოქვეყნებულმა სტატიამ ჩვენი გაოცება და იმავდროულად აღმფოთება გამოიწვია, ჯერ იმ არაპროფესიონალიზმა და სტილმა, რომელიც უფრო ბულვარული გამოცემის მკითხელებისათვის იქნებოდა შესაფერისი, მერე კი ნინო დავითის ასული ბაგრატიონი-იმერეტინსკისა და მისი წინაპრებისადმი ყოვლად გაუგონარმა და უსაფუძვლო პასკვილებმა, რომელთაც არავითარი საერთო არა აქვს საისტორიო მეცნიერების კვლევებთან.

შესაძლოა დიდი ხანი დასჭირდეს ყველა იმ შეცდომისა და არასწორად გამოტანილი დასკვნების ჩამოთვლას, რომლებითაც უხვად არის გაჯერებული მ. ხომერიკის აღნიშნული სტატია, უპრიანია ეს საქმე მიენდოს პროფესიონალ ისტორიკოსებს, რომელთა სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებაა ბაგრატიონთა ისტორიისა და გენეალოგიის კვლევა. ამასთან დაკავშირებით სრულიად დამაჯერებლად მიგვაჩნია ბ-ნი იოსებ ბიჭიკაშვილის საპატიო სტატია, რომელიც დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნე“-ში (2018 წ. №1), სადაც პუნქტობრივად არის გაბათილებული ყველა ის ცრუ პოსტულატი, რომელიც მანანა ხომერიკის სტატიაშია მოყვანილი.

მანანა ხომერიკის ლოგიკას თუ გავყვებით „სამართლიანობის აღდგენისათვის“ საჭიროა 7 თაობით უკან დაბრუნება (ანუ XVIII ს-ის მეორე ნახევარში), ბატონიშვილი ბაგრატის დაქორწინება ქალზე, რომლის გვარიც კი არავინ იცის. ეს ინსინუაციები აშკარად აბსურდულია, მიუხედავათ ჩვენი პატივისცემისა ბატონიშვილი ბაგრატის მრავალრიცხოვანი შთამომავლების მიმართ.

იმ მიზნით, რომ რამდენადმე საფუძვლიანი გახადოს სხვათა გავლენის ქვეშ მყოფი ახალგაზრდა კაცის ბუნდოვანი მისწრაფებები, ქალბატონი მანანა ხომერიკი „სამართლიანობის აღდგენის“ მიზნით ისტორიულ აღმასვლას იწყებს XVIII ს-ის მეორე ნახევარამდე, იმ ეპოქამდე, როცა იმერეთის მეფე სოლომონ I-ის ძმამ, ბატონიშვილმა ბაგრატმა აღიარა უკანონოდ შობილი ვაჟი და მისცა თავისი გვარი და სააზნაურო მამული სოფელ დვანკითში. შემდგომ, ბატონიშვილ ბაგრატს კანონიერი ქორწინებიდან შეეძინა ვაჟი დავითი, რომელმაც იმდროინდელი კანონმდებლობით მემკვიდრეობით მიიღო მამის ტიტულიც და სათავადო მამულიც.

აქედან იწყება ცინიზმითა და შეურაცხყოფებით სავსე ინსინუაციები ბატონიშვილი ბაგრატის ყველა კანონიერი შთამომავლის მისამართით, მათ შორის „ბაგრატოვანთა სახლი“-ს პირველი წინამდოღის ბატონიშვილი ნინო დავითის ასული ბაგრატიონისა (გარდაიცვალა 2009 წელს). შეურაცხმყოფელი განცხადებები იმ ადამიანის მისამართით, რომელმაც უზარმაზარი ძალა და ენერგია შეალია „ბაგრატოვანთა სახლი“-ს დაარსებას და მისი პრესტიჟის გაზრდას საზოგადოებაში, ასევე ბაგრატიონთა ყველა შტოს გენეალოგიისა და ისტორიის მრავალმხრივ შესწავლის ორგანიზებას. რაც მთავარია ეს იყო ის ადამიანი, რომელმაც ყველაზე ქმედითი მონაწილეობა მიიღო „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიული მემორანდუმის შექმნაში. სწორედ ამ ისტორიული დოკუმენტის გაბათილებაა მანანა ხომერიკისა და მის უკან მდგომი ძალების ბრძოლის მთავარი მიზანი, რადგან მათვის მიუდებელია ბაგრატოვანთა საგვარეულოს ერთობა და დინასტიური სამართალი, რომლის თანახმადაც ერთსულოვნად აღიარებულ იქნა ბატონიშვილი ნუგზარ ბაგრატიონიგრუზინსკი, როგორც ერთიანი საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრე. თავისი ხელმოწერით ბატონიშვილმა ნინომ გაიმეორა ჩვენი დიდი წინაპრის, იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის მიერ წარსულში გადადგმული მამულიშვილური ნაბიჯი, რომელიც საქართველოს გაერთიანებას ისახავდა მიზნად.

იმ წლებში, როდესაც ბატონიშვილი ნინო იყო წინამდოღი, „ბაგრატოვანთა სახლი“ ჩართული იყო საზოგადოებრივ პროცესებში, აქტიურად მონაწილეობდა ახალი სახელმწიფოს სიმბოლიკის შექმნაში და რაც მთავარია შექლო გაეერთიანებინა პრაქტიკულად ყველა შტოს ბაგრატიონები, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ მცხოვრები.

ამ პროცესების სათავეში მყოფ ადამიანებს უჭიველად ემასსოვრებად ყველა ჩვენთაგანისათვის ის ბედნიერი დღე, როდესაც მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრში ორგანიზებულ საერთო კრებაზე პირველად დაგვირიგდა „ბაგრატოვანთა სახლი“-ს წევრთა დამადასტურებელი მოწმობები, რასაც ყველანი დიდი სიამაყითა და პატივით ვატარებდით და დღესაც ვატარებთ.

გვსურს ხაზი, გავუსვათ, რომ აღნიშნული პროცესების აქტიური მონაწილეები, ასევე იყვნენ ზემოთ მოხსენიებული ოჯახის („დვანკითელების“) წარმომადგენლები, კერძოდ მერი და ციალა ბაგრატიონების ოჯახები, მათი შვილები და შვილიშვილები, ამიტომ გაუგებარია ქ-ნი მერისა და ქ-ნი ციალას მმის შთამომავლების დღევანდებები, იმის თაობაზე თითქოს იმერეთის ეს შტო როდესმე იგნორირებული იყო „ბაგრატოვანთა სახლი“-ს მხრიდან. ამის მტკიცებულებას კი წარმოადგენს 1995 წლის „ბაგრატოვანთა სახლი“-ს დამფუძნებელი კრების ოქმი, სადაც მათი ხელმოწერებია დაფიქსირებული.

იმ წლებში „ბაგრატოვანთა სახლი“ აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს საპატრიარქოსთან და სარგებლობდა კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის მფარველობითა და მხარდაჭერით, სწორედ მისი ლოცვა-პურთხევით დაარსდა „ბაგრატოვანთა სახლი“, რომელიც საკონსტიტუციო მონარქიულ წყობას, რომელიც მრავალი წარმატებული ეპროპული ქვეყნის მოდელს წარმოადგენს, თვლის ყველაზე მისაღებ ფორმად საქართველოსათვის. ამ ფონზე მანანა ხომერიკის ფსევდომეცნიერული მოდგაწერა სრულიად დისკრედიტირებს ამ იდეას, რის ნათელ მაგალითსაც წარმოადგენს მის მიერ თვითნებურად მოგონილი „იმერეთის სამეფო სახლი“. როგორც ჩანს, მანანა ხომერიკი და მის უკან მდგომი ადამიანები იღუზიებს უქმნიან ამბიციურ ახალგაზრდას, რომელსაც რატომდაც იმის იმედი აქვს, რომ ისტორიული ფაქტების გადაკეთებითა და დამახინჯებით მას რაიმე მნიშვნელობას მიანიჭებენ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საბოლოოდ მას შერცხვება თავისი საქმიანობის გამო, რომ ის გახდა ბრმა იარაღი იმ ძალების ხელში, რომლებიც უგანასკნელი 28 წლის მანძილზე ცდილობენ ბაგრატიონთა დინასტია წარმოაჩინონ ქაოსურ ორგანიზა-

ციად, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. სწორედ ჩვენი დინასტიის ყველა შტოს მიერ „ბაგრატოვანთა სახლი“-ს მემორანდუმზე ხელმოწერა ადასტურებს ჩვენს ერთიანობას, რომლიც წინააღმდეგაც ასე აქტიურად იღაშქრებს ფსევდომეცნიერი მანანა ხომერიკი.

ჩვენ ასევე გვაოცებს საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოს ხელმძღვანელთა პოზიცია, რომლებიც ბრძად იზიარებენ ასეთ ფალსიფიკაციას.

მანანა ხომერიკი იმ მიზნით, რომ რამენაირად მაინც შეურაცხვოს ჩვენი ოჯახი, ჭორების შეგროვებასაც არ თაკილობს და არც ჩვენი ყოფილი ისტორიული მოურავების, თავადი ხიდირბეგიშვილების მისამართოთაც არ იშურებს შუერაცხ-მყოფელ სიტყვებს, ეძახის მათ მკვლელებსა და ბანდიტებს, რამაც ბუნებრივია გამოიწვია აღმფოთება მათ შთამომავლებში.

ჩვენ ვთვლით, რომ ისტორია მოეწყო ისე, როგორც მოეწყო და ჩვენმა საერთო წინაპრებმა და ჩვენმა უშუალო წინაპრებმაც დირსეულად გაატარეს თავის წუთისოფელი. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ბატონიშვილი ნინო დავითის ასული ბაგრატიონი, რომელმაც თავისი ხანგრძლივი და ამავე დროს რთული ცხოვრება განვლო დირსეულად და სიამაყით ატარებდა თავის დიდებულ გვარს.

ფსევდომეცნიერი მანანა ხომერიკი, მოქმედებს ცნობილი სქემით: რაც შეიძლება მეტი შეურაცხყოფა და ცილისწამება, ხოლო თქვენ მიდით და იმართლეთ თავი. რაც შეეხება თავის მართლებას, ჩვენ ეს ნამდვილად არ გვესაჭიროება.

ჩვენ კატეგორიულად მოვუწოდებთ მანანა ხომერიქს დაიცვას ადამიანური ეთიკის ნორმები, რადგან ჩვენ არ მოვითმენთ მეტ შეურაცხყოფას და ცილისწამებას ჩვენი უშუალო წინაპრების მიმართ. მან უნდა აღიაროს თავისი შეცდომები და ბოდიში მოიხადოს საზოგადოების წინაშე, მათი მიზანმიმართულად შეცდომაში შეუვანის გამო.

გიორგი ბაგრატიონი-ჯაფარიძე

დალი ბაგრატიონი-ჯაფარიძე

A photograph showing a handwritten signature "B. J. Ray" and "B. J. Ray" written vertically below it, both in black ink. To the right is a circular blue ink stamp with the text "BUREAU OF INVESTIGATION" around the top and bottom edges, and "DEPARTMENT OF JUSTICE" in the center.

P. S. სულ ეხლახან საქართველოს სამეფო სახლის კანცელარიის ელექტრონულ მისამართზე მივიდა საინფორმაციო წერილი, რომელიც გამოგზავნილი იყო იტალიაში არსებული გარკვეული ჯგუფის მიერ, რომელსაც იტალიაში ფაშისტური იდეოლოგიის მეხოტბეებად იცნობენ. ამ ჯგუფმა, არც ისე დიდი ხნის წინათ, საკუთარი თავი გამოაცხადა საქართველოს სამეფო სახლის წარმომადგენლად იტალიაში, რომლის მეთაურად, რამდენადაც ირონიულად არ უნდა ჟღერდეს, ირაკლი ბაგრატიონი (დვანჯითელი) ჰყავთ მოაზრებული. აღნიშნულ წერილში ირაკლი ბაგრატიონს მოიხსენებენ „იმერეთის, საქართველოს, სომხეთისა და კილიკიის“ მემკვიდრე პრინცად. ასევე, თვალში მოსახვედრია ისიც, რომ მას ბაგრატიონ-იმერეტინს კადაც კი მოიხსენიებენ. ის, თუ რაოდენ აბძურდულია მისი კილიკიის ტახტის მემკვიდრეობა, ან საქართველოს ტახტის მემკვიდრეობა, ან გინდა სომხეთისა, ეს მკითხველისთვის მიგვინდია.

დანართი III

აურზაური „ქართულ გენეალოგიურ საზოგადოებაში“

(პირველად დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში, №88
(1 მაისი, თბ., 2018 წ.)

თქვენს გაზეთში, „საქართველოს რესპუბლიკა“ 2018 წლის №78, გვ.8, გამოქვეყნდა ე.წ. „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ თავმჯდომარის, ბ-ნი იური ჩიქოვანის ორი განცხადება, რომელთაგან ერთი ეხებოდა ჩემს შტოს, კერძოდ ბაგრატიონ-დავითიშვილების აზნაურულ განშტოებას. ბ-ნი იური ბოდიშს იხდის იმისთვის, რომ მის მიერ 2013 წელს გაცემული საბუთი, რომელიც ცხადყოფდა ჩვენი შტოს წარმომავლობას ბაგრატიონ-დავითიშვილების თავაღური შტოსგან, რასაც თავისი ხელმოწერითა და ბეჭდით ადასტურებდა, 5 წლის შემდეგ, მისთვის რატომდაც საეჭვო გახდა და როგორც აღნიშნავს, კვლავ ჩაატარა გამოკვლევა რის შედეგადაც დაადგინა, რომ ეს კავშირი ადარ დასტურდება. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ბ-ნი იური ამაში რატომდაც ადანაშაულებს „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიკოსს და „საქართველოს სამეფო სახლის“ ისტორიული განყოფილების ხელმძღვანელს, ფაზისის აკადემიის აკადემიკოსს ბ-ნ იოსებ ბიჭიკაშვილს. მე საზგანმით მინდა აღვინიშნო, რომ ამ წერილით არ მივმართავ ბ-ნ იურის, რადგან არ ვთვლი მას პასუხის გაცემის ღირსად, არამედ თავს ვალდებულად ვთვლი მის მიერ შეცდომაში შეყვანილ საზოგადოებას მივაწოდო სწორი ინფორმაცია. პატივცემულო მკითხველო საზოგადოებავ, ყველაფერს მოგახსენებთ თანმიმდევრულად.

ჩემთვის ბავშვობიდან იყო ცნობილი ჩემი გვარის-დავითიშვილის ბაგრატიონთაგან წარმომავლობა. მოგეხსენებათ ბაგრატიონობა საკმაოდ მძიმედ აღიქმებოდა საბჭოთა საქართველოში. 1989 წლის შემდგომ, ეტაპობრივად დაიწყეს ბაგრატიონთა განშტოებებმა გვარის დაბრუნება. 1995 წელს პატრიარქის კურთხევით დაარსდა დინასტიური კავშირი „ბაგრატოვანთა სახლი“ და დაიწყო აღორძინება ევროპაში ყველაზე ძველმა დინასტიამ. ამ პროცესებში გაიხსნა და ისტორიულად დალაგდა ბაგრატოვანთა დინასტიის გენეალოგია. უდიდესი შრომა და ფასდაუდებელი ღვაწლი ჩადო ამ საქმეში ბ-ნმა იოსებ ბიჭიკაშვილმა. ჩემთვის ბ-ნი იოსები თანამედროვე დროის უდიდესი ისტორიკოსია. დინასტიური კავშირი „ბაგრატოვანთა სახლი“, ასევე „საქართველოს სამეფო სახლი“, „საქართველოს ეროვნული აკადემია“, „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია“ დამსახურებულად უცხადებს სრულ მხარდაჭერას ბ-ნ იოსებს. ფაქტობრივად, 2000 წლისათვის ბაგრატიონთა ყველა განშტოება მეცნიერულად უკვე იყო დაფიქსირებული. მხოლოდ ჩვენი აზნაურული განშტოება იყო დარჩენილი და მე, 2006 წლის ბოლოს, უცხოეთიდან დაბრუნების შემდგომ, გადავწყვიტე დოკუმენტურად დამედასტურებინა ჩემი შტოს წარმომავლობა და ამით დაგბრუნებულიყავი ჩემს დიდ ისტორიულ ოჯახში. ჩემს ასეთ მოწარინებას საფუძველი დაუდო ჩემმა სამ წლიანმა ცხოვრებამ ინდოეთში, რამაც ჩემს სულიერ განვითარებაზე დიდად იმოქმედა. ამის შესახებ ჩემი სტატიები გამოქვეყნდა უკუნალ „თბილისელებში“, „სარკეში“, „პოროსკოპი-რევიუ“, ვისაუბრე საპატრიარქოს რადიოთი, ამიტომ ამ საკითხს რასაკვირველია ეხლა არ შევეხები.

გვარის აღდგენას ბუნებრივია ესაჭიროება ისტორიულ დოკუმენტაციასთან ერთად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები და დაგიწყე ამ საკითხის შესწავლა. 2008-2009 წლებში მივაკითხ ისტორიის ინსტიტუტს და სახელმწიფო არქივს. სწორედ მაშინ გავიგე ინფორმაცია, რომ თურმე

გარკვეული პიროვნებები დავითაშვილის გვარის მქონე ზოგიერთ მოქალაქეს დახმარებიან ბაგრატიონის გვარის ოფიციალურად მიღებაში, არადა დღეს უკვე მეცნიერულად დადასტურებულია, რომ (განსხვავებაა ერთ ასოში - „ა“) დავითაშვილებს არავითარი კავშირი ბაგრატიონებთან არა აქვთ. დავითაშვილები 3500 ადამიანი ცხოვრობს საქართველოში, ხოლო დავითაშვილები 72 ადამიანი, თანაც ყველასთან დღემდე ნათესაურ ურთიერთობას ვინარჩუნებ. კვლევის პროცესში მივაკითხე ბ-ნ იური ჩიქოვანს, რომელიც განათლებით ინგლისური ენის სპეციალისტი გახდავთ და რომელმაც თავად მიამბო, რომ მას პირველად საკუთარი გვარი გამოუკვლევია, რის შემდეგაც დაინტერესებულა ამ სფეროთი და საკმაოდ დახელოვნებულა კიდეც. თუმცა მოგეხსენებათ, რომ გენეალოგია ისტორიის დამხმარედისციპლინაა და გენეალოგობა ისტორიის საკმაოდ დიდ ცოდნას მოითხოვს, რაც შესაბამისი კვლევისათვის უმნიშვნელოვანესია.

ბ-ნი იური ძალიან დიდი სიხარულით შემხვდა, როდესაც გაიგო თუ რა საკითხით ვიყავი მისული და დამპირდა დახმარებას. დღემდე მახსოვს როგორი სითბოთი მომკიდა ხელებზე ხელი და მითხრა: „აქამდე სად იყავითო“. დამპირდა ყველაფერში დახმარებას და დავთქვით შემდეგი შეხვედრა. შემდგომ, ბ-ნმა იურიმ მითხრა, რომ არქივიდან მომეტანა მამახემის პაპის ამონაწერი, მას, თუ თავადი, ან აზნაური ეწერებაო, ცალსახად ეს ნიშნავს ბაგრატიონობასო. პატივცემულო მკითხველო, მოგეხსენებათ, რომ არქივი ოკეანეა, სადაც ნემსს ეძებთ. ამას სერიოზული სწავლა და გამოცდილება სჭირდება და ჩემს მიერ არქივიდან გამოთხოვილი საბუთი საბეჭდ მანქანაზე აკრეფილი მომაწოდეს და არა კამერალური აღწერის ჩანაწერის ქსეროასლი, რომელზეც მამახემის პაპის წოდება არ ჩანდა. აღნიშნული საბუთი მიუტანე ბ-ნ იურის, რაზეც მან მიპასუხა, რომ აქ არ არის წოდება მითითებულიო. მან რატომდაც არ ამისსნა და არც მიმანიშნა, თუ როგორ მოვქცეულიყავი, არ მითხრა, რომ თურმე საჭირო იყო კამერალური ჩანაწერის ქსეროასლის მოთხოვნა. ერთ დღეს სრულიად შემთხვევით, ერთ-ერთი სატელევიზიო გადაცემის ყურებისას, ყურადღება მივაქციე აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის საუბარს ბაგრატიონთა განშტოებებზე. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა ისტორიულ დეტალებს ჩემს განშტოებაზეც. სასწრაფოდ დავუკავშირდი ბ-ნ იაკობს, დმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული. ბ-მა იაკობმა გულდასმით მომისმინა და დაიწყო მისი პირადი არქივის საბუთების გადახედვა, მათ შორის მისთვის უკვე ცნობილი საარქივო დოკუმენტებისა. გარკვეული დროს განმავლობაში მან შეისწავლა ჩემი საკითხი და მომცა დასკვნა ჩემი შტოს ბაგრატიონებთან კავშირის თაობაზე (იხ. სურ. 28). გამაცნო ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი და წევრები, სადაც განაცხადა, რომ მე დანამდვილებით ვიყავი ბაგრატოვანთა შტოს წარმომადგენერლი და თხოვა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, მოადგილეებს და წევრებს დამხმარებოდნენ ისტორიული გვარის ბაგრატიონის აღდგენაში. იმ დროისთვის, ეს ხდება 2010-2011 წლებში. ჟურნალ „თბილისელებში“ მას მიყავდა რუბრიკა „გვარი და გვარიშვილობა“. ერთად მივეღით რედაქციაში და გამოაქვეყნა ჩემი გვარის მოკლე ისტორიული ანალიზი (2011 წელი). ამიყვანა დამხმარეთ არქივში და მასწავლა საარქივო საბუთებთან მუშაობა, სურდა, რომ ჩემი თვალით მენახა არქივში მუშაობის სფერიზიკა. ამასთან ერთად, ასაკიდან გამომდინარე იგი რეალურად საჭიროებდა დახმარებას მეცნიერულ კვლეუბში (უჭირდა არქივის შენობაში გადაადგილება, სხვადასხვა გამოთხოვლი ფონდებიდან საბუთების წაკითხვა, მხედველობის პროცედურის გამო). გამარკია ფონდების არსში და აქედან მოყოლებული მე უკვე ვიწყებ მუშაობას არქივში. საკმაოდ თბილად განეწყო ჩემს მიმართ და აღსარებასავით მომიყვა ბევრი რამ, რასაც რათქმაუნდა არ გავახმოვანებ. ასე გმუშაობდით თვეების მანძილზე არქივში.

ბ-ნი იაკობის დახმარების პარალელურად, მე პირადად სრულად შევისწავლე დავითაშვილების გვარის ისტორია, როგორც თავადურის, ისე აზნაურულის. ჩემი აღმავალი შტო სრულად აღმოვაჩინე გორის რაიონის სოფელ შინდისის წმინდა

გიორგის ეკლესიის აღწერებში (**იხ. სურ. 29-31**). აზნაური დავითიშვილების სრული ჩანაწერების შემდეგ სურათი ნათელი გახდა - სხვა დავითიშვილები, გარდა თავა-დური განშტოებისა და აზნაურულისა არ არსებობს.

ჩემი კვლევის სისწორეს ნათლად ადასტურებდა იოანე ბატონიშვილის „შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“, აგრეთვე 1783 წლის „გეორგეგასის ტრაქტატში“ მოყვანილი თავადაზნაურთა აღწერა. ბ-ნი იაკობი, როგორც ზემოთ ვახსენე, უკვე საკმაოდ მოხუცებული იყო და მირჩია კვლავ მივსულიყავი ბ-ნ იურისთან, მიმეტანა ეს საბუთები სრულად და მეთხოვა დახმარება. ასევე, მითხორ დავკავშირებოდი „საქართველოს სამეფო სახლის“ მეთაურს და დინასტიური კავშირის „ბაგრატოვანთა სახლის“ წინამდოლს, მის სამეფო უმაღლესობას, ბატონიშვილ ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკის.

ჩემი უფროსი მეგობრის, აკადემიკოს რევაზ ბალანჩივაძის დახმარებით მოვხვდი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, სადაც იმ დღეს მიმდინარეობდა ქ-ნი დენიზა სუმბაძის წიგნის განხილვა. ამ განხილვას ესწრებოდნენ მეცნიერები, ბატონიშვილი ნუგზარი და ასევე, იმერეთის მეფეთა პირდაპირი ლეგიტიმური შთამომავალი თავადიშვილი გიორგი ბაგრატიონ-ჯაფარიძე. აღნიშნული დონისძიების შემდეგ, მე მივედი ბატონიშვილ ნუგზართან, პირადად გაეცანი მას და მივაწოდე მოკლე სიტყვიერი ინფორმაცია ჩემი კვლევის თაობაზე. ბატონიშვილმა მიმითოთა პროცედურის გზა, რათა აღნიშნული მასალით მიმემართა დინასტიური კავშირის „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიული განყოფილების ხელმძღვანელი-სათვის და „ქართულ გენეალოგიურ საზოგადოების“ თავმჯდომარის მოადგილე-სათვის - ბ-ნი იოსებ ბიჭიკაშვილისთვის. საკითხი უნდა ყოფილიყო შესწავლილი და გადამოწმებული „ქართული გენეალოგიური საზოგადოების თავმჯდომარის, ბ-ნ იური ჩიქოვანისა და მისი მოადგილის ბ-ნი იოსებ ბიჭიკაშვილის მიერ. აღნიშნულ საზოგადოებას მიცემული ქონდა უფლებამოსილება დინასტიური კავშირის „ბაგრატოვანთა სახლისა“ და „საქართველოს სამეფო სახლის“ მხრიდან. ბ-ნ იურის მე უკვე ვიცნობდი, მაგრამ ბ-ნ იოსებს არა. დანარჩენ დეტალებს ქვემოთ მოგახსენებთ.

„ქართული გენეალოგიური საზოგადოება“ დაფუძნდებული იყო 1995 წელს, 59 დამფუძნებლის მიერ. თავმჯდომარედ არჩეული იყო ბ-ნი იური ჩიქოვანი, ხოლო მოადგილედ „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიკოსი და „საქართველოს სამეფო სახლის ისტორიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბ-ნი იოსებ ბიჭიკაშვილი. ბ-ნი იურისთან პირველი შეხვედრა-გაცნობიდან უკვე თითქმის სამი წელი იყო გასული. ბატონიშვილი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის მითითების შემდეგ მე კვლავ მივდივარ ბ-ნ იურისთან და ვაცნობ მას ჩემს მიერ არქივიდან ამოღებულ საბუთებს და შრომას. ბ-ნი იურის გაკვირვებას და აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა. ხოტბა შემასხა, ემოციას ვერ მაღავდა. გამოიღო დავითიშვილების გენეალოგიური ტაბულა. პირველი რაც აღნიშნა მან, ეს იყო მახასიათებელი სახელები. შემდეგ პირდაპირ დააკავშირა ერთ-ერთ თავად ბაგრატიონ-დავითიშვილს, ცოტა ხანში გადაურექა ბატონიშვილ ნუგზარს და აღფრთოვანებით განუცხადა: მე ვადას-ტურებ მამუკა დავითიშვილის ბაგრატიონებიდან წარმომავლობასო. დამიდასტურა, რომ გასცემდა „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ საბუთს. ამის შემდგომ, ბ-ნ ჯანო ბაგრატიონს გარდაეცვალა მმა, ბ-ნი გიორგი ბაგრატიონ-დავითიშვილი. გასვენებაში ბატონიშვილმა ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკიმ გამაცნო ბ-ნი იოსებ ბიჭიკაშვილი, ეს ხდება 2013 წელს, მან ჩემს წინაშე ბ-ნ იოსებს დაავალა, რათა მას ისტორიულ-გენეალოგიური კუთხით კიდევ ერთხელ შეესწავლა აღნიშნული დოკუმენტაცია და დაედასტურებინა ბ-ნი იური ჩიქოვანის დასკვნა. ამის შემდგომ, ბ-ნი იოსები დეტალურად ეცნობა საბუთებს და ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს აღნიშნულ საკითხს. ერთადერთი შესწორება, რაც ბ-მა იოსებმა ბ-ნი იურის მიერ წარმოდგენილ გენეალოგიურ სექმაში შეიტანა, ეს იყო სახელთა გადაბმის ერთი მონაკვეთი და აღნიშნული დოკუმენტაცია ისევ ბ-ნ იურისთან გამატანა, რომელმაც

საბოლოოდ ხელი მოაწერა და ბეჭედი დაუსვა აღნიშნულ საბუთს. ამის შემდგომ მივმართე იუსტიციის სახლს ისტორიული გვარის აღდგენაზე. საკმაოდ მკაცრი დამოკიდებულება იყო ბაგრატიონის გვარის დაბრუნებასთან დაკავშირებით. იუსტიციის სახლმა შექმნა სპეციალური კომისია და სრულყოფილად შეისწავლა აღნიშნული საკითხი. მე მინდა ამისათვის მადლობა გადავუხადო მათ. გთავაზობთ აღნიშნული გადაწყვეტილებიდან მოკლე ამონარიდს. იწყებოდა აკადემიკოსი ქ-ნი მარიამ ლორთქიფანიძის დასკვნით (ლმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული).

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურიდან გამოითხოვა ბეჭან დავითიშვილის ისტორიული გვარის შეცვილს საქმის წარმოების მასალები და მოიპოვა შემდეგი დოკუმენტები:

1) მარიკა ლორთქიფანიძე-ინფორმაცია დავითიშვილის გვარის წარმოშობასთან დაკავშირებით (წერილი №154442 (31.12.2013 წელი);

2) იაკობ ახუაშვილი-ინფორმაცია დავითიშვილის გვარის წარმოშობასთან დაკავშირებით (წერილი №2246 (10.01.2014 წელი);

3) ვალერი ვაშაკიძე-ინფორმაცია დავითიშვილის გვარის წარმოშობასთან დაკავშირებით (წერილი №2246 (10.01.2014 წელი);

4) „ქართული გენეალოგიური საზოგადოება“ იური ჩიქოვანი-ინფორმაცია დავითიშვილის გვარის წარმოშობასთან დაკავშირებით (წერილი №151106 (26.12.2013 წელი));

5) „ბაგრატოვანთა სახლი“ ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი-ინფორმაცია დავითიშვილის გვარის წარმოშობასთან დაკავშირებით (წერილი №3060 (13.01.2014 წელი));

6) საქართველოს ეროვნული არქივის 2014 წლის 30 იანვრის №11/1367 წერილი საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტების (საეკლესიო ჩანაწერების ნამდვილობის დადასტურების შესახებ);

7) „პირთა ანოტირებული ლექსიკონი“ (II ტომი);

8) სააგენტოს გორის სამოქალაქო რეესტრის სამსახურიდან იაკობ რომანის-ძე დავითიშვილის სსრკ პასპორტის გაცემის დროს შევსებული განცხადება ანგეტის (ფორმა 1) ასლი;

9) საქართველოს ეროვნული არქივის წერილი №10/618 (16.01.2014 წელი) იაკობ (იაშა) რომანოზის-ძე დაბადების აქტის ჩანაწერის არ აღმოჩნის შესახებ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2014 წლის 7 თებერვლის №01/2491/გ გადაწყვეტილება:

3. დაევალოს სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურს მოახდინოს ბეჭან დავითიშვილის (დაბადებული 1948 წლის 20 თებერვალი) მიმართ, სახელისა, ან/და გვარის შეცვლის აქტის რეგისტრაცია, გვარის შეცვლის შემდგომ ბაგრატიონი.

ახლა მოკლედ იმის შესახებ, თუ რა მოხდა 2015 წლის შემდეგ, როცა ბ-მა იურიმ ასე რადიკალურად შეცვალა საკუთარი პოზიცია და უარყო მის მიერ გაცემული ძველი საბუთები და ეხლა მიზანმიმართულად შეყვას საზოგადოება შეცდომაში:

2015 წლის სექტემბრის ბოლო რიცხვებში, ბ-ნი იური მიკავშირდება, რომ მივიდე მასთან სახლში. მეუღლესთან ერთად ვესტურე მას. ბ-ნმა იურიმ უცებ დაიწყო ლანძღვა ბ-ნი იოსების და ჩემდა გასაკვირად გააუდერა ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც აშკარად (ჩემი შემდგომი გაანალიზების შედეგად) მიზანმიმართული იყო „ბაგრატოვანთა სახლის“ და „საქართველოს სამეფო სახლის“ დისკრედიტაციისაკენ. არადა მას ხომ ბ-ნ იოსებთან 22 წლის კოლეგიალური ურთიერთობა აკავშირებდა, რომ არაფერი ვთქვათ მათ მეგობრულ კავშირზე, თუმცა ბ-ნი იური, ყოველგვარი გაფრთხილებისა და ბ-ნ იოსებთან პირადად საკითხის გარკვევის გარეშე, აპირებდა მეორე დღესვე ტელევიზიით გამოსვლას და ი.ბიჭიკაშვილის რიგ საკითხებში დიად დადანაშაულებას. სწორედ ასეთმა განწყობამ ჩემში გააჩ-

ინა ეჭვი, რომ ბ-ნი იურის ასეთი ქმედება არ იყო მხოლოდ ორ კოლეგას შორის წარმოშობილი უთანხმოების შედეგი, არამედ უფრო სხვა მიზნებს ემსახურებოდა. გარდა ამისა, ბ-მა იურიმ ისიც განმიცხადა, რომ იგი აპირებდა წიგნის გამოცემას, სადაც წინასიტყვაობას მიუძღვიდა ი. ბიჭიკაშვილის, როგორც თვითონ ამბობდა „მხილებას“ რომელსაც, მისი თქმით ბ-ნი დავით თანხარ-მოურავი უფრინანსებდა. ეს ჩემთვის იყო ყოვლად წარმოუდგენელი რამ. მართლაც, 2015 წლის 1 ოქტომბერს, ბ-ნი იური ჩიქოვანი გამოდის ტელეკომპანია „ობიექტივის“ ეთერში და ღიად, თანაც უსაფუძღლოდ ბრალს დებს ბ-ნ იოსებ ბიჭიკაშვილს რიგ საკითხებში. ასევე, მოკლე დროში გამოდის ბ-ნი იურის მიერ ნახსენები წიგნიც, რომლის წინასიტყვაობა მიეძღვნა ბ-ნი იოსებ ბიჭიკაშვილის ლანძღვას, რაც ყოვლად მოკლებულია არა მარტო მეცნიერულ ეტიკეტს, არამედ ადამიანურსაც. გარდა ამისა, ზემოთ ხსენებულ ტელე ეთერში ბ-ნი იური საჯაროდ აცხადებს, რომ ტოვებს დინასტიურ კავშირს „ბაგრატოვანთა სახლს“, როგორც ჩანს ბ-ნ იოსებზე გაბრაზებულმა ბაგრატიონებიც არ დაინდო და მათაც გაემიჯნა. აღნიშნული ტელე გადაცემიდან არა თუ მე, არამედ ბ-მა იოსებმაც პირველად შეიტყო, რომ თურმე იგი ბ-ნ იურის „ქართულ გენეალოგიურ საზოგადოების“ მოადგილებიდან ჯერ კიდევ 2004 წელს გაუნთავისუფლებია, არადა მათი თანამშრომლობის მომსწრე მე პირადად გახლავართ 2013 წლიდან მოყოლებული. ზემოთ აღნიშნული გენეალოგიური საზოგადოება, დაარსებულია 1995 წელს 59 ადამიანის მიერ. ბ-ნ იურის და ბ-ნ იოსებს 59 პიროვნებამ არჩევის წესით მიანიჭა „ქართულ გენეალოგიურ საზოგადოებაში“ თანამდებობები. საინტერესოა რა უფლებით გაანთავისუფლა ერთპიროვნული გადაწყვეტილებით მან ბ-ნ იოსებ ბიჭიკაშვილი? ხაზს ვუსვამ, რომ ეს ყველაფერი ხდება „საქართველოს სამეცო სახლის“, დინასტიური კავშირის „ბაგრატოვანთა სახლის“, „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ დამფუძნებლებთან შეუთანხმებლად. ამის შედეგობი იწყება ინტენსიური ცილისმწამებლური შემოტევები ბ-ნ იოსებ ბიჭიკაშვილზე, აბსურდული ბრალდებები იმის თაობაზე, რომ „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ მიერ გაცემულ საბუთებზე, ბ-ნი იურის ხელმოწერები თურმე გაყალბებულია ბ-ნი იოსების მიერ. თუმცა ორმა დამოუკიდებელმა საექსპერტიზო ბიურომ დაადასტურა მისი უსაფუძვლო ბრალდება და ბ-ნ იოსების უდანაშაულობა, რომელსაც დღემდე არ მიუმართავს სასამართლოსთვის და ჯერჯერობით ელის ბ-ნი იურისგან საჯაროდ ბოდიშის მოხდას. საეჭვოა, რომ ბ-ნი იურის უკან, გარკვეული ძალების, გარკვეული ინტერესები იმალება და იგი ბოდიშის მოხდას არ აპირებს, თუმცა მის საჯარო განცხადებებში სიტყვა „გაყალბება“ უკვე ამოვარდა და ახლა სიტყვათა სხვა ინტერპეტაციებს მიმართავს. კერძოდ ის, რომ ბ-ნი იოსები მას თურმე „ატყუებდა“, „აპარებდა საბუთებს“ ხელმოსაწერად, როგორც ჩანს ბ-ნი იური ხან ნასვამ მდგომარეობაში იყო, ხან გადაღლილი, ხან ძილბურანში იმყოფებოდა. როცა გააცნობიერა, რომ ეს მოლად დამაჯერებელი არგუმენტები არ იყო, შემდეგ მიმართა ახალ ვერსიას, კერძოდ, იგი ენდობოდა ბ-ნ იოსებს და ეს უკანასკნელი თურმე ბოროტად იყენებდა მის ნდობას. საქმეების შეუსწავლელად აწერინებდა ხელს ბ-ნ იურის. ისმის მარტივი კითხვა, მერამდენედ შეიძლება ბოლო 3 წლის მანძილზე ბ-მა იურიმ უარყოს ერთ დროს საკუთარი ხელით გაცემული საბუთების ავთენტურობა? მინდა ასევე აღვნიშნო, რომ ბ-ნ იოსებს მზად აქვს მტკიცებულებებით გამყარებული პასუხები ყველა ბრალდებაზე, რომელიც უახლოეს პერიოდში აუცილებლად გამოქვეყნდება. ეს კონკრეტული ნაწილი ჩემი წერილისა მკითხველისთვის მიმინდვია განსასჯელად.

დღესდღეობით, „საქართველოს სამეცო სახლი“, ასევე დინასტიური კავშირი „ბაგრატოვანთა სახლი“ მკაცრად იცავენ ბაგრატოვანთა ლეგიტიმიზმს, დინასტიურ წესსა და კანონს, მორალურ პრინციპებს და მათვის ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა და გამოლიანება წარმოადგენს მთავარ მიზანს. მადლობა მაღალ დმერთს, რომ დღეს ტელეკომპანია „ხარისხის არხზე“ გადის გადაცემა „ბაგრატოვანი, რომლის

ერთ-ერთი ავტორი და წამყვანი გახლავართ. ვცდილობთ ჩვენი გადაცემების საშუალებით, განსაკუთრებით ახალ თაობებში გავაღვივოთ სიყვარული ჩვენი ქვეყნის ისტორიის მიმართ, გავაგებინოთ საიდან მოვდივართ, რას წარმოადგენს საქართველოს ისტორიისათვის ბაგრატოვანთა დინასტია და რას ფიქრობს მომავალზე.

დედა-ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ბაგრატიონების და საქართველოს ისტორიის მოყვარულმა, ჩვენი გადაცემის ერთგულმა მაყურებელმა გვაჩუქა ბაგრატიონებს, იყოს მფარველი სამეფო ოჯახისა, ბაგრატოვანთა დინასტიისა და ყველა ჭეშმარიტი პატრიოტისა.

ყველა ისტორიული საბუთი, დაკავშირებული აზნაურ დავითიშვილთა შტოსთან დაკავშირებით დაცულია „ბაგრატოვანთა სახლის“ და ბეჟან ბაგრატიონის პირად არქივში. 2017 წლის 20 მარტს, „საქართველოს სამეფო სახლის“ მეთაურმა და დინასტიური კავშირის „ბაგრატოვანთა სახლის“ წინამდლოლმა, ბატონიშვილმა ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკიმ, სამეფო სახლის ერთგულებისათვის, სამართლიანობის დაცვისათვის, შშმ პირთა მიმართ საქველმოქმედო საქმიანობისათვის მიბოძა თავადის წოდება და დამაჯილდოვა საქართველოს სამეფო გვირგვინის ორდენით (იხ. სურ. 32).

უახლოეს მომავალში იგეგმება ბაგრატიონ-დავითიშვილების აზნაურულ განშტოებაზე წიგნის გამოცემა, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ისტორიულ-დოკუმენტური მასალები აღნიშნულ შტოსთან მიმართებაში, რომლის პრეზენტაციის შესახებ ინფორმაციას აუცილებლად დაგაანონსებთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებიდან.

მამუკა ბაგრატიონი

**დინასტიური კავშირის „ბაგრატოვანთა სახლი“-ს ნამდვილი წევრი
(საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი)**

საქართველოს სამეფო გვირგვინის ორდენის კავალერი

დანართი IV

ი.ბიჭიკაშვილი

აზნაურ ბაგრატიონ-დავითიშვილების საკითხისათვის, პასუხად იური ჩიქოვანის წიგნზე „ისევ დოკუმენტები ცხადყოფებ“ (თბ., 2018 წ.)

ბ-ნი იური ჩიქოვანის აღნიშნული წიგნის კითხვისას დამებადა კითხვა თუ რაოდენ ფინანსურად გულუხვი გახდა თავად-აზნაურთა საკრებულო, რომ ასეთი სუსტად არ-გუმენტირებულ, მეცნიერულად ჩამოუყალიბებულ წიგნებს, უკვე მერამდენეჯერ უბეჭდავს, არადა, აშკარად ამ ბროშურების მიზანი მეცნიერული ჰემარიტების დადგენა კი არაა, არამედ მიზანმიმართული კამპანია ჩემი პიროვნების დისკრედიტაციისა. რა-საკვირველია ამ კონკრეტულ პასუხში არ შევეხები იმ ცილისმწამებლურ ბრალდებებს, რომლებიც 2015 წლის სექტემბრიდან მოყოლებული ჩემს წინააღმდეგ გაუდერდა სხვადასხვა საინფორმაციო წყაროების მეშვეობით და რომელთა ავტორებიც იყვნენ თავად-აზნაურთა საკრებულოს მიერ ზურგ გამაგრებული ბ-ნი იური ჩიქოვანი, ჭ-ნი ია მუხრანელი, ჭ-ნი ნატალია ბერუხაშვილი, ჭ-ნი მანანა ხომერიკი და ჭ-ნი ჯუჯუნა მაჭავარიანი. მათ ბრალდებებზე ჩემი პასუხები გამოქვეყნდება ცალკე წიგნის სახით. ამ კონკრეტულ წიგნში კი მეცნიერულად გავაქარწყლებ ბ-ნი იურის ეჭვებს აზნაურ ბაგრატიონ-დავითიშვილებთან დაკავშირებით.

ეხლა აშკარად გამოჩნდა ბ-ნი იურის არაკომპეტენტურობა ისტორიის კვლევის საკითხებში, არადა გენეალოგობა მოითხოვს პირველ რიგში ისტორიის ზედმიწ-ევნით ცოდნას, რადგან კვლავ შევახსენებ მას, რომ გენეალოგია არის მხოლოდ და მხოლოდ ისტორიის დამხმარე დისციპლინა და არა დამოუკიდებელი მეცნიერება. ამას ხაზს ვუსვამ იმიტომ, რომ ბ-ნი იურის მიერ გამოცემული ბროშურა, უფრო ჰგავს ბრალდებების გამოხსრეკის წადილს, ვიდრე მეცნიერულ პოლემიკას. მიუხედავად ამისა, საზოგადოების წინაშე მე ვალდებულად ვთვლი თავს დავიცვა პროფესიული ეტიკეტი და აკადემიურ სტილს არ გავსცდე.

ეხლა მივყვეთ თანმიმდევრულად ბ-ნი იურის ბრალდებებს.

ბრალდება №1 - ბ-ნი იური გახარებულია იმით, რომ წმ. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოცემულ 1909 წელს „საქართველოს სიძველენი“-ს 348 გვერდზე, თურმე, როგორც თვითონ წერს:

„ხენებაც კი არ არის:

1) არც ერთი დავითიშვილის,

2) არც დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილი და

3) არც იმის, რომ დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილს ჰყავდა ძე - იესე“. ეს, კიდევ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ბ-ნი იური არ არის ისტორიული წყაროების პროფესიონალი მკვლევარი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ წიგნს გულდასმით სრულად შეისწავლიდა და არა მხოლოდ ერთ ფურცელს, რომლის მინიშნებაც ჯერ კიდევ მკვლევარ დავით ნინიძეს შეცდომით ჰქონდა გაპარული თავის 1999 წელს გამოცემულ წიგნში „აქა ამბავნი თვალ-დამწვრიანთა“. სამწუხროდ, აღნიშნული მექანიკური შეცდომა მეც ავტომატურად გადმომყვა ჩემ ნაშრომში, რაც გულისხმობს 345 გვერდის ნაცვლად 348 გვერდის მითითებას, არადა ბ-ნ იურის რომ სულ რადაც 3 ფურცლით უკან გადმოეფურცლა, იოლად აღმოაჩენდა აღნიშნულ ისტორიულ დოკუმენტს, სადაც თეთრზე შავით აღნიშნულია: „...ნასყიდობის წიგნი მოგართვით ჰორელიძემ ხარებამა, შვილმა ჩემმა დათუნამ, მმისწულმა ჩემმა ტეტიამა და მომავალთა სახლის ჩვენისათა ყოველ-თავე თქვენ, ბატონს ჩვენს დავითსა, შვილსა თქვენსა იოთამასა და იასესა და ქრისტეფორეს და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე, ასე რომე დამეჭირა და მოგყიდე გიორგის წილი ვენახი, მისის გზითა და წყლითა, შესავლითა და გასავლითა. ავიდე ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩვენი გული შეგჯერდე-

ბოდა. და თუ ვინმე შემოგეცილოს, პასუხის გამცემი მე ვიყო. არის ამისი მოწამე: კაცია ჭაქირაძე, ივანე კანდაელი, ქანთრის შვილი პაპუნა. მე იაკობს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა წიგნი ესე ფეხერვალს ექვსსა, ჭახა უიზ“ („საქართველოს სიძელენი“, ტ. II. ეთაყაიშვილის რედაქტორით. ტფ., 1909, გვ. 345), (იხ. სურ. 33-36).

ის, რომ ამ ნასყიდობის წიგნში მოხსენიებული ბატონი დავითი არის ნამდვილად დავითიშვილი, ჩანს ამავე წიგნის 587 გვერდზე მოყვანილ ქრონილოგიურ საძიებელში, სადაც წმ. ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს შემდეგს: „1728, თებერვალი 6. დავით დავითიშვილი ყიდულობს ხარება ჭოელიძესაგან ვენახს. №297. გვ. 344-345“ („საქართველოს სიძელენი“, ტ. II. ეთაყაიშვილის რედაქტორით. ტფ., 1909, გვ. 587).

ასევე, წმ. ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ „საქართველოს სიძელენი“-ს II ტომში გამოქვეყნებული დოკუმენტები, შესაბამისად ზემოთ მოყვანილი დოკუმენტიც, თვით თავადი ბაგრატიონ-დავითიშვილების ოჯახში ინახებოდა და მათ მიერ იყო მიწოდებული მკვლევართათვის: „ბაგრატიონ-დავითიშვილების სიგელ-გუჯარნი გადმოსცა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ქნეინა ელის-აბედ ერისთავისამ, ზაალ ბაგრატიონ-დავითიშვილის ასულმა. ერთი ნაწილი ბაგრატიონ-დავითიშვილების სიგელ-გუჯარებისა მგ. ჯანაშვილს გადმოეწერა დავით ბაგრატიონ-დავითიშვილის სიგელ-გუჯარებიდან და დედნები უკან დაუბრუნებია“ („საქართველოს სიძელენი“, ტ. II. ეთაყაიშვილის რედაქტორით. ტფ., 1909, გვ. VII-VIII).

ბ-ნო იური, თუკი თქვენში ეჭვს ბადებს „ბატონი დავითის“ დავითიშვილთა თავადური შტოსგან წარმომავლობა, მაშ რატომ ინახებოდა 1728 წლის ნასყიდობის წიგნი თავადი დავით ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-დავითიშვილის ოჯახში? ეს თავადი დავით ალექსანდრეს ძე (1863-1922 წწ.) არის სწორედ ის პიროვნება, ვისაც მკვლევარმა მოსე ჯანაშვილმა გადმოწერილი სიგელ-გუჯარები დაუბრუნა და იგი თავადი დავით ელიზბარის ძე დავითიშვილის (ბაგრატიონ-დავითიშვილის) პირდაპირი შთამომავალია (ი. ბიჭიკაშვილი. ბაგრატიონები. საქართველოს სამეცნ დინასტიის და მისი განშტოებების გენეალოგია. თბ., 2016, გვ. 257-259, იხ. ასევე გენეალოგიური ტაბულა №15).

ვწუხვარ, რომ ბ-ნი იურის სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა, ამიტომ ურჩევ შემდეგისთვის უფრო ყურადღებით შეისწავლოს ისტორიული წყაროები.

ბრალდება №2 - თამამად შემიძლია ვთქა, რომ ბრალდების ეს პუნქტი, მიზან-მიმართულია მკითხველის და დაინტერესებული საზოგადოების დასაბნევად, რადგან მასში მოყვანილი წინადადებები აბსოლუტურად მოკლებულია მეცნიერულ ლოგიკას. კვლავ მწუხარებით აღვნიშნავ, რომ ბ-ნ იური ჩიქოვანს, როგორც გენეალოგს, პირველ რიგში ევალება ღრმად იყის ჩახედული წყაროთმცოდნეობაში, რასაც წლების მანძილზე, ჩვენი თანამშრომლობისას, მე პირადად ვუზრუნველყოფი. ყოველთვის მიკითხავ, თუ რატომ არ პქონდა ჩვენს ერთობლივ გამოცემებში, ბ-ნი იურის მიერ წარმოდგენილ გენეალოგიურ ტაბულებს თანდარული პიროვნებების და მათი ნათესაური კავშირების შესახებ შესაბამისი ბიბლიოგრაფიული მონაცემები, არადა, ჩემს მიერ წარმოდგენილი ყველა გენეალოგიური ტაბულა გამყარებულია შესაბამისი დოკუმენტაციური მასალით. როდესაც ბ-ნ იურის ვეკითხებოდი, თუ რატომ არ მოყავდა მას წყაროები და ლიტერატურა, იგი მპასუხობდა, რომ თავად იყო წყარო. სამწუხაროა, რომ ბ-მა იურიმ ვერ გაიგო ის, რომ კვლევისას მხოლოდ ერთ წყაროზე დაყრდნობა საკმარისი არ არის და კვლევის გასამყარებლად აუცილებელია სხვა დამატებითი ისტორიული საბუთების მოძიება. სწორედ, როდესაც ვსაუბრობთ დავით, იქსე და გლახა დავითიშვილების გენეალოგიურ ბმაზე, უდაოდ უნდა დავეყრდნოთ ყველა ჩვენს ხელთ არსებულ საბუთს.

1) ის, რომ 1728 წლის ნასყიდობის წიგნში ნახსენები დავითი ნამდვილად არის თავადური შტოს წარმომადგენელი მტკიცდება იმით, რომ იგი ამ საბუთში დასახ-

ელებულია „ბატონად“. მსურს მოვახსენო ბ-ნ იურის, რომ XVII-XVIII საუკუნეებში თავადის წოდების მქონე პირები თანადროულ ისტორიულ საბუთებში, ძირითადად მოიხსენიებოდნენ სწორედ „ბატონის“ და არა თავადის სახელით. მაგალითად, იგივე ნახსენები დავითის მამა, კერძოდ, ბოქაულთუხუცესი ელიზბარი, ასევე ბატონის წოდებით მოიხსენიება: „ჩვენ დავითიშვილმან ბოქაულთუხუცესმან ბატონმა ელის-ბარ ესე განაჩენი...“ (ქართული სამართლის ძეგლები. ტ.IV. ტექსტები გამოხვა და შენიშვნები დაურთო ოდოღიძემ. თბ., 1972, გვ.137, №73). ასევე, დავით ელიზბარის ძის ძმისშვილებიც - ელიზბარ ივანეს ძე და ზაალ გიორგის ძე დავითიშვილებიც მოიხსენებიან ბატონებად: „...ბატონს დავითიშვილს ამილახვარი ოთარ მრავალს მოკითხვას მოვახსენებ!“ (საქართველოს სიძევლენი“, ტ.II. ეთაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ., 1909, გვ.500, №472 („წერილი ოთარ ამილახვარისა ელიზ-ბარ დავითიშვილისადმი. 1791, იანვარი 16“). ასევე, „...ბატონს ჩემს დავითიშვილს ზაალს...“ („საქართველოს სიძევლენი“, ტ.II. ეთაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ., 1909, გვ.502, №475 („ერთგულების წიგნი ოთამ ტატიშვილისა ზაალ დავითიშვილისადმი. 1793, ივნისი 2“) და ა.შ.

2) გარდა ამისა, ბ-ნი იური ვალდებულია იცოდეს, რომ XVI-XVIII საუკუნეების ქართულ ისტორიულ საბუთებში, მათ შორის მეფეთა სიგელებშიც, ქართველ თავად-აზნაურთა წარმომადგენლები ხშირად თავიანთი შესაბამისი წოდებების გარეშე იხსენიებოდნენ, მხოლოდ სახელითა და გვარით, თუმცა ვის შეუძლია ეჭვი შეიტანოს მათ წარჩინებულ წარმომავლობაზე? ასევე, თავადი და აზნაური დაგითიშვილებიც მხოლოდ სახელითა და გვარით მოიხსენიებოდნენ შემდეგ ისტორიულ დოკუმენტებში:

1) 1596 წელი - „წყალობითა დმრთისათა. ქ. მეფე მეფეთა სუიმეონ გიბრძანებთ: ...დავითიშუილთა დავითსა...“ [ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd-597 (ხელნაწერი); ქართული სამართლის ძეგლები. ტ.IV. ტექსტები გამოხვა და შენიშვნები დაურთო ოდოღიძემ. თბ., 1972, გვ.50, №11 (გარდაწყვეტილების ფარვანა სიმონ I-ისა დავით დავითიშვილისა და ხერხეულისის მამულზე - 1596 წლის 1 მარტი)]

2) 1634 წელი - „ქ. ნებითა და შეწევნითა დმრთისათა ჩვენ მეფეთ-მეფემან, პატრონმან როსტომ... წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩუენსა ერთგულსა და მრავალფერად ერთგულობით და თავდადებით ნამსახურსა ყმასა დავითისშვილს ბოქაულთუხუცესს დავითს და შვილთა თქვენთა კოსტანტინეს და ელიზბარსა... და თქვენის მმისწულის რამაზის...“ [ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd-9254 (ხელნაწერი); ქართული სამართლის ძეგლები. ტ.IV. დას. ნაშრ. გვ.68, №19 (გარდაწყვეტილობის წიგნი როსტომ მეფისა დავით და რამაზ დავითიშვილების მამულის საქმეზე - 1634 წლის 23 ოქტომბერი)]

3) 1691-1711 წლები - „...ელიზბარიშვილს დავითიშვილს ელიზბარს...“ [ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-14630ა (ხელნაწერი); ქართული სამართლის ძეგლები. ტ.IV. დას. ნაშრ. გვ.312, №226 (სამართალი სკომონ ბატონიშვილისა ელიზბარ ელიზბარიშვილის ვალის საქმეზე - 1691-1711 წლები)]

4) 1750 წლის 3 მაისი - „...ჩვენ დავითიშვილი ივანე, დავით და ედიშერ...“ [ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd-9559 (ხელნაწერი); ქართული სამართლის ძეგლები. ტ.IV. დას. ნაშრ. გვ.385, №297 (განჩინება ჩინელი და გიორგი რიკაძეების საქმეზე - 1750 წლის 3 მაისი)]

5) 1775 წლის 11 მაისი - „იასაულო ზაალ დავითიშვილო!“ [ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd-755 (ხელნაწერი); ქართული სამართლის ძეგლები. ტ.IV. დას. ნაშრ. გვ.574, №521 (განჩინება იესე მაჩაბლისა და გივი კანდუაშვილის წინქვილის საქმეზე - 1775 წლის 11 მაისი)]

6) 1790 წლის 29 მაისი - „ჩვენი ბრძანება არის დავითისშვილო ასლამაზ!“ [ხელნა, ფონდი 1450, დავთარი №31, ხაბუთი №44; ქართული სამართლის ძეგლები. ტ.VIII. დას. ნაშრ. გვ.53, №40 (არზა დათარიდებულია - 1790 წლის 29 მაისი)]

7) 1796 წლის 18 იანვარი - „ქ. ბატონიშვილი იულონ გიბრძანებ დავითიშვილო გლახავ!“ [ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad-263 (ხელნაწერი); ქართული სამართლის ძეგლები. ტ.VIII. დახ. ნაზრ. გვ.356, №333 (არზა დათარიღებულია - 1796 წლის 18 იანვარი)].

8) 1801 წლის 19 თებერვალი - „დავითისშვილმა ელისბარმა, რომელიც მა-მული მომყიდა, იმისმა სახლისკაცმა ზაალმა...“ [ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd-9722 (ხელნაწერი); ქართული სამართლის ძეგლები. ტ.VIII. დახ. ნაზრ. გვ.712, №743 (არზა დათარიღებულია - 1801 წლის 19 თებერვალი)].

ყოველივე ზემოთ მოყვანილიდან გამომდინარე, ნებისმიერი მკვლევარი მიხ-ვდება, რომ 1728 წლის საბუთში ნახსენები „ბატონი დავითი“ თავადური წოდების მქონე პირი უნდა იყოს, წინადაღდეგ შემთხვევაში ვინ გაბეჭდავდა ფეოდალურ საქართველოში ვინმეს ბატონად მოხსენებას, თუ მას ეს წოდება არ ეკუთვნოდა?

მაშ, ვინ უნდა იყოს წმ. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ დასახელებული, ქართლში მცხოვრები „ბატონი დავით“ დავითიშვილი, თუ არა დავითიშვილთა თავადური საზის წარმომადგენელი დავით ელიზბარის ძე? თავადი დავით ელიზბარის ძის შესახებ ჩვენამდე მოღწეულია მრავალი ისტორიული დოკუმენტი („საქართველოს სიღველები“, ტ. II. ეთაყაიშვილის რედაქტორიბით. ტფ., 1909, გვ.333-334, 478-479, 481, 483; დ. უჩანებიშვილი. დოკუმენტები საქართველოს კუთხმიკური ისტორიისათვის (XVII-XIX სს.). თბ., 1967, გვ.166-167; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 5. ტექსტები გა-მოსცა და შენიშვნები დაურთო ი.დოლიძემ. თბ., 1974, გვ.217-218, №128; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 7. ტექსტები გამოსცა და შენიშვნები დაურთო ი.დოლიძემ. თბ., 1981, გვ.180-181; ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Ad-1520 (ხელნაწერი); ხელნაწ-ერთა ინსტიტუტი, ფონდი Hd-472 (ხელნაწერი)).

ის, რომ ზემოთხსენებულ ბატონს - დავით დავითიშვილს ჰყავს შვილი იესე (იასე) ჩანს იმავე 1728 წლის დოკუმენტიდან, სადაც აღნიშნულია: „...ბატონს ჩვენს დავითსა, შვილსა თქვენსა... იასესა...“. ამიტომ გაუგებარია ბ-ნი იურის მიერ ეჭვის შეტანა ამ გენეალოგიურ ბმაში, მითუმეტეს, რომ ჩემს ხელთ არსებობს თვით ბ-ნი იური ჩიქოვანის ხელით შედგენილი გენეალოგიური ცხრილის ასლი, რომელიც მან, 2011 წელს, მამუკა ბაგრატიონის მიერ მიწოდებული საარქივო მასალების საფუძვ-ელზე შეაღინა და სადაც ნათლად ჩანს, რომ იესე არის თავადი დავით ელიზბარის ძე დავითიშვილის შვილი (იხ. სურ. 37).

ზემოთ მოყვანილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე, აშკარად დასტურდება ის, რომ იესე (იასე) ნამდვილად არის თავადი დავით ელიზბარის ძე დავითიშვილის შვილი. ეხლა რაც ეხება იესე დავითის ძე დავითიშვილის შვილს გლახას, რომელშიც ასევე ეჭვი შეაქვს ბ-ნ იურის იმ არგუმენტით, რომ ჩემს მიერ გამოცე-მულ ტაბულა №16-ში გლახა ორი სახელით მყავს მოყვანილი. ხოლო მითითებულ წყაროში კი გლახა მეორე სახელით (დავითი) არ არის ნახსენები. კვლავ გავმუ-რდები, რომ ბ-ნი იურის ეს ბრალდებაც მკითხველის დასაბნევად არის დაწერ-ილი, რადგან მას, როგორც ჩანს დაავიწყდა ის, რომ ჯერ კიდევ 2013 წელს, მე მას პირადად წარვუდგინე აზნაურ გლახა იესეს ძე დავითიშვილის მეორე სახელის დამამტკიცებელი საბუთი, სადაც აღნიშნულია: „აზნაური დიმიტრი გლახას ძე, იგივე დავითის ძე დავითოვი...“ (საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი (სცი), ფ.489, აღწერა 18, საქმე №242). სწორედ ამ საბუთზე დაყრდნობით, ჩემს მიერ გამოცემულ წიგნში, ყველგან, გლახას გვერდით ფრჩხილებში მითითებული მაქვს მისი მეორე სახელი - დავითი. ამიტომ, ბ-ნი იურის მიზანმიმართული მცდელობა, ზოგადი ფრაზებით ეჭვის ქვეშ დააყენოს აღნიშნული გენეალოგიური საზის ნამ-დვილობა, ყოვლად საფუძველ მოკლებულია.

ბ-ნი იური ცდილობს ყველა დეტალში ეჭვი შეიტანოს, თუმცა თავის საწი-ნააღმდეგო ვერსიებს არანაირი საბუთებით არ ამჟარებს, უბრალოდ ერთი და იგივე მოსაზრებას სხვადასხვა კონტექსტში ატრიალებს. 1728 წლის ნასყიდო-

ბის საბუთში დასახელებული „ბატონი დავით“ დავითიშვილი, მისი ერთ-ერთი მოსაზრებით, თურმე ვიდაც სხვა, ვინმე აზნაური დავით დავითიშვილია და თანაც აღნიშნავს, რომ „ეს არ არის სადაო“, როცა მას ამის დამადასტურებელი საბუთი არ გააჩნია. რატომ თვლის ბ-ნი იური, რომ სიტყვა „ბატონი“ აზნაურის შესატყვისია, ჩემთვის პირადად გაუგებარია (თუნდაც იმავე, წმ. ექვთიმე თავაიშვილის მიერ გამოცემულ წიგნში, აღნიშნული დავით დავითიშვილის საბუთის ქვემოთ, მოყვანილია იმავე 1728 წლის „ვახტანგ ორბელიანების ნახევიდობის წიგნი“, სადაც თავადები ვახტანგი და მისი შვილი ვახტანგ ორბელიანები, ასევე დასახელებული არიან „ბატონის“ წოდებით („საქართველოს სიძელეები“, ტ. II. კ.თავაიშვილის რედაქტორობით. ტფ., 1909, გვ. 345). და თუ ასეთი სხვა „ბატონი“ დავით დავითიშვილი, გარდა თავადი დავით ელიზბარის ძისა, ამ პერიოდში ქართლში არსებობდა, მაშინ რატომ არ მოიპოვება არანაირი ისტორიული დოკუმენტები მასზე? როცა თავად დავით ელიზბარის ძეზე არსებობს ბევრი ისტორიული საბუთი, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე მივუთით.

ზემოთაღნიშნული ისტორიული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა ნათლად ადასტურებს, რომ ბაგრატიონ-დავითიშვილთა აზნაურული შტო ნამდვილად მომდინარეიბს ბაგრატიონ-დავითიშვილთა თავადური საზიდან. ხოლო მამუკა ბეჟანის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილი ნამდვილად არის თავადი დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილის პირდაპირი შთამომავალი, ასევე როგორც დანარჩენი ბაგრატიონ-დავითიშვილების აზნაურული შტოს წარმომადგენლები.

დანართი V

ი.ბიჭიკაშვილი

პასუხი მანანა ხომერიკის სტატიაზე „იმერეთის ბაგრატიონებთან დაკავშირებული უზუსტობების შესახებ“

(პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „მაცნე“-ში, №1, თბ., 2018 წ.)

მე „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიული განყოფილების ხელმძღვანელი, გავეცანი ქ-ნი მანანა ხომერიკის წერილს, გამოქვეყნებულს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უურნალში „მაცნე“ (2017 წ. №2), სადაც ქ-ნი მანანა ბრალს მდებს რიგ საკითხებში, რომლებიც ეხება იმერეთის ბაგრატიონებს. ერთ-ერთ მთავარ ბრალდებას წარმოადგენს ის, რომ, თითქოსდა, მე „ბაგრატოვანთა სახლის“ ყოფილი წინამდღოლის, ბატონიშვილი ნინოს შტოს დაუსაბუთებლად და თვითნებურად მივანიჭე ბაგრატიონი-იმერეტინსკის გვარი. მსურს, შევახსეხო ქ-ნ მანანას, რომ ყველას ერთი გვარი პქონდა - ბაგრატიონი, ხოლო XIX საუკუნეში გვართან დამატებული სახელები, მაგალითად „**Св. Князь Багратион-Грузинский**“, „**Св. Князь Багратион-Имеретинский**“ განსაზღვრავდა მათ წარმომავლობით სტატუსს (რაც მოგვიანებით მათ გვარებადაც იქცა).

ისმის მარტივი კითხვა, მქონდა თუ არა უფლება, მომებსენიებინა ბატონიშვილი ნინო და მისი წინაპრები ბაგრატიონი-იმერეტინსკების გვარით? ამისათვის მოვიყვან რამდენიმე ისტორიულ ცნობას:

1) XIX საუკუნის რუს მკვლევარს პ. იუდინს თავის ნაშრომში **“Судьба князей Багратион-Имеретинских в России”**, მოჟყავს სახელმწიფო ბრძანებულებებიდან ოფიციალური დებულებები, სადაც აღნიშნულია: “Положениями Государственного Совета 12-го Сентября 1804 года и Комитета Министров 26-го Марта 1812 года определено было **“царевичи, сыновья Грузинских царей, сами по себе сохраняют сие титло; дети же их именуются князьями Грузинскими, а дети царевичей Имеретинских - князьями Имеретинскими”** и таким образом будут уважены с первыми родами Империи” [1:303]. მოვანილი ცნობიდან ნათლად ჩანს, რომ „იმერეტინსკის“ სტატუსის მინიჭება ვრცელდება იმერეთის სამეფო შტოს არა რომელიმე კონკრეტულ ხაზზე (მაგალითად, მხოლოდ ხოლომონ I-ის, ან მხოლოდ დავით II-ის), არამედ ყველა იმდროისათვის მცხოვრებ იმერეთის ბატონიშვილთა ლეგიტიმურ ხაზებზე; კერძოდ, ამ პერიოდისათვის (1812 წლისათვის) სახეზე არიან იმერეთის ბატონიშვილთა სამი შტოს შემდეგი წარმომადგენლები: 1. გენეალოგიურად უფროსი, ბატონიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძის (ხოლომონ I-ის შვილიშვილი) ხაზი, წარმოდგენილი მისი შვილებით - ალექსანდრეთი და დიმიტრით (ხაზი უნდა გავუსვათ, რომ უკანონოდ შობილი გიორგი ალექსანდრეს ძე, იმის გამო, რომ იგი თავისმა ბაბუამ, ხოლომონ I-მა იშვილა [2:129], ატარებდა ბატონიშვილის წოდებას; 2. ხოლომონ I-ის მმის ბაგრატ ბატონიშვილის შვილის - დავით ბატონიშვილის ხაზი წარმოდგენილი მისი მცირეწლოვანი შვილით იოანეთი, რომლებიც ბატონიშვილი ნინოს უშუალო წინაპრები არიან; 3. გენეალოგიურად უმცროსი (დავით II-ის) ხაზი, წარმოდგენილი მისი ვაჟით ბატონიშვილი კონსტანტინეთი და მცირეწლოვანი შვილიშვილით გიორგითი. სამივე ამ ხაზის წარმომადგენლებს რუსეთის ხელისუფლება იმერეტინსკის წოდებას ანიჭებს და 1837 წლამდე არანაირ განსხვავებას მათ შორის არ აფიქსირებს (ამ პერიოდისათვის იმერეთის შტოში, ასევე, არიან უკანონოდ შობილი შტოებიც - ბაგრატ ბატონიშვილის უკანონო შვილის სიმონის უკანონო შვილი როსტომი, რომელიც დავით ბატონიშვილის პირადი აზნაური იყო [“Ростом Багратион,,.. был подвластный Азнаур дома князей Багратион”] [3:19];

ასევე, სახეზე იყო დავით II-ის უკანონო შვილი - როსტომ ბატონიშვილი, თუმცა „როგორც უკანონო შვილი, მამის მემკვიდრეობის უფლებას მოკლებული იყო. იგი ვასალურად ემსახურებოდა თავის მმას კონსტანტინეს“ [4:52; 4:80]. ამ ორ უკანონი შტოზე „იმერეტინსკის“ წოდება, ბუნებრივია, არ ვრცელდებოდა.

2) 1856 წელს თავადი პეტრე დოლგორუკოვის მიერ გამოიცა წიგნი “Российская родословная книга, часть третья”, რომელშიც ერთი საერთო სათაურის - “Князья Багратионы-Имеретинские” - ქვეშ თანმიმდევრულად არიან დასახელებული იმერეთის სამეფო შტოს სამივე ბატონიშვილური ხაზი [5:5]; მათ შორის ბატონიშვილი ნინოს უშუალო წინაპრები - ბატონიშვილი ბაგრატი და მისი შვილი, ბატონიშვილი დავითი. ეს საბუთი, კვლავ მიუთითებს იმაზე, რომ რუსეთის ხელისუფლება იმერეთის სამივე ბატონიშვილურ ხაზს ბაგრატიონ-იმერეტინსკებად მოიხსენებდა.

3) ასევე, 1913 წელს, რომანოვების 300 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს მთავარმართებლის კანცელარიის მიერ გამოიცა საიუბილეო ენციკლოპედიური ხასიათის კრებული სახელწოდებით “Летопись Грузии, вып. I”, სადაც, 349-350 გვერდებზე მოყვანილია ბაგრატიონებთან დაკავშირებული თავი, სათაურით - “Багратионы”, სადაც წერია: “Титул светлейших князей Багратионов-Имеретинских носят потомки имеретинских царевичей” [6:349-350]. 1913 წლის ეს განმარტება გულისხმობს, რომ იმერეთის ყველა ბატონიშვილის (имеретинских Царевичей) შთამომავლები ატარებენ უგანათლებულების თავადების ბაგრატიონი-იმერეტინსკების ტიტულს. შესაბამისად, ბატონიშვილი ნინოს წინაპრებსაც, რომლებიც მომდინარეობდნენ სოლომონ I-ის ძმის ბაგრატ ბატონიშვილისა და მისი შვილის დავით ბატონიშვილისაგან, ჰქონდათ ამ ტიტულის ტარების უფლება.

ზემოთ მოყვანილი დოკუმენტებით ნათლად დასტურდება, რომ რუსეთის იმპერია იმერეთის ბატონიშვილთა სამივე შტოს შთამომავლებს ერთი და იმავე წოდებით - ხან ბაგრატიონ-იმერეტინსკებად, ხან კი იმერეტინსკებად მოიხსენებდა. ამას აგრეთვე ადასტურებენ XX-XXI საუკუნეების ქართველი მკვლევრებიც:

1) მიხეილ გონიგაშვილი თავის ცნობილ ნაშრომში „ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში“, მრავალ ადგილას დავით II-ის შთამომავლებს ბაგრატიონი-იმერეტინსკის გვარით მოიხსენებს და არა მხოლოდ იმერეტინსკის [7:129,247,258,261].

2) ასევე, მამუკა გოგიტიძე, თავის ნაშრომში “Военная элита Кавказа, I, Генералы и Адмиралы из Грузии”, დავით II-ის შთამომავლებსაც ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარით მოიხსენებს და არა იმერეტინსკის [8:62-65].

3) ასევე, მკვლევარი იური ჩიქოვანი, 2009 წელს გამოცემულ თავის წიგნში “Род Князей Мачабели”, ბატონიშვილ ნინოსა და მის მამას, დავითს, მოიხსენებს ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარით [9:38,104]. 4) 2003 წლის გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ბატონიშვილი ნინო მოხსენებულია ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარით [10:12-13].

იმის გამო, რომ ბატონიშვილი ნინოს წინაპრებიც იმერეთის ერთ-ერთ ლეგიტიმურ (ბატონიშვილურ) ხაზს მიეკუთვნებოდნენ, სრული უფლება ჰქონდათ (მიუხედავად რუსეთის მხრიდან „ბაგრატიონის“ ტარების აკრძალვისა), ეტარებინათ თავისი ისტორიული გვარი - ბაგრატიონი, ამასთან ერთად, რუსეთის იმპერიის მიერ მათვის მინიჭებული იმერეტინსკის წოდებაც. ყოველივე ზემოთ მოყვანილი ცნობებიდან გამომდინარე, სრული უფლება მქონდა, ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარით მომეხსენიებინა ბატონიშვილი ნინოს შტო. ხოლო, რაც შეეხება ქ-ნ მანანა ხომერიკს, იგი პირიქით, თავის საბრალდებო სტატიაში დაუინებით წერს შემდეგს: „ქ-ნი ნინო ბაგრატიონის წინაპრები ბაგრატიონები იყვნენ და არა ბაგრატიონ-იმერეტინსკები“-ო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქ-ნი მანანა უგულებელყოფს ზემოთ მოყვანილ ოფიციალურ ცნობებს იმის თაობაზე, რომ იმერეთის სამივე ბატონიშვილური ხაზი (მათ შორის, ბატონიშვილი ნინოსიც), როგორც იმერეთის

სამეფო სახლის კანონიერი წევრები, ან ბაგრატიონი-იმერეტინსკების, ან იმერეტინსკების საერთო სახელწოდებით მოიხსენიებოდნენ. ის, რომ ბატონიშვილი ნინოს უშუალო წინაპრები იმერეთის სამეფო სახლის სრულუფლებიანი წევრები იყვნენ დასტურდება შემდეგი ღოკუმენტებიდან: 1) “**Список членов Имеретинского Царского Дома**”, რომელიც დაბეჭდილია კრებულში “**Акты, собранные Кавказскою Археографическою комиссию, том IV**”, სადაც აღნიშნულია: “**Брат покойного Царя Соломона Баграт Александрович помер; сын его Царевич Давид живет в Аргути, в Имеретии**” [11:272]; 2) ასევე, “**О членах Царского Дома**”, სადაც წერია: “**Сын брата его [Соломона I, а.д.] Баграта, Царевич Давид**” და იქვე მოუვანილი გენეალოგიური ტაბულა სათაურით - “**Родословная Имеретинского Царского Дома**”, რომელიც დაბეჭდილია 1859 წლის “**Кавказский календарь**”-ზე [12:427,441], 3) 1860 წლის ურნალ „**Цისკარში**“ გამოქვეყნებულ სტატიაში სახელწოდებით „**მეფე სოლომონ მეორეზე**“, მოყვანილია სია „**წევრთა მეფის გვარისა, რომელნიცა იყვნენ იმ დროს ფრიად ცოტანი**“, სადაც დასახელებულია „**შვილი სოლომონ მეფის მისა ბაგრატისა დავით ბატონიშვილი**“ [13:80]. (კვლავ საზე ვუსვამთ, რომ აღნიშნულ წყაროებში იმერეთის მეფეთა და ბატონიშვილთა უკანონოდ შობილი შვილები საერთოდ არ არიან დასახელებული, მხოლოდ სოლომონ I მიერ ნაშვილები უკანონო შვილიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძეა დასახელებული).

კვლავ მსურს შევასეხონ ქნ მანანა ხომერიკს 1804 და 1812 წლების დადგენილებები, რომელთა თანახმადაც რუსეთის იმპერია იმერეთის ბატონიშვილების შვილებს უკრძალავდა სწორედ ბაგრატიონის სახლის გამოყენებას თავიანთ წოდებაში და არა იმერეტინსკის, შესაბამისად, ბატონიშვილების შვილებს უნდა ეტარებინათ მხოლოდ „**თავადი იმერეტინსკის**“ წოდება, რასაც მოგვიანებით 1804, 1812 წლების დადგენილებებზე დაყრდნობით, 1833 წლის დადგენილებაც იმერებს - “**По этим же законоположениям и потомки царей Имеретинских... должны были именоваться просто князьями Имеретинскими, без присовокупления частицы Багратионов, которой они подписывались раньше и которая обозначала фамилию их династии**” [14:1-29; 14:304].

ის, რომ ბატონიშვილი დავით ბაგრატის ქ მხოლოდ ბაგრატიონად იწოდებოდა, ეს ლოგიკურია, რადგან 1804 და 1812 წლების დადგენილებები ვრცელდებოდა მხოლოდ ბატონიშვილების შვილებზე და არა თვით ბატონიშვილებზე, რადგან “**... дети царевичей Имеретинских [именуются, а.д.] князьями Имеретинскими**”. სწორედ ამიტომაც იმ დროისთვის იმერეთის სამეფო შტოს წარმომადგენლები: დავით ბაგრატის ქ, კონსტანტინე დავითის ქ და გიორგი ალექსანდრეს ქ, მიიჩნეოდნენ იმერეთის ბატონიშვილებად (**Имеретинские Царевичи**), რომლებიც “**сами по себе сохраняют сие титло**”, ხოლო მათი შვილები კი, ზემოთ მოყვანილი დადგენილებების თანახმად, უკვე იმერეთის თავადის (князь Имеретинский) წოდებას ატარებდნენ.

რაც შეეხება დავით ბატონიშვილის შვილს ივანეს, იგი ზემოთ მოყვანილი სახელმწიფო დადგენილებების თანახმად, უკვე არა ბატონიშვილად, არამედ თავად იმერეტინსკად ან ბაგრატიონ-იმერეტინსკად უნდა წოდებულიყო, რის დამადასტურებელ ფაქტად გამოდგება 1850 წლის 28 აპრილის სასამართლოს განჩინების საბუთი. აღნიშნულ საბუთს ბატონიშვილი ნინოს დიდი ბაბუა იოანე, შემდეგი სახით აწერს ხელს: “**действительность сего свидетельствую состоящий по армии Подпоручик Багратион-Имеретинский**” [15:19]. ეს ღოკუმენტი ამტკიცებს იმას, რომ ბატონიშვილი ნინოს წინაპარს კანონიერი უფლება პქონდა ბაგრატიონი-იმერეტინსკის წოდების ტარებისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ საბუთს არ მიიღებდა და ხელმოწერით არ დაამტკიცებდა როგორც ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამდებოლი - თავადი ნიუარაძე, ასევე, ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე - მატრონტოვი და სასამართლოს საქმის დანარჩენი მწარმოებლები [16:22]. მაშ, რაში მადანაშაულებს ქნი მანანა ხომერიკი,

უბრალოდ გაუგებარია.

ახლა განვიხილოთ ქ-ნი მანანა ხომერიკის შემდეგი ბრალდება, რაც ჩემ მიერ წარმოდგენილ იმერეთის სამეფო სახლის უფროსობასთან დაკავშირებულ ორ ვერსიას ეხება. მსურს ხაზი გავუსვა, რომ ორივე ვერსიაში გვარში უფროსობა ერთი და იმავე პიროვნებაზე, ანუ ბატონიშვილი ნინოს მამაზე გადადის, განსხვავება მხოლოდ ქრონლოგიურ სხვაობაშია. ეს ყოველივე კი, გამოწვეული იყო იმით, რომ 2006 წლის მემორანდუმში წარმოდგენილი ქრონლოგიური თანმიმდევრობა ემყარებოდა იმ დროისათვის ჩემს ხელთ არსებულ შემდეგ დოკუმენტურ მასალას:

1) 1900 წლისათვის, არანაირი ინფორმაცია არ არსებობდა სოლომონ I-ის უკანასკნელ შთამომავალზე – ალექსანდრე ალექსანდრეს ძეზე, რადგან მის შესახებ უკანასკნელი ცნობა ფიქსირდებოდა მხოლოდ 1897 წლის კრებულში სახელწოდებით „**Русский Архив**“ [17:311]. თანაც, ამ კონკრეტული ოჯახის შესახებ ცნობები რუსეთის ისტორიულ არქივში (სანკტ-პეტერბურგი) წყდება 1881 წლიდან [18]. 1897 წლის გამოცემის შემდეგ, ალექსანდრეზე არანაირი ცნობები აღარ მოიპოვებოდა. როგორც ჩანს, ალექსანდრე უკვალოდ დაიკარგა. იგი არც თავის წინაპართა გვერდით არის დაკრძალული [19:119,572]. 2006 წელს, ჩემს ხელთ არსებული ცნობები, იძლევოდა იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ ვარშავის გენერალ-გუბერნატორის უშვილოდ გარდაცვალების (1900 წლის 18 ნოემბერი) შემდეგ, გვარში უფროსობა უნდა გადასულიყო იმერეთის სამეფო შტოში დარჩენილ ერთადერთ ლეგიტიმურ წარმომადგენელზე და ეს იყო ბატონიშვილი ნინოს მამა – დავით ალექსანდრეს ძე. ის, თუ რატომ არ გადავიდა უფროსობა გენერალ-გუბერნატორის, იმ დროისათვის მყოფ ძმის შვილიშვილზე - გიორგი მიხეილის ძეზე, ამაზე ქვემოთ დაწვრილებით მოგახსენებთ. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გიორგი მიხეილის ძე ბრიტანეთში საცხოვრებლად, სავარაუდოდ, 1898–1900 წლებს შორის უნდა წასულიყო, რაზეც მიუთითებს ის უბრალო ფაქტიც, რომ მას, პირველი ორი ვაჟის დაბადებასთან დაკავშირებით სახელმწიფო სენატის პეროლდიის დეპარტამენტში შეტანილი პქონდა განცხადებები, ხოლო მესამე შვილთან დაკავშირებით, რომელიც დაიბადა 1900 წელს, არანაირი განაცხადი არ გაუკეთებია [20]. სავარაუდოდ, გიორგი მიხეილის ძე, თავის თჯახოთან ერთად, 1900 წლისათვის უკვე ბრიტანეთში უნდა იყოს გადასული საცხოვრებლად, რადგან 1898 წლის შემდეგ რუსეთის ისტორიულ არქივში (სანკტ-პეტერბურგი), არანაირი ცნობა მისი ოჯახის შესახებ არ მოიპოვება. როგორც ჩანს, ამ ფაქტმა მრავალ მკვლევარს მისცა იმ დასკვნის გაკეთების უფლება, რომ ვარშავის გენერალ-გუბერნატორის გარდაცვალებით, დავით II-ის შტო შეწყვეტილად გამოეცხადებინათ. ამაზე მოწმობს შემდეგი ცნობები:

2) 1901 წლის გაზეთი „ივერია“, №26, აღნიშნულია: „1837 წელს კონსტანტინეს გაუჩნდა შვილი ალექსანდრე. აი ეს ალექსანდრე კონსტანტინეს ძე იყო ვარშავის გენერალ-გუბერნატორად. რადგანაც ალექსანდრეს შვილი არ დარჩა, ალექსანდრეს სიკვდილით დავით მეფის შთამომავლობა მოისპო“ [21:2];

3) მკვლევარ მამისა ბერძნიშვილის ნაშრომში „მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის“, სადაც, ასევე აღნიშნულია: „ეს შტო იმერეტინსკებისა შეწყდა 1900 წ. ალექსანდრე კონსტანტინეს ძე იმერეტინსკის (ვარშავის კომენდანტის) სიკვდილით“ [22:171, შენ.9];

4) მკვლევარ ოლდა სოსელიას თავის ნაშრომში „ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან“, ასევე აღნიშნული აქვს: „იგი [ალექსანდრე კონსტანტინეს ძე, ი.ბ.] გარდაიცვალა 1900 წელს. მისი სიკვდილით შეწყდა „უგანათლებულესი თავადი იმერეტინსკების“ შტო“ [23:57];

5) მკვლევარ იაკობ ახუაშვილის ნაშრომში „ქართული გვარსახელები“, 155-ე გვერდზე აღნიშნულია: „1900 წელს ვარშავის გენერალ-გუბერნატორის,

„უგანათლებულები“ თავადის ალექსანდრე კონსტანტინეს ძე იმერეტინსკის გარდაცვალების შემდეგ, გვარში უფროსობა მეფე სოლომონ I მმის ბაგრატ ბატონიშვილის შთამომავლს, „უგანათლებულების“ თავად დავითს გადაეცა“ [24:155]. შესაბამისად, ზემოთ მოყვანილ ცნობებზე დაყრდნობით ვფიქრობ, სრული უფლება მქონდა, გამეზიარებინა იმდროისათვის არსებული სამეცნიერო თვალსაზრისი და 2006 წლის „მემორანდუმში“ წარმომედგინა „პირველი ვერსია“.

ახლა, რაც შეეხება 2016 წლის წიგნში მოყვანილ ე.წ. მეორე ვერსიას, რომელშიც, ქ-ნი მანანა ხომერიკის შენიშვნით, ვარშავის გენერალ-გუბერნატორის სახელი აღარ ფიქსირდება და გვარში უფროსობა ბატონიშვილი ნინოს მამაზე უკვე სოლომონ I-ის შთამომავლის შემდეგ გადადის. ეს ცვლილება გამოწვეული იყო იმით, რომ „მემორანდუმის“ ხელმოწერის შემდეგ უურადღება მივაქციე იმავე 1901 წლის გაზეთ „ივერია“-ში მოყვანილ ბოლო ცნობას სოლომონ I-ის უკანასკნელი შთამომავლის, ალექსანდრე ალექსანდრეს ძის შესახებ, აქედან გამომდინარე, რადგან დავით II-ის შტო 1900 წელს, უკვე შეწყვეტილად მიიჩნეოდა, შესაბამისად, ქრონოლოგიურად გვარში უფროსობა ბატონიშვილი ნინოს მამაზე უნდა გადასულიყო არა ვარშავის გენერალ-გუბერნატორის გარდაცვალების შემდეგ (1900 წელს), არამედ ალექსანდრე ალექსანდრეს ძის შემდეგ, რომლის შესახებაც, კიდევ გავმეორდები, უკანასკნელი ცნობა თარიღდება 1901 წლით.

რაც შეეხება სოლომონ II-ის უშვილოდ გარდაცვალების შემდეგ გვარში უფროსობის სოლომონ I-ის შთამომავლებზე გადასვლას, ესეც გამოწვეული იყო იმ ფაქტორით, რომ „მემორანდუმის“ შემდგომ, მე უურადსაღებ წყაროდ მივიჩნიე პ. იუდინის ნაშრომში მოყვანილი შემდეგი ცნობა: **“Царевич Александр... скончался до смерти царя Соломона, оставив после себя “малолетнего единородного сына” Георгия. Тогда царь взял внука к себе и, “воспитав его, назначил наследником всего Имеретинского царства”. К несчастию, по кончине царя, назначенный наследник Георгий Александрович, по малолетству своему, не в состоянии был править царством. Поэтому царем Имеретии сначала сделался Давид, а потом Солomon II Арчилович, сын брата царя Соломона I-го”** [25:301].

ამ წყაროზე დაყრდნობით ძველი ვერსია იმის თაობაზე, რომ გიორგი ალექსანდრეს ძის (გიორგი ბუშის) უკანონოდ შობილობის გამო სოლომონ I-ის შთამომავლები ტახტის მემკვიდრეობას მოკლებულნი იყვნენ – გაბათილდა, თუმცა, საზო უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ ეს გამოწვეული იყო მხოლოდ და მხოლოდ მეფე სოლომონის მიერ გიორგის შვილობის აქტით.

2006 წლის მემორანდუმთან დაკავშირებით „შეგროვებული“ ბრალდებები, როგორც ჩანს, საკმარისი არ აღმოჩნდა, ამიტომ ბრალდებების შეგროვების სურვილით აღვსილმა ქ-მა მანანა ხომერიკმა დაუფიქრებლად მოიყვანა 2004 წლის ალმანას „ბაგრატოვანნი“-ში გამოქვეყნებული განცხადება, სათაურით „ბაგრატოვანთა სახლი განაცხადებს“ [26:2,5-15], როთაც შეეცადა მასში მოპოვებული ახალი ბრალდებებით ჩემი პოზიციის დამტმიებას, თუმცა, როგორც ჩანს, მას დაავიწყდა, რომ იგი თავად იყო ამ ალმანახის სარედაქციო კოლეგიის წევრი და ნებისმიერი მასში გამოქვეყნებული სტატია თუ განცხადება 7 ადამიანის, მათ შორის ქ-ნი მანანა ხომერიკის მიერ მტკიცდებოდა. გარდა ამისა, აღნიშნული განცხადება გაკეთდა არა მხოლოდ ჩემ მიერ, როგორც ამას წარმოაჩენს ქ-ნი მანანა, არამედ მთლიანად „ბაგრატოვანთა სახლი“-ის წევრთა მიერ, რომლის თანამდგომი წევრიც თავად ქ-ნი მანანა ხომერიკი ბრძანდებოდა; ამიტომ, თუკი იგი ასე კატეგორიულად არ ეთანხმებოდა 2001 და 2004 წლებში გამოცემულ ნომრებში განთავსებულ რაიმე ფრაზასა თუ წინადადებას, მაშინ რატომ არ გააპროტესტა ეს თავის დროზე? ახლა გახდა მისთვის მიუღებელი ბატონიშვილი ნინოს მამის როგორც „იმერეთის ტახტის კანონიერი მემკვიდრის“ სტატუსი, ან ბატონიშვილი ნინოს ბაგრატიონიმერეტინსკის გვარით მოხსენიება?! მისი პოზიციის ასეთი ცვლილება იმით ხომ

არ არის გამოწვეული, რომ დღეს უკვე ქ-ნი მანანა გვევლინება „ახალი ტახტის მემკვიდრის“ ინტერესების დამცველად, თანაც იმ „მემკვიდრისა“, რომელსაც არ ცნობს ბაგრატოვანთა დინასტია, ამიტომ ჩემზე შემოტევითა და ბრალდების წაყენებით ცდილობს 2006 წლის მემორანდუმის დაკინებას.

აქვე მსურს მოგახსენოთ, რომ ჯერ კიდევ 2000 წელს, აღნიშნულ მემორანდუმამდე 6 წლით ადრე, ბ-მა იური ჩიქოვანმა თორნიკე ბაგრატიონ-ჯაფარიძეს (ბატონიშვილი ნინოს შვილიშვილს) უცხოეთში წარსადგენად მისცა „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ ოფიციალური საბუთი ინგლისურ ენაზე, რომელშიც ბ-ნ იურის დავით ალექსანდრეს ძე ტახტის მემკვიდრედ („Crown Prince“) პყავს დასახელებული (სურ. 1) [27].

რაც შეეხება ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარით ხელმოწერას, ნაწილობრივ ვეთანხმები ქ-ნ მანანას იმაში, რომ ბატონიშვილი ნინო ხელს აწერდა მხოლოდ როგორც ბაგრატიონი, რადგან ლოგიკურია, რომ მოქალაქეს ხელმოწერა არ უნდა განსხვავდებოდეს პასპორტში დაფიქსირებული მისი გვარისაგან. მსგავსი სახით, ანუ მხოლოდ ბაგრატიონად აწერდნენ ხელს მრავალი სხვა ბაგრატიონებიც, რომელთა უმრავლესობას დღესაც არ უწერია პასპორტში მათი შტოს აღმნიშვნელი ისტორიული გვარი - დავითიშვილი, მუხრანსკი, ბაბადიში და ა.შ. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, „ბაგრატოვანთა სახლის“ არქივში ინახება მრავალი ოფიციალური დოკუმენტი, რომლებზეც გვარის „ბაგრატიონ-იმერეტინსკის“ გასწვრივ ხელს აწერს ბატონიშვილი ნინო, ისევე, როგორც მაგალითად „ბაგრატიონ-დავითიშვილის“ და „ბაგრატიონ-მუხრანსკის“ გასწვრივ მხოლოდ „ბაგრატიონით“ აწერენ ხელს ჯანსულ (ჯანო) კონსტანტინეს ძე და ელისაბედ (ლიზა) მიხეილის ასული, რაც სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ისინი არ იზიარებდნენ მათ ისტორიულ გვარებს. მსგავსი მაგალითები გვხვდება თვით 2006 წლის მემორანდუმის ხელმოწერებშიც, როცა შტოს განმსაზღვრელი გვარის გასწვრივ მრავალი წარმომადგენელი მხოლოდ „ბაგრატიონად“ აწერს ხელს.

რაც შეეხება ქ-ნი მანანას მიერ სამეცნიერო ბრუნვაში ვითომ პირველად შემოტანილ XIX საუკუნის I მეოთხედში დავით ბაგრატის ძისთვის შექმნილ დოკუმენტს, რომელსაც იგი თამამად ფარსადან წერეთლის მიერ გაყალბებულ დოკუმენტად მოიხსენებს და რომლის სათაურია „წერილი იმერთა უფლისწულ დავითთან“. ჯერ კიდევ 1964 წელს იყო აღწერილი ხელნაწერთა ინსტიტუტის წამყვანი თანამშრომლების, კერძოს, თ. ენუქიძის, რ. პატარიძის, ნ. შოშიაშვილის და ჯანდიერის მიერ. აღნიშნულ წერილს აკლია მომდევნო გვერდები, რის გამოც არ იკითხება არც ავტორი და არც მისი შედგენის თარიღი. მოგვავს ამ წერილის ჩვენამდე მოღწეული ტექსტი: „უგანათლებულესო ძეო მეფის ძისაო დავით. ქრისტეს იესოს მიერ იყავ კურთხეულ. მანდაც გაგიხსენებია და ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ თქვენის დიდებისა და პატიოსან ყოფისამ ლვაწვობილ წავსულვართ და რაც თქვენი მისამატი იქნება იმას უნდა ვეცადნეთ. მანდედან ფარსადან წერეთლისათვის რაც გებრძანათ ყოველივე ისე კარგად აღვასრულეთ. სარუსეთოს წიგნებში მეფე რომ საქმეებს აცხადებს თქვენი სახელიც ასე დავსწერეთ და შემდგომად ჩემსა სამეფოსა სახლისა და გვარისა ჩემისა შვილო და მემკვიდრე დავით. ეს ასე მოვაწერეთ მეფის ბეჭედთან და ასე სწერია მე ყოვლისა საიმერეთისა უფლისწულ დავით [ბეჭედი].

მეორეს საერთოდ მიწერილს წიგნიდაც ასე მოვაწერეთ და ასე გამვაცხადეთ თვითონ ეს ფარსადან წერეთელ დაგვესწრო და ნახა სხვას ფიქრსა და ჯავრს ნურას ფერს ნუ შეუშვებო დგომით ყოველსავე კეთილად წარმართებს სეპდემბერის იბ [12]. აქ ბეჭედი ზის, ასე სწერია ჩრდილო აფხაზ იმერთა კათალიკოზი და მეორე ბეჭედი არ წაიკითხოდა...“ [28]. სანამ ამ ტექსტს ნაყალბევად შევრაცხავდეთ, საჭიროა, გადავხედოთ იმ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა იმერეთში. საქართველოს მთავარმართებლის, პ. ციციანოვის მიერ იყო დარღვეული ე.წ.

საქოთული გენეალოგიური საზოგადოება

ГРУЗИНСКОЕ
ГЕНЕАЛОГИЧЕСКОЕ ОБЩЕСТВО
Республика Грузия
380060 г. Тбилиси, ул. Анагская 14а




GEORGIAN
GENEALOGICAL SOCIETY
14a Anagi str., 380060 Tbilisi
Republic of Georgia

საქართველოს რესპუბლიკა, 380060 თბილისი, ანაგის ქ. 14ა, ბინა 11, ტელ.: 995-8832 37 49 19

№ 120

5.09.2000. 199

Prince Tornike Bagrationi-Japaridze's genealogical Tree



The President of the Society. *M. Chikovani*



სურ. 1. „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ საბუთი №120,
გაცემული 2000 წლის 5 სექტემბერს.

ელაზნაურის ხელშეკრულების პირობები, რაზეც მიგვითითებს თ. უორდანიას ცნობა: „...სოლომონმა... ფიცი მიიღო რუსთ ერთგულობაზე 24 აპრილს, მაგრამ იმ პირობით, რომ რუსებს დაებრუნებინათ მისთვის ლეჩხუმი. ციციანოვმაც ფიცი მისცა. ეს პირობა მთავარმართებელმა ვერ შეუსრულა, და სოლომონ მეფემაც მიცემული ფიცი „უარყო“ [29:5], ანუ სოლომონ II-მ უარყო 1804 წლის ელაზნაურის ხელშეკრულება, აქედან გამომდინარე, უარყოფილ იქნა რუსთა დაუინებული მოთხოვნითა და ზეწოლით ამავე ხელშეკრულებაში სოლომონ მეფის მემკვიდრედ დასახელებული კონსტანტინე ბატონიშვილი, რომელზეც რუსები დიდ იმედებს ამყარებდნენ [30:379-380, 395, 400, 411-412, 419]. უოველივედან გამომდინარე, მეფე სოლომონის უშვილოდ გარდაცვალების შემდეგ გვარში უფროსობა რატომ არ უნდა გადასულიყო ბატონიშვილების გენეალოგიურად უფროს ხაზე?

ნიშანდობლივია, რომ 1810 წლიდან ამ სამი ბატონიშვილიდან მხოლოდ ბატონიშვილი დავით ბაგრატის ძეა იმერეთში დარჩენილი. როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლება ვერ ახერხებდა მის შეპყრობასა და გადასახლებას, თუმცა, ამის სურვილი მას ჯერ კიდევ 1810 წლიდან პქონდა: **“Царевич Давид, живущий в Ар-гутети, сын Баграта Александровича, ... и в обуяния ума своего, коего виден уже был вредный пример, может ко всему пристать, то я полагаю для спокойствия Имеретии полезнейшим, если и сей царевич будет выслан в Тифлис”** [31:335], ასევე, “Давид Баграта-швили, племянник здешнего царя Соломона I, имеет быть отправлен к в. выс-у; Мамука, побочный брат царя Соломона, находится с ним, а здесь один малолетний сын его (Иоанн Давидович, ა.ბ.), которого также предполагаю при удобном случае отправить в Тифлис” [31:343]. ბატონიშვილი დავითის შეპყრობა, როგორც ჩანს, ვერ მოახერხეს და იგი, როგორც შემდეგი დოკუმენტიდან ჩანს, სისხლს უშრობდა მათ მანამდე, სანამ 1820 წელს, იგი არ მოკლეს იმერეთის აჯანყებისას. მას ასე ახასიათებს საქართველოს მთავარმართებელი გენერალი ერმოლოვი: **“Донеся прежде сего о возникшем в Имеретии бунте, имею честь сообщить вашему сиятельству, что партии изменников во многих местах разсеяны с уроном. Одною из таковых начальствовавший, Царевич Давид, сын Багратов, из числа злейших разбойников убит”** [32:595]. ასევე, ხაზგასასმელია, რომ ბატონიშვილი დავითი ერთადერთია იმერეთის სამ ბატონიშვილთაგან, რომელსაც არასდროს უდალატია იმერეთის უკანასკნელი მირონცხებული მეფე სოლომონ II-ისათვის. დანარჩენი ორი ბატონიშვილური ხაზი, 1810 წლიდან, უკვე რუსეთის ერთგულ სამსახურშია ჩამდგარი [33:195; 33:136; 33:1-4; 33:364]. ამიტომ, აბსოლუტურად შესაძლებელია, რომ სოლომონ II-ს დავით ბატონიშვილი გამოეცხადებინა მემკვიდრედ, რაზეც ასევე გვაფიქრებინებს ფილადელფინის მიერ 1853 წელს შედგენილი (თუმცა, ხარვეზებით) ბაგრატიონთა გენეალოგიური ტაბულაც, სადაც სოლომონ II-ის შვილად დავითია აღნიშნული [34] (იხ. სურ. 2) ამ წერილთან დაკავშირებით მსურს დავაფიქსირო, რომ იგი აშკარად საჭიროებს კვლევას, ამიტომ მისი წინასწარ ნაყალბევად გამოცხადება ქნი მანანას მიერ ჩემთვის მიუღებელია.

ქ-ნ მანანას, როგორც ჩანს, ძალიან აწუხებს ის ფაქტი, რომ მე, 2006 წელს, ხელი მოვაწერე ბაგრატიონთა მემორანდუმს როგორც „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ თავმჯდომარის მოადგილემ, რადგან მისი მტკიცებულებით, თურმე, 2004 წლიდან უკვე აღარ ვითვლებოდი აღნიშნული საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილედ და როგორც იგი თავის საბრალდებო წერილში აღნიშნავს: „...2004 წლის 14 თებერვლიდან გენეალოგიური საზოგადოების თავმჯდომარე არის ბ-ნი იური ჩიქოვანი, ხოლო თავმჯდომარის მოადგილე - ქ-ნი ირინა კვირკველია“. ქ-ნი მანანა, ამასთან დაკავშირებით მინდა დაგისვათ მარტივი კითხვა, თუ 2004 წლიდან აღარ ვარ აღნიშნულ თანამდებობაზე, მაშინ 2006 წლის მემორანდუმზე, როცა ბ-ნი იური ხელს აწერდა ამ დოკუმენტს, რატომ არ გააპროტება მის გვერდით არსებული ჩემი ხელმოწერა, როგორც მისი მოადგილისა? გარდა ამისა, 2009 წლის 23


ოქტომბერს ბ-მა იური ჩიქოვანმა ჩემს სახელზე გასცა ოფიციალური საბუთი №166, სადაც ვკითხულობთ: „საქართველოს ეროვნული არქივის გენერალურ დირექტორს, ქ-ნ თეონა იაშვილს. გთხოვთ, ჩვენი საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეს, ისესებ ბიჭიკაშვილს, რომელიც მუშაობს ქართული გვარების გენეალოგიის შესწავლაზე, დართოთ ნება, რათა მან ჩაატაროს კვლევითი სამუშაო თქვენდამი დაქვემდებარებული არქივის სამკითხველო დარბაზში. ქართული გენეალოგიური საზოგადოების თავმჯდომარე ი. ჩიქოვანი“. საბუთი ხელმოწერილია ბ-ნი იური ჩიქოვანის მიერ და დადასტურებულია „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ ბეჭდით (იხ. სურ. 3). მომყავს ასევე მესამე საბუთი, გაცემული 2015 წლის 26 ივნისს, №25, რომელსაც ასევე აწერს ხელს ბ-ნი იური ჩიქოვანი როგორც საზოგადოების თავმჯდომარე, ხოლო მე, იოსებ ბიჭიკაშვილი მისი მოადგილე გახლავართ. საბუთი ასევე დამოწმებულია ჩვენი საზოგადოების ბეჭდით. აი, ამ საბუთის ტექსტი: „ცნობა. „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ ისტორიულ-გენეალოგიური გამოკვლევის თანახმად, ქართლის მეფე კონსტანტინე II (1478-1505 წწ.) ნამდვილად არის დემეტრე ბატონიშვილის (ჩანს 1405-1425 წწ.) შვილი, პროვინციის მეფე დავითის (ჩანს 1370-1440 წწ.) შვილიშვილი, საქართველოს მეფის ბაგრატ V-ის (1360-1393 წწ.) შვილთაშვილი და არა საქართველოს მეფის ალექსანდრე I დიდის (1412-1442 წწ.) ვაჟის დემეტრე ბატონიშვილის შვილი, რასაც ვადასტურებთ. აქედან გამოდინარე, ქართლის მეფე კონსტანტინე II იყო საქართველოს მეფის გიორგი VIII-ის (1446-1466 წწ.) არა ძმისშვილი, არამედ გარე ბიძაშვილი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მეფე გიორგი VIII-ის პირდაპირი მემკვიდრეები და შთამომავლები გენეალოგიურად უფროსი შტოა ბაგრატიონთა დინასტიაში. ცნობას (ცალკე ფურცელზე), თან ერთგის ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის წინაპრების გენეალოგიური ფრაგმენტი“ (იხ. სურ. 4). ამ საბუთზე დართულ გენეალოგიურ ფრაგმენტსაც ახლავს ბ-ნი იური ჩიქოვანის, როგორც საზოგადოების თავმჯდომარისა და ჩემი, როგორც მისი მოადგილის ხელმოწერა. საბუთი დამოწმებულია ჩვენი „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ ბეჭდით [35:320-321].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გეკითხებით, ქ-ნო მანანა - როგორ მოხდა დამფუძნებლების ნებართვის გარეშე „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ ხელახალი რეგისტრაცია და ჩემი თანამდებობიდან გადაყენება, რომელ თანამდებობაზეც, ჯერ კიდევ 1995 წელს, ამირჩია აღნიშნული საზოგადოების დამფუძნებელთა 59 წევრისაგან შემდგარმა კრებამ და არა ბატონმა იურიმ? ან რატომ ვიგებ ჩემი გადაყენების შესახებ, რომელიც თურმე 2004 წელს მომხდარა, მხოლოდ 2015 წელს და თანაც სატელევიზიო გადაცემიდან?

ბოლოს მსურს, მივმართო ქ-ნ მანანა ხომერიქს - თქვენ ისტორიკოსი ბრძანდებით და კარგად უნდა მოგეხსენებოდეთ იმის თაობაზე, რომ რუსეთის იმპერია სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით მუდამ ცდილობდა გაედვივებინა ქართველთა შორის შიდა დაპირისპირება და შუღლი, ამიტომ მე პირადად არ მოგცემთ იმის საშუალებას, რომ დააკნინოთ 2006 წლის მემორანდუმის მნიშვნელობა და მისი ისტორიული ფასეულობა, რომელიც ბაგრატიონთა საგვარეულოს ერთიანობის დამამტკიცებელ მეტად მნიშვნელოვან ისტორიულ ნიმუშს წარმოადგენს!

ГЕНЕАЛОГИЧЕСКАЯ ТАБЛИЦА
ГРУЗИНСКАГО ЦАРСКАГО ДОМА,
съ БАГРАТА III,
составленная
А. Филадельфийскимъ.

Арнольдъ
На Елени, дочери Ираклия II 1785



სურ. 2. ა.ფილადელფინის მიერ შედგენილი
ბაგრატიონთა გენეალოგიური ტაბულის ფრაგმენტი.

ქართული გენეალოგიური საზოგადოება

ГРУЗИНСКОЕ
ГЕНЕАЛОГИЧЕСКОЕ ОБЩЕСТВО
Грузия
0160, Тбилиси, ул. Шартава 14а, кв. 11



GEORGIAN
GENEALOGICAL SOCIETY
Georgia
14a, Shartava str. 0160, Tbilisi

საქართველო, 0160, შარტავას ქ. 14ა, ბინა 11, ტე: (+995 32) 374 919 E-mail: chikovani@mail.ru

№ 166

27 მარტი 2009 წ.

საქართველოს უკუკის ჩანაცემის
ინიციატივით მოვალე გენეალოგიური
ა-მ მომს ისტორია

გამოვის, ჩვენი საზოგადო ინიციატივის გადაწყვეტილი დოკუმენტი, რომელიც გვაწინადართ გვიანდება, მიმთხვევაში, რომ ან
სამართლის განკარგულების მიერ მოვალე გენეალოგიური ინიციატივის მიერ მომს ისტორია და მიმდევად მოვალეობა მოვალეობის მიერ მომს ისტორია.

დოკუმენტი გენეალოგიური
ა-მის მიერ მომს ისტორია

ი. ჩიკოვანი ბისტვიძე



სურ. 3. „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ საბუთი №166,
გაცემული 2009 წლის 23 ოქტომბერს.

ქართული გენეალოგიური საზოგადოება

ГРУЗИНСКОЕ
ГЕНЕАЛОГИЧЕСКОЕ ОБЩЕСТВО
Грузия
0160, Тбилиси, ул. Шартава 14а, кв. 11



GEORGIAN
GENEALOGICAL SOCIETY
Georgia
14a, Shartava str. 0160, Tbilisi

საქართველო, 0160, პარტავაშ ქ. 14ა, პარმა 11, ტელ: (+995 32) 374 919 E-mail: chikovani@mail.ru

№ 25

26.06. 2015.

ც ნ თ ბ ა

“ქართული გენეალოგიური საზოგადოების” ისტორიულ-გენეალოგიური გამოკვლევის თანახმად, ქართლის მეფე კონსტანტინე II (1478-1505 წწ.) ნამდვილად არის დემეტრე ბატონიშვილის (ჩანს 1405-1425 წწ.) შვილი, პროვინციის მეფე დავითის (ჩანს 1370-1440 წწ.) შვილიშვილი, საქართველოს მეფის ბაგრატ V-ის (1360-1393 წწ.) შვილთაშვილი და არა საქართველოს მეფის ალექსანდრე I დიდის (1412-1442 წწ.) ვაჟის დემეტრე ბატონიშვილის შვილი, რასაც ვადასტურებთ. აქედან გამომდინარე, ქართლის მეფე კონსტანტინე II იყო საქართველოს მეფის გიორგი VIII-ის (1446-1466 წწ.) არა ძმის შვილი, არამედ გარე ბიძა შვილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მეფე გიორგი VIII-ის პირდაპირი მემკვიდრეები და შთამომავლები გენეალოგიურად უფროსი შტოა ბაგრატიონთა დინასტიაში. ცნობას (ცალკე უურცელზე), თან ერთვის ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის წინაპრების გენეალოგიური ფრაგმენტი.

საზოგადოების თავმჯდომარე



იური ჩიქოვანი

საზოგადოების თავმჯდომარეს
მოადგილე

ბოსებ ბიჭიკაშვილი



სურ. 4. „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ საბუთი №25,
გაცემული 2015 წლის 26 ივნისს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

